გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



ეროვნული ბიბლიოთეკა

№335 (394) 13-20 ოქტომბერი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## როლანდ ჯალაღანია: პოლიტიკური ჯანღი გაიფანტა და რეალური სურათიც გამოჩნდა

საფრანგეთმა თავზე გადაგვახია პირწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავის დავით კეზერაშვილის ექსტრადიციის მოთხოვნით გაგზავნილი უსტარი, ინტერპოლმა ძებნილთა სიიდან ამოიღო დაშნაკი დამნაშავე მიხეილ სააკაშვილი და სისხლისმსმელი ზურაბ ადეიშვილი, საბერძნეთმა კატეგორიული უარი გვითხრა დამნაშავე დათა ახალაიას გადმოცემაზე...

გვ.2

## ტალანტები არ ხდებიან, ტალანტებად იბადებიან...



გვერდი ეძღვნება აფხაზეთის დიდ შვილს დიმიტრი გულიას, რომელმაც ჭეშმარიტად წარუხოცელი კვალი დასტოვა არა მხოლოდ ამ უაღრესად ნიჭიერი და ამაყი ხალხით დასახლებული ქვეყნის ცხოვრებაში.

გვ.4

## მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია

### ძალიან მოკლედ ჩვენს საენათმეცნიერო ნაშრომებში წარმოჩენილი სიახლეების შესახებ

აღნიშნული უძირითადესი სიახლეებისა და მონაცემებისათვის აქვს მიღებული აქ დასახელებულ ნაშრომებს მაღალი რანგის ჭეშმარიტი ენათმეცნიერებისა და სხვების (300-მდე მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორისა და აკადემიკოსის) მიერ, შემდეგი შეფასებანი: „საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „უნიკალური ნაშრომი“, გენიალური ნაშრომი“, „ზეტიტანური ნაშრომი“, გადატრიალება ენათმეცნიერებაში“, „ფანტასტიკურიც და საკვირველიც“, „უდიდესი ქართული მოვლენა“ და ა. შ.

გვ.7

## თამარ კიკნაძე: ძალიან სამწუხარო იქნება, თუ პაატა ბურჭულაძე "შირმად" გამოაყენებინებს თავს და პოლიტიკაში მოსვლით ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას დაკარგავს

გვ. 6



## ზარბებ ბერიაშვილი: ყაჩაღები სხედან ამ "საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურებში" და მათ მიერ მოცემული სესხი ზურგში ნასროლ ტყვიასავითაა!

გვ. 5



## პეტრე მამრაძე: ნოდარ დუმბაძე, მედროვეები და ნეოკომები

 აღმოვაჩინე, რომ ეროვნულ-დამანგრეველი მოძრაობის ბევრ წევრს აქტიური კომკავშირული წარსული ჰქონდა და სსრკ-ს ნგრევის კვალობაზე კარიერის გასაკეთებლად კომკავშირიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაინაცვლეს...

გვ.8-10



## "ეს ცხონებული ზურა ადეიშვილი... აცხონოთ უკრაინაში და გლდანში"

გვ. 6



## შეხვედრა გაზეთ "ილორი"-ს რედაქციასთან ჩხოროწყუში

გვ.9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური ჯანღი გაიფანტა და რეალური სურათიც გამოჩნდა

დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის **"ნაღების"** დახასიათება სულ რამდენიმე სიტყვით შეიძლება – ლევან ბერძენიშვილი – ბიოცისტერნა, ავადსახსენებელი **"თავისუფლების ინსტიტუტის"** დამფუძნებელი და მთავარი იდეოლოგი, ქართული რელიგიისა და სულიერების ურყევი წამრყვნელი და მისი დამქაშები – დაშნაკი მიხეილ სააკაშვილი, თვალებაპარპალებული ანომალიური არსება გიგა ბოკერია, ასევე პირწავარდნილი დაშნაკი დავით დარჩიაშვილი, ყოფილი მხედრიონელი და მკვლელი, პოლიტიკური მეძავი ირაკლი ალასანია, ყბაგადაკეტილი ავანტიურისტი გივი თარგამაძე, სინდისზე ხელაღებული დაშნაკური რუპორები გიორგი ვაშაძე და გიორგი კანდელაკი, საქართველოს პრეზიდენტად ნაცებისაგან შემოთესლილი **"მთავარსარდელი"**, სელის მბეჭველი და ყაისნაღის უბადლო დამტრიალებელი გიორგი მარგველაშვილი, მოფუთფუთე პროპაგანდისტული ტერარიუმის ზედამხედველი უზნეო ნიკა გვარამია, ნაპროკურორალი ბანკირ-ბანდიტი გიორგი ქადაგიძე, ყოველი დონის არჩევნების უბადლო გამყალბებელი ხათუნა გოგორიშვილი, ცივსისხლიანი მკვლელი გიორგი ბარამიძე, გათავხედებული ცინიკოსი მიხეილ მაჭავარიანი, პოლიტიკოსად სრულიად უვარგისი და ლამის ადამიანის სახედაკარგული ეკა ხერხეულიძე, საქართველოს კონსტიტუციის გამაუპატიურებელი სასამართლოს მამასახლისი გიორგი პაპუაშვილი, უტიფრები – კანდელაკი, რატიანი, ჯაფარიძე, წიკლაური და კუბლაშვილი, ამერიკელების მიერ შექმნილ არასამთავრობოთა უცვლელი ბოსები – პოლიციის კაპიტანი ეკა გიგაური, მუდამ სახემოპომადებული ნინო ლომჯარია, აფუებული ცომივით **"წრესგადასული"** ვიღაც იურისტი თამარ ნაცვლიშვილი, სხვანი და სხვანი...

უჰ, თურმე რამდენი არაქართველი არაკაცი და არაქალი შეგვიფარებია ქართველებს, ახლა კვლავ ჩვენს ზურგში ჩასაცემად რომ ლესავენ მახვილს!

ხელისუფლებაში მოკალათებულ ავანტიურისტთა როყიო დანაპირებებით გაბრუებული ქართველები კი კვლავაც თვალახვეულები დავდივართ უფსკრულის ნაპირას და არ ვიცით როდის გადავიჩეხებით...

სრულიად არ გვაღელვებს ის ამბავი, რომ ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი – სამხრეთში მოკალათებული ისლამური სახელმწიფო ამერიკელთა წაქეზებით და ფინანსური თუ სამხედრო მხარდაჭერით ჯიუტად მიიწევს რუსეთისაკენ, სამხრეთიდან ჩრდილოეთში მიმავალი გზა კი საქართველოზე გადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანობისადმი შეურიგებელი ვაჰაბიტ-ფუნდამენტალისტები **"რუსების დასაშინებლად"** ჯერ საქართველოში დააყენებენ სისხლის კალოს, რომლის აღსაკვეთად ამერიკელები ბევრს არაფერს იღონებენ, გარდა პამპერსების და სასმელი წყლის მოწოდებისა, რადგან მასონურ ამერიკას ქართული მართლმადიდებლობა ყელში აქვს გაჩხერილი და ისლამისტ ფუნდამენტალისტებზე ნაკლებად არ ეზიზღება (გაიხსენეთ ავადსახსენებელი ამერიკელი მასონის ზბიგნევ ბჟეზინსკის სიტყვები: **"კომუნისტური რეჟიმის დამარცხების შემდეგ ჩვენ გვრჩება ერთადერთი დაუძინებელი მტერი – მართლმადიდებლობა"**).

გაიხსენეთ იუგოსლავიის ამბები, როცა **ნატო**-ს ამერიკელი მფრინავები სერბეთში პირველ რიგში მართლმადიდებლურ ეკლესიებს ბომბავდნენ და ანგარიშს არ უწევდნენ იმ გარემოებას, რომ ეკლესიებს მაშინ მრევლი აფარებდა თავს!

როგორ გგონიათ, არ გამოიყენებენ ამ შანსს ამერიკელები მართლმადიდებლური სამყაროს წინააღმდეგ, რათა რუსეთისადმი თუნდაც რელიგიური სიმპათიების მქონე (თითზე ჩამოსათვლელი) სახელმწიფოები დაასაუსტონ, რაც თავად რუსეთის დასუსტების ტოლფასი იქნება.

მაგრამ ეს მომავლის საქმეა, ჩვენ კი ხვალინდელ სადარდებლად და საზრუნავად ის გვაქვს, რომ ქართველი ერი ერთ მუშტად შევკრათ და სამუდამოდ ჩავუხერგოთ გზა ხელისუფლებისაკენ რევანშის სულისკვეთებით გაჟღენთილ იმ ქართულ გვარებს ამოფარებულ ეთნიკურად არაქართველ ნაციონალებს, რომელთაც ლამის დაღუპვისა და საბოლოოდ განადგურების საფრთხის წინაშე დააყენეს სრულიად საქართველო!

ვიდრე საბოლოოდ არ გავანეიტრალებთ ნაცებს, მანამდე საშველი არ დაგვადგება, რადგან დაშნაკთა ერთ-ერთმა ლიდერმა დავით დარჩიაშვილად წოდებულმა, სოროსის დამაქცეველი ფონდის დირექტორმა დარჩიევმა ამას წინათ ლამის სამოქალაქო ომის დაწყება დააანონსა!

სამეგრელოში კი აღმოვაჩინეთ ნაცების მიერ მოწყობილი იარაღის სამალავი, მაგრამ ვიცით კი რამდენი სამალავი აქვთ კიდევ საქართველოში მოწყობილი რევანშს მოწყურებულ დაშნაკ ნაციონალებს?

ფხიზლად უნდა ვიყოთ და თუ ერთი ადამიანის სისხლი მაინც დაიღვრება ნაცების მიერ მოწყობილი პროვოკაციის გამო, მკაცრად უნდა ვაზღვევინოთ ამ არაადამიანებს!

ქართულმა საზოგადოებამ, რომელიც 2016 წლის ოქტომბერში პოლიტიკური არჩევანის წინაშე დადგება, თავად უნდა გააკეთოს არჩევანი, გაპიდარასტებული ევროამერიკელების **"ბრძნული"** რჩევის გარეშე!

ჩვენ, უბრალოდ, ის სავარაუდო სურათი შემოგთავაზეთ, რაც შეიძლება მოჰყვეს არასწორი არჩევნის გაკეთებას...

დანარჩენი, როგორც ამბობენ, მავანთა პოლიტიკური გემოვნების საქმეა!

იცით, რატომ არ უნდათ ამერიკელებს სააკაშვილისა და ყველა დამნაშავე ნაცის დაჭერა – იმ **"ატკატების"** გამო, რომელსაც ნაცები უკან უგზავნიდნენ ევროამერიკელებს ქრთამის სახით და რომელზეც პირს მოაღებს მფრთხალი სააკაშვილი დაპატიმრებისთანავე. ეს კი ბევრს დააკარგვინებს ამგვარ სიბილწეში გახვეულ კონგრესმენებს, სენატორებსა თუ სხვა თანამდებობის პირებს. სხვაგვარად რას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ ჯერ კიდევ თავისუფლებაზე არიან დიდი სახელმწიფო თანხების მიმთვისებელი გიგა ბოკერია, საერთაშორისო დონის თაღლითი და ავანტიურისტი გივი თარგამაძე, უცებ გამილიარდერებული მათხოვარი კეზერაშვილი, პოლიტიკური მოძალადე დავით დარჩიაშვილი, არჩევნების მასობრივად გამყალბებელი ხათუნა გოგორიშვილი – ნაკლებად ნახავ ყოფილ მაღალჩინოსან **"ნაციონალს"**, უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაული რომ არ ჰქონდეს ჩადენილი...

ამიტომ იბრძვიან ევროამერიკელები თავგამოდებით, რომ სააკაშვილმა და მისმა ნაცებმა საქართველოში თუ არა, უკრაინაში მაინც იტივტივონ პოლიტიკურ ზედაპირზე.

ჰაი, ჰაი, რომ წყალში განავალიც ტივტივებს და სწორედ ასეთი მასა გახლავთ სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი ნაცმაფია!

ასევე საერთაშორისო დონის თაღლითმა და ავანტიურისტმა სააკაშვილმა ამერიკის პრეზიდენტობის რესპუბლიკელ კანდიდატ დონალდ ტრამპს სამასი მილიონი დოლარი მხოლოდ იმაში გადაუხადა, რომ ამერიკელ მილიარდერს საჯაროდ ეთქვა – საქართველოში მრავალმილიონიან ინვესტიციებს მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის ხათრით განვახორციელებო.

და ასეთი თაღლითი არამზადა იყრის კენჭს ამერიკის პრეზიდენტად!

ჯანდაბას იანკები, მაგრამ ნუთუ მართლა ასეთი ვიწრო აზროვნება გვაქვს ქართველებს, რომ აღარაფერი გვახსოვს?

## სიბრიყვე თუ უთავმოყვარეობა?

საფრანგეთმა თავზე გადაგვახია პირწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავის დავით კეზერაშვილის ექსტრადიციის მოთხოვნით გაგზავნილი უსტარი, ინტერპოლმა ძებნილთა სიიდან ამოიღო დაშნაკი დამნაშავე მიხეილ სააკაშვილი და სისხლისმსმელი ზურაბ ადეიშვილი, საბერძნეთმა კატეგორიული უარი გვითხრა დამნაშავე დათა ახალაიას გადმოცემაზე...

უამრავი ფაქტია, რაც შეურაცხყოფს ჩვენს ღირსებას და ნიჰილიზმს ნერგავს საზოგადოებაში.

ამას ემატება ისიც, რომ ჩამოდიან ფულზე სულგაყიდული გაქსუებული ევროპელი ჩინოვნიკები და თავხედურად გვასწავლიან, რომ პოლიტპატიმრები არ უნდა გყავდეთო! ისინი ტენდენციურად აწვდიან საზოგადოებას ნაცების მიერ მიწოდებულ დეზინფორმაციას საქართველოში სასამართლოებზე ხელისუფლების მკაცრი ზემოქმედების თაობაზე, მაგრამ ხმას არ იღებდნენ მაშინ, როცა მექალთანე ნარკომანმა სააკაშვილმა ჯიბის მოსამართლეებით გაავსო ეს უმნიშვნელოვანესი სახელისუფლებო სტრუქტურა, ციხეებში 38.000 ადამიანს უკრა თავი ყოველგვარი გამოძიების გარეშე, ქვეყანას კი 300.000 პრობაციონერი **"აჩუქა"**...

რა იციან ამ გაპიდარასტებულმა უჯიშოებმა, რომელი ნაცდაშნაკი რა მძიმე დანაშაულს სჩადიოდა ჩვენს ქვეყანაში?

რა უფლების ძალით აყენებენ შეურაცხყოფას ჩვენს სამართალდამცავებს და სამართლის აღდგენის მომლოდინე ქართულ საზოგადოებას?

ვინ მისცა მათ ჩვენს შიდა საქმეებში უხეშად ჩარევის უფლება?

გაიხსენეთ, როგორც მოექცა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ევროპარლამენტს, როცა ევროპელი ჩინოვნიკები უხეშად ჩაერივნენ აზერბაიჯანის შიდა საქმეებში?

**„ევრონესტი ფაქტობრივად ამორფულ ძალად იქცა და არავითარ საქმიანობას არ ახორციელებს! აზერბაიჯანის პარლამენტი, ბუნებრივია, წყვეტს თავის საქმიანობას ევრონესტში. ეს აზერბაიჯანის პარლამენტის სუვერენული უფლებაა. ამავე დროს, თქვენ ალბათ იცით, რომ ევროპის პარლამენტსა და აზერბაიჯანის პარლამენტს შორის თანამშრომლობა, ასევე, შეწყვეტილია. აი ჩვენს წინააღმდეგ ჩატარებული ბინძური კამპანიის შედეგები. აზერბაიჯანი ადექვატურად პასუხობდა და ამიერიდანაც უპასუხებს ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ თითოეულ ნაბიჯს!"** – აღნიშნა ალიევმა ბაქოში, ჩეხეთის პრეზიდენტ მილოშ ზემანთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

**„დღეს ევროპულ ფასეულობათა ძირგამოთხრის პროცესი მიმდინარეობს. ჩვენი რეგიონიდან ევროპა ყოველთვის მოჩანდა პროგრესულ, თანამედროვე, ტოლერანტულ სივრცედ. თუმცა დღეს ჩვენ, სამწუხაროდ, ვხედავთ ამას უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში. აგრესიული წრეები, რომლებიც სხვა, შესაძლოა ითქვას, ტოლერანტობადაკარგულ ქვეყნების საქმეებში ერევიან, დღეს, სამწუხაროდ, ბატონობენ ევროპის პარლამენტსა და ზოგიერთ სხვა სტრუქტურაში",** – განაცხადა ალიევმა.

მან აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ ევროპარლამენტის მიერ მიღებული კრიტიკული რეზოლუცია აზერბაიჯანთან დაკავშირებით **„სრულებით უსაფუძვლოა და სიცრუეზე, ცილისწამებასა და მიკერძოებულ დამოკიდებულებაზე აგებულ პოლიტიკურ პროვოკაციას წარმოადგენს".** ევროპარლამენტმა წინა კვირას მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდა აზერბაიჯანის ხელისუფლებას, გაათავისუფლოს სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, უფლებადამცველები და ჟურნალისტები და მოუწოდა ევროკომისიას, შემოიღოს სანქციები სასამართლოების, ოფიციალური პირებისა და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსების მიმართ, ასევე დაუწესოს მათ სავიზო შეზღუდვა.

ამის შემდეგ სავსებით ლოგიკურად გამოიყურება საქინფორმის განცხადება იმის თაობაზე, მიბაძავს თუ არა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევის მაგალითს? მასზე ხომ, ისევე, როგორც ალიევზე, გამუდმებულ ზეწოლას ახდენს დასავლეთი სააკაშვილისა და სხვა დამნაშავეთა – წინა ხელისუფლების პირველი პირების სისხლის სამართლებრივი დევნის გამო: ვითომდა სააკაშვილის **"ჯიბის"** ჟურნალისტებზე, ინგა გრიგოლიას სახით, და სააკაშვილის ტელეკომპანია **„რუსთავი 2"**-ზე ზეწოლის გამო, ევროპისა და აშშ-ის ფონდების მიერ დაფინანსებული, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, **„უფლებადამცველების"** აზრის იგნორირების გამო, და სხვა...

რა არის ეს, თუ არა ჩვენი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების და სამართალდამცავი სტრუქტურების უპატივცემულობა?!

როდემდე უნდა გვასწავლონ ჭკუა ქართველებს დამახინჯებული ფსიქოლოგიის მქონე ევროამერიკელებმა, რომელთაც აღარც რელიგიური სიწმინდეებისა სწამთ და აღარც ოჯახური ბედნიერებისა. მათ კარგად იციან ენგელსის მიერ გაჟღერებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ოჯახი სახელმწიფოს ფუნდამენტურ საყრდენს წარმოადგენს და სწორედ ამ ოჯახის ფუძის მორყევა სურთ კაცის კაცზე და ქალის ქალზე დაქორწინებით, რომლის დამკვიდრების გარეშე თურმე არც ევროკავშირში მიგვიღებენ და არც **ნატო**ში!

და ჩვენ, ქართველებს არავინ გვეკითხება, გვინდა თუ არა ასეთი ევროკავშირი და ასეთი **ნატო**, ისევე, როგორც არავინ ეკითხება ამის თაობაზე უკრაინელებს.

ასე მაგალითად, ამას წინათ განცხადება გააკეთა ცნობილმა გარყვნილმა ავადმყოფმა ელტონ ჯონმა იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც სურს დემოკრატიული საზოგადოება შექმნას, არ შეიძლება დარჩეს ქვეყნად, სადაც ყოველ წუთს და ყოველ წამს გეების, ლესბოსელების, ტრანსგენდერებისა თუ სხვა სექსუალური ორიენტაციის ადამიანების პირად ცხოვრებას ირონიით განიხილავენ. **"მგონი მოვიდა დრო, უკრაინა გეების თანამეგობრობას შეუერთდეს. მე მეგობრები და ახლობელი ადამიანები დამეხმარნენ გადამელახა შიში და მალევე, ჩემი ორიენტაციის შესახებ საზოგადოებას თამამად ვაუწყე. რამოდენიმე წლის წინ, უახლოეს წარსულში, მე და ჩემმა პარტნიორმა ჩვენი ურთიერთობა ოფიციალურად დავარეგისტრირეთ. ბედნიერი ვარ, რომ ამერიკის ხელისუფლებას ეყო გამბედაობა და სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს მისცა საშუალება ოფიციალურად იქორწინონ. თავად რომის პაპმაც კი განაცხადა, რომ მას არა აქვს უფლება მათი ცხოვრების წესი განსაჯოს. ასე, რომ თუ უკრაინის ხელისუფლება დემოკრატიულ ქვეყანას აშენებს, აქ საგანგაშო არაფერია. დიდი სურვილი მაქვს უკრაინა გეების ნავსაყუდელ ქვეყნად იქცეს"...** ეს უკვე თხოვნა კი არა, მოთხოვნაა! ფაქტია, რომ ევროამერიკელებმა უკრაინას უკვე მოუშიშვლეს უკანალი **"გასაევროპელებლად"**, რასაც ჯერჯერობით ქართველებს ვერ გვიბედავენ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ **"დანტონის შემდეგ რობესპიერის რიგი დგება"** და როცა უკრაინას გააპიდარასტებენ, ევროამერიკელი მასონები ჩვენც აუცილებლად მოგვთხოვენ გაპიდარასტებას!

ყველას მაინც **"მოუჯოკრა"** საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა BBC-ის გადაცემა HARD talk-ში სტუმრობისას შეკითხვაზე – მიდიან თუ არა რუსეთი და საქართველო იმ მიმართულებით, რომ 2008 წლის მსგავსი ომი განმეორდეს? – ასეთი პასუხი გასცა:

**"თუ მსოფლიო ისეთივე სისუსტეს გამოიჩენს საქართველოს მიმართ, როგორც ეს უკრაინისადმი გამოიჩინა, თუ მსოფლიო წარუმატებელი აღმოჩნდება თავისუფლების განვრცობაში... თუ ნატო იტყვის, ესაა ის, სადაც თავისუფლება სრულდება და ამის იქეთ ჩვენ აღარ ვდარდობთ – მაშინ დიახ, ეს მოხდება". – და დაამატა: "თუ რუსეთ-საქართველოს ომი, საქართველოს ნატოში გაწევრიანებამდე მოხდება, ჩვენ მოვკვდებით, როგორც გმირები, ეს არის ის, რაც ჩვენ შეიძლება ვქნათ".**

დარწმუნებული ვარ, რომ ქართული საზოგადოების დიდ ნაწილსაც გვიჩნდება კითხვა. – რით განსხვავდება რესპუბლიკელ-სოროსელი ხიდაშელი ნაცსოროსელი მიხეილ სააკაშვილისაგან, როგორც პოლიტიკური ავანტიურისტი და პროვოკატორი, რომელსაც კატასტროფული ზიანი შეუძლია მოუტანოს საქართველოს და ქართველ ხალხს?! მინდა გავაფრთხილო **"ქართულ ოცნებაში"** ჯანსაღად მოაზროვნე პიროვნებები და უწინარესად, ყოფილი პრემიერი ივანიშვილი და მოქმედი პრემიერი ღარიბაშვილი, რომ თუ დროულად არ გაანთავისუფლებთ თქვენს ხელისუფლებას **"სააკაშვილი 2"** თავდაცვის მინისტრისგან, მაშინ, არათუ თქვენი ხელისუფლებაში ყოფნა გახდება სათუო, არამედ საქართველოში აღარ დაგედგომებათ, ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება ჩვენი ქვეყანა და ხალხი!

**როლანდ ჯალაღანია,**
**"აია"-ს და "ფაზისი"-ს აკადემიების წევრი**

ზურაბ კვარაცხელია ბლოგი

# უფალი ყველაფერს ხედავს

## მოჯადოებული სივრცე...

ნამდვილად არ ვიქნები ორიგინალური თუ ვიტყვი, რომ კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ ერთი ადამიანი იყო უცოდველი... ყოველ შემთხვევაში ეს თვალსაზრისი საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისია... თუმცა, წარმოიდგინეთ, რომ ის ადამიანიც არ იყო მთლად ადამიანი, რადგან უფალი იყო, განკაცებული უფალი!..

მაშ, რატომაა, რომ ჩვენ უბრალო მოკვდავნი, ისე, თითქოს უცოდველი კრავები ვიყოთ და არა ვინმე ათასი ამქვეყნიური ცდუნების ხლართებში გახვეულნი – საკუთარ თავს ვაძლევთ უფლებას მუდმივად სხვის ცოდვა-დანაშაულზე ვიღაღადოთ?! რატომ არის, რომ განსაკუთრებით მიზანში გვყავს ამოღებული გამოჩენილი ისტორიული ფიგურები და გასაოცარი მონდომებით და აღტკინებით, გაუგონარი სიძულვილით და სიშლეგით არ ვიშურებთ მათი მისამართით ტალახის სროლას?! თან, როცა ამას ვაკეთებთ – მოწინააღმდეგეთაც დაუნდობლოდ ვამუნათებთ! ვამუნათებთ რაა, უფრო მეტიც – ვლანძღავთ და ლამის მიწასთან ვასწორებთ! ამ ადამიანებს რას არ დავაბრალებთ! ო, როგორ ვამხელთ, ო, როგორ უაპელაციოდ დავადანაშაულებთ მათ ვითომცდა ტოტალიტარიზმისადმი სიმპათიებში! უკულტურობაშიც და გაუნათლებლობაშიც დავადანაშაულებთ იდეურ მოწინააღმდეგეთ! მე კიდევ – მიკვირს! ძალიან მიკვირს ეს, თუმცა, წესით და რიგით ასეთი რამე აწი მე არც უნდა მიკვირდეს!.. თავში ისტორიის გამოჩენილ და გამორჩეულ ფიგურანტებზე ვამბობდი... ჰოდა, განსაკუთრებულად საკუთარი ერის წიაღში წარმოშობილ დიდ პიროვნებებს, საკაცობრიო ცხოვრებაში ეპოქალური და გრანდიოზული მოღვაწეობით გამორჩეულთ ვემტერებით და იმდენად ვართ ფობიებით შეპყრობილნი, რომ მათ ლანდებს და ძეგლებსაც ვეჯაჯგურებით! ერის მოღალატეებს ვეძახით მათ! ვეძახით, რადგან ვიღაცამ ასე გვითხრა! ვიღაცამ ასე აგვიხსნა! ვიღაცამ სადღაც ასე დაწერა და ჩვენც წავიკითხეთ თუ წაგვიკითხეს! კონიუნქტურაც ხომ მთლად ასეთია ჩემო ბატონო... და, რახან კონიუნქტურაა – ჩვენც კეთილი უნდა ვინებოთ და უნდა დავემორჩილოთ ამ კონიუნქტურას... აბა, ასე თუ არ მოვიქცევით – პროდასავლურებად არ მიგვიჩნევენ... ამის გარეშე არც გრანტებს მოგვცემენ ოკეანისგაღმიდან თუ სამწუხაროდ აწ უკვე გაპედერასტებული ევროპიდან! ასე რომ, უნდა დავცხოთ და ვეკვეთოთ! ჭორიც და მართალიც ერთმანეთში კარგად ალუფხული მანიაკალური ექსტაზით ვაფრქვიოთ გარშემო! არა აქვს მნიშვნელობა იმას – ვერკვევით საკითხში თუ არა! არც ანალიზი გვჭირდება! ფაქტებიც არ გვინდა! მაინცდამაინც თუ ფაქტებზეა საუბარია – ფალსიფიცირებულად უნდა წარმოვადგინოთ! კონტექსტიდან უნდა იყოს ყველაფერი ამოგლეჯილი! აი, ასე უნდა მოვიქცეთ, თორენ კრემლის პროპაგანდისტად მიგვიჩნევენ! მხოლოდ ამგვარი საქციელით და ამგვარი ბითურობით ავიცილებთ თავიდან პუტინოიდის, სტალინისტის თუ ლავრენტისტის იარლიყს!!! აი, ეს არის დღევანდელი მოცემულობა!!! აი, ეს არის ის მოჯადოებული სივრცე, ფსევდოეროვნულობით და ფსევდოლიბერალიზმით დაღდასმული სივრცე... სივრცე, რომლიდანაც ვერ ვაღწევთ თავს და მოიკალი ახლა თავი თუ გინდა!!!

**P.S.** ვიცი, კიდევ ერთხელ გავხდები მავანისგან გაჭორილი თუ განსჯილი! ვიცი, ინსინუაციებს ვერც ამჯერად ავიცდენ თავიდან! ვიცი, კარგად ვიცი ეს, მაგრამ ამის გამო საკუთარ მრწამსზე ნამდვილად არ ვიტყვი უარს, თუნდაც, ჭანისწყალმა აღმა კერნახონასაკენ დაიწყოს დინება!!!

## უფალი ყველაფერს ხედავს!..

ო, ღმერთო... რატომ არ გააკეთებ ისე, რომ ამ ინტერნეტსივრცეში ნუღარ ვიხილო ამდენი აბსურდული და თანაც ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები ამ ჩემი გაქრობის ზღვარზე მისული მეგრული ენის გარშემო... ერთნი ჯიუტად ცდილობენ დაგვიმტკიცონ – ჩვენ, ამის გამო შეწუხებულნი – ამ პრობლემატიკის აქტუალიზებას რომ ვლამობთ, ეს თურმე კრემლის ინტერესშია... მეორენი კიდევ, დაბეჯითებით გვახვევენ თავზე მოსაზრებას, რომ პირიქით, ამ პრობლემური საკითხის მიფუჩეჩება და მეგრული ენის კილოდ თუ კავად გამოცხადება არც მეტი არც ნაკლები ისევ კრემლის რომელიღაც მითიური გეგმის კონტექსტში ჯდება თურმე!.. ხომ შეიძლება ნორმალური ადამიანიც კი გაგიჟდე ამდენი აბსურდული და ბითურული თეორიების გაცნობის შემდეგ?!... არადა, ხალხნო! გეორგიანნო! კოლხ-იბერნო! გაიგეთ ბოლოსდაბოლოს, რომ იმ რუსებს ასედაც და ისედაც სულ ფეხებზე ჰკიდიათ ეს ყველაფერი! არაა ეს მათი პრობლემა! რუსეთს საკუთარი უამრავი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი და ვინც ასე თუ ისე ერკვევით მსოფლიო პროცესების დინამიკაში – უთუოდ მიხვდით ალბათ იმასაც, რომ ის მეტნაკლებად აგვარებს იმ თავის პრობლემებს!.. აი, მეგრული ენის პრობლემა კი ისაა, რომ ჩვენს საზოგადოებას, ქართველურ საზოგადოებას, ხელისუფლება-მთავრობას ჯერჯერობით ვერ გაუცნობიერებია ეს ჩვენივე მოსაგვარებელი რომაა! რომ, ამას სჭირდება საზოგადოებრიობის და სახელწიფოებრივი სტრუქტურების მხრიდან ყურადღება და მზრუნველობა! რომ, აუცილებელია მეგრული და საერთოდ ქართველური ენების დაცვა-განვითარებისათვის საკანონმდებლო გარანტიები! რომ, ჩამოსაყალიბებელია პროგრამა კომპლექსური ღონისძიებების გასატარებლად! რომ, სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესია და შესაქმნელია ეფექტური მექამიზმები!.. რომ... რომ... რომ... და ა. შ. ა.შ. და ა.შ...

და ბოლოს, ქართველური, კოლხურ-იბერიული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავალი, ხვალინდელი დღე – იმდენად იქნება დიდებული, ჯანსაღი და პერსპექტიული, რამდენადაც საზოგადოებრიობაც და ხელისუფლება-მთავრობაც ერთობლივად იქნება ორიენტირებული ჩვენი სამშობლოს ეროვნულ-ტრადიციულ-კულტურულ-ისტორიული ფასეულობების დაცვა-განვითარებაზე!

აი, ამის თქმის სურვილი გამიჩნდა ამ საღამოს ასე საჯაროდ და ვთქვი კიდევაც! ახლა, თქვენ, ვისაც როგორც გსურდეთ ისე განმსაჯეთ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ უფალი ყველაფერს ხედავს!..

**ზურაბ კვარაცხელია,**
**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს"**
**ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე**

# რენესანსი ლიტერატურაში

**ბიზანტიის დაცემისას გადარჩენილი ხელნაწერებიდან, რომის ნანგრევებიდან ამოთხრილი ანტიკური ქანდაკებებიდან გაკვირვებული დასავლეთის წინაშე წარმოდგა ახალი ქვეყანა – ბერძნული ანტიკურობა; მისი ნათელი სახეების წინაშე გაქრნენ შუა საუკუნეების მოჩვენებანი; იტალიაში ხელოვნებამ ჯერარნახულ აყვავებას მიაღწია, რომელშიც მოგვევლინა, როგორც კლასიკური ანტიკურობის ანარეკლი და რომლისთვისაც შემდეგში არასოდეს მიუღწევია. იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში წარმოიშვა ახალი, პირველი თანამედროვე ლიტერატურა; ამის შემდეგ მალე ინგლისი და ესპანეთი თავიანთი ლიტერატურის კლასიკურ პერიოდს დაიწყებენ. ძველი "Orbis terrarium"-ის ზღუდეები გაირღვა; მხოლოდ ახლა იქნა დედამიწა ნამდვილად აღმოჩენილი; საფუძველი ჩაეყარა მომავალ მსოფლიო ვაჭრობას და ხელოსნობის მანუფაქტურაში გადასვლის პროცესს, რაც, თავის მხრივ, თანამედროვე მსხვილი ინდუსტრიის ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა. ეკლესიის სულიერი დიქტატურა დაიმსხვრა; გერმანელ ხალხთა უმრავლესობამ პირდაპირ უკუაგდო იგი და პროტესტანტიზმი მიიღო, მაშინ როდესაც რომანულ ხალხებში უფრო და უფრო ფესვს იდგამდა არაბებისაგან გადმოღებული და ახლად აღმოჩენილი ბერძნული ფილოსოფიის მიერ ნასაზრდოები ნათელი, თავისუფალი აზროვნება, რომელიც რენესანსს – საუკუნის მატერიალიზმს ამზადებდა.**

**ეს იყო უდიდესი პროგრესული გადატრიალება, როგორიც კი მანამდე კაცობრიობას განუცდია, ეს იყო დრო, რომელსაც ბუმბერაზები ესაჭიროებოდა და რომელმაც ბუმბერაზები წარმოშვა, ბუმბერაზები აზრის სიძლიერით, გზნებითა და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით. ადამიანები, რომლებიც ბურჟუაზიის თანამედროვე ბატონობას ამყარებდნენ, ყველაფერი იყვნენ, მაგრამ ბურჟუაზიულად შეზღუდულნი არ ყოფილან".**

სხვა ადგილას ენგელსი განაგრძობს: **"ბურჟუაზიის ბრძოლა ფეოდალური თავადაზნაურობის წინააღმდეგ არის ქალაქის ბრძოლა სოფლის წინააღმდეგ, მრეწველობის ბრძოლა მონათმფლობელობის წინააღმდეგ, ფულის მეურნეობის ბრძოლა ნატურალური მეურნეობის წინააღმდეგ. ბურჟუაზიის გადამწყვეტი იარაღი ამ ბრძოლაში იყო მისი ეკონომიკური ძლიერების საშუალებანი, რომლებიც განუწყვეტლივ იზრდებოდა ჯერ ხელოსნური, ხოლო შემდეგ მანუფაქტურად განვითარებული მრეწველობისა და ვაჭრობის გაფართოების წყალობით. მთელი ამ ბრძოლის დროს პოლიტიკური ძალა თავადაზნაურობის მხარეზე იდგა, იმ პერიოდის გამოკლებით, როცა მეფის ხელისუფლება ბურჟუაზიას თავადაზნაურობის წინააღმდეგ იყენებდა, რათა ერთი წოდება მეორეს შემწეობით შეეკავებინა"**.

დასავლეთ ევროპის აბსოლუტური მონარქიები ისტორიულად ვითარდება ფეოდალებისა და ვაჭრების ერთმანეთთან ბრძოლაში: ბურჟუაზიის გაძლიერებასთან ერთად, ფეოდალი მეფე თანდათან გადაიქცა მემამულე აზნაურად, რომელიც აბსოლუტურ მონარქიაში შეეთვისა პრივილეგიური სოციალური ფენის კეთილმოწყობას და, სახელმწიფოს გაძლიერების დროს, ხშირად პოლიციელის თანამდებობასაც ასრულებს; ამრიგად, თავადაზნაურობა, ბურჟუაზიული ფენების გაბატონებული ინტერესების მოთხოვნით, შედის აბსოლუტური მონარქიის სამსახურში.

რენესანსი გათავისუფლების პერიოდია შუა საუკუნეებით დაღლილი ადამიანებისათვის. რენესანსის ცხოვრების სტილი დაკავშირებულია დიდი ქალაქების საქმიანობასთან. ადამიანებმა შეიმუშავეს ახალი სოციალური გარემოს შესაბამისი განწყობა. ჩნდება გონების კულტი, აზრის პატივისცემა, ტანის, სხეულის, სივრცის, სილამაზის ესთეტიკური გრძნობა. რომანტიკა ეუფლება სულს. ფეოდალური კარჩაკეტილობა ირღვევა. ეკლესიური განწყობილება ადგილს უთმობს საერო ხასიათის გრძნობებს. ღვთისმშობელი ეკლესიურ გამოსახულებაში ემსგავსება მადონას. პოეტები ეტრფიან ბეატრიჩეებს, ლაურებს, ფიამეტებს.

საქართველოში ქალის კულტი, სილამაზის პატივისცემა განსახიერდა თამარ მეფის სახეში. რუსთაველი, ჩახრუხაძე, შავთელი უგალობენ მშვენიერებას, ძლიერ პიროვნებას, ადამიანს; რუსთაველისა და დანტეს პოემებში, ჩახრუხაძისა და პეტრარკას ლექსებში, სარგის თმოგველისა და ბოკაჩოს მოთხრობებში ადამიანური განცდები და ემოციები სრულყოფილი სილამაზით ჟღერენ მაგრამ ქართული სოციალური კულტურა, მისი მშვენიერი გამოსახულება – ქართული ლიტერატურა თავისი მდიდარი სახეებით და ადამიანური ემოციებით, რუსთაველის მხატვრული მსოფლშეგრძნებით და მუსიკალური ორკესტრირებით, წინ უსწრებს იტალიის ადრინდელი რენესანსის პერიოდს. თაობიდან თაობას გადაეცემა ხოლმე ქართული გენიის ავთანდილური განწყობილება. საკაცობრიო იდეალების ჰუმანური ხმა საქართველოში მთელი ისტორიის მანძილზე არ შეწყვეტილა.

## რენესანსის ცნება

**"რენესანსი"** ისტორიული ცნებაა. მართალია **"რენესანსის"** ცნება ზოგად თავისებურებას გულისხმობს, მაგრამ როგორც ფორმით, ისე შინაარსით მისი წარმოშობა და განვითარება ყველა ქვეყანაში სპეციფიკურია; მისი შინაარსი სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ თავისებურებათა საფუძველზე იქმნება. რენესანსის განვითარების ისტორიული გზა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ-ოჯახურ ვითარებათა კონკრეტულ ნიადაგზე იშლება და გულისხმობს ადამიანთა გარკვეულ სოციალურ ფენებს, მათი ურთიერთობის ჩვევებს, საზოგადოებასა და ოჯახში შემუშავებულ ტრადიციას, განცდებს თავიანთი კანონზომიერი ცვლილებებით კულტურის მსვლელობის კვალდაკვალ.

კულტურის გადანაშთები ერთი ფორმაციიდან მეორე ფორმაციაში ისტორიული ხვეულებითა და ზიგზაგებით გადადის; კულტურის მიმდინარეობა გადაჯაჭვულია ისტორიულ-საზოგადოებრივ განცდებთან სოციალური ფენებისა და კლასების შინაგანი განვითარების დიალექტიკური აუცილებლობით. ცხადია, შეუძლებელია ლაპარაკი ერთი მსოფლიო რენესანსის შესახებ ზოგადად – ზეისტორიულად. არ არსებობს არც აღმოსავლეთის და და არც დასავლეთის რენესანსი სფერების მიხედვით; მაგალითად, იტალიაში გვაქვს რენესანსის გარკვეული, დამაჯერებელი ფორმა, ესპანეთში რენესანსი თითქმის არ ყოფილა, ინგლისში რენესანსის იდეოლოგიამ ერთობ თავისებური ხასიათი შეიძინა, ხოლო გერმანიაში რენესანსის მაგიერ, როგორც ენგელსი ამბობს, გვაქვს ეკლესიის რეფორმაცია.

სავსებით გასაგებია, რომ არც აღმოსავლეთში შეიძლებოდა რენესანსის იდეოლოგია ყველა ხალხში ერთნაირი ფორმით და შინაარსით ყოფილიყო გაშლილი. შეუძლებელია ქართული რენესანსის დაკავშირება აღმოსავლეთის რომელიმე ქვეყნის რენესანსთან, ან მთელი აღმოსავლეთის რენესანსთან, ასეთი რამ კიდევაც რომ არსებულიყო.

მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული განვითარების მანძილზე საქართველო ცხოვრობდა როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური, ისე იდეოლოგიური თავისებურებებით და აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებულად. საქართველოს ჰქონდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის, მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების თავისებური ტრადიცია, რომელიც არასოდეს ჰქონიათ აღმოსავლეთის ქვეყნებს.

დიდი ხანია ქართველი ხალხი ცხოვრობს მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში, მაგრამ მან არ მიიღო ამ ქვეყნების ტრადიციები, ყოფა-ცხოვრების წესები. ქართველი ხალხი ყოველთვის ებრძოდა აღმოსავლეთის ქვეყნების ტრადიციებს, ოჯახურ წესებს, ზნეობრივ ჩვევებს. საკმარისია დავასახელოთ მუსლიმანური ჰარამხანული ოჯახური წესი, რომელიც არ მიიღო საქართველომ; გარდა ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი მოღალატისა, არცერთი ქართველი პატრიოტი არ ყოფილა მომხრე საქართველოში ჰარამხანის შემოღებისა; ქართველმა ხალხმა ქალისათვის ამ დამამცირებელ ოჯახურ ორგანიზაციას დაუპირისპირა ქალის ღირსების ამაღლებული თაყვანისცემა და კულტი, რომელიც რუსთაველის გენიამ ისტორიულად უჩვეულო სიმაღლემდე აიყვანა; ხოჯაყაენების ჰარამხანებში ქალების ტანჯვასა და შეურაცხყოფას რუსთაველმა უპასუხა თავისი ესთეტიკურ-მორალური იდეალით, რომლის არა მარტო შეთანხმება, არამედ მიმსგავსება აღმოსავლეთის ქვეყნების იდეალებთან, ლოგიკურ შეუძლებელია და უმართებულოა.

**კონსტანტინე კაპანელი**

*(გაგრძელება იქნება)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტალანტები არ ხდებიან, ტალანტებად იბადებიან...



**“მდინარეები ფეხადგმული გზებია, რომელთაც მივყავართ იქით, საითაც გზა გვიძევს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც აღმა მიუყვებიან წყლის მდინარებას და იმდენად ღრმა კვალს სტოვებენ მის კალაპოტში, რომ ღვარცოფიც კი ვერასოდეს ახერხებს მის წაშლას!”** – დიდი მოაზროვნის, თავზარდამცემი გენიის მქონე მწერლისა და ფილოსოფოსის ბლეზ პასკალის ეს სიტყვები არავის მიესადაგება ისე, როგორც პატარა აფხაზეთის დიდ შვილს დიმიტრი გულიას, რომელმაც ჭეშმარიტად წარუხოცელი კვალი დასტოვა არა მხოლოდ ამ უაღრესად ნიჭიერი და ამაყი ხალხით დასახლებული ქვეყნის ცხოვრებაში.

დიმიტრი იოსების ძე გულია 1874 წელს დაიბადა აფხაზეთის ერთერთ ულამაზეს სოფელ უარჩაში. ეს ის პერიოდია, როცა რუსეთის უკიდეგანო სივრცეში დასახლებული ხალხები თანდათან იწყებდნენ გაუნათლებლობის სიბნელიდან გამოსვლას, ქვეყნად სოკოებივით მრავლდებოდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებები და სკოლები... მაგრამ, შესაბამისი განათლების მიღება მაინც თავადაზნაურთა წრის წარმომადგენლებსა და მდიდარი ოჯახის შვილებს შეეძლოთ. დიმიტრი გულიას ოჯახი კი ღარიბი გლეხობის ფენას წარმოადგენდა, მაგრამ ბავშვში იმთავითვე შეიმჩნეოდა დიდი ნიჭი, განათლებისაკენ სწრაფვა და შესაშური შრომისმოყვარეობა. ამიტომ, ოჯახმა ბევრი რამ გაყიდა იმისათვის, რომ პატარა დიმიტრი გორის საოსტატო სასწავლებელში მიებარებინათ.

აქ სწავლის წლებში მტკიცედ ჩამოყალიბდა აფხაზეთიდან ჩამოსული მოკრძალებული ბავშვის ცხოვრებისეული კრედო, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ შეგნებული სიცოცხლე მშობლიური აფხაზეთის კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისათვის მიეძღვნა...

ამ სკოლის სრული კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ დიმიტრი გულიამ მასწავლებლობას მიჰყო ხელი და არაერთი ღირსეული თაობა აღუზარდა როგორც მშობლიურ აფხაზეთს, ასევე სრულიად საქართველოს. ქართველი ხალხი განსაკუთრებულ ხსოვნად ინახავს დიმიტრი გულიას პედაგოგიურ მოღვაწეობას 1924-1926 წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ამ პერიოდის პედაგოგიურ საქმიანობას დიდად აფასებდნენ ქართული განათლების სისტემის გრანდები, აკადემიკოსები, დიდი ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე და სხვები, რომელთაც სავსებით სამართლიანად მიაჩნდათ, რომ დაარსებიდან რამდენიმე წელიწადში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო მნიშვნელობის სასწავლო ცენტრად ჩამოყალიბების საქმეში დიმიტრი გულიასაც საკმაოდ დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი.

ასევე დიდად აფასებდა დიმიტრი გულიას კულტურულ-საგანმანათლებლო და პედაგოგიურ მოღვაწეობას დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც მეგობრობდა აფხაზ შემოქმედთან და სწორედ ამ უნიჭიერესმა ტანდემმა ბევრ სასიკეთო წამოწყებას დაუდო სათავე აფხაზეთისა და საქართველოს ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში.

კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც უდიდეს პატივს სცემდა აფხაზურ კულტურას და ძირძველი აფხაზივით ჰქონდა შესისხლხორცებული აფხაზური ცხოვრების წესი, სიამაყით აღნიშნავდა, რომ დიმიტრი გულიამ იგი მრავალ აფხაზურ საიდუმლოს აზიარა, რამაც უდავოდ დიდი მწერლის ლიტერატურულ შემოქმედებაში მკვეთრად გამოსახა აფხაზ გმირთა შესანიშნავი გალერეა და ზოგადად აფხაზური ხაზი.

დიმიტრი გულიამ ვეებერთელა ღვაწლი დასდო ისტორიულად უმდიდრეს აფხაზურ კულტურას, რომელიც იმდროინდელ რუსეთში მიმდინარე, ცარისტული ხელისუფლების მიერ თავსმოხვეული დამთრგუნველი პროცესების მიზეზით ლამის მინავლებული გახლდათ. ამ მხრივ მართლაც მრავალმხრივი და ფართო გახლდათ დიმიტრი გულიას კულტურულ-საგანმანათლებლო და სამწერლო მოღვაწეობა.

ჯერ კიდევ 1892 წელს, მან ცნობილ ისტორიკოსსა და ლინგვისტ კონსტანტინე მაჭავარიანთან ერთად, რუსული გრაფიკის საფუძველზე შეადგინა აფხაზური ანბანი, რამაც დიდი სტიმული მისცა აფხაზეთის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების შემდგომი წინსვლის საქმეს.

როგორც სულმნათი დიმიტრი გულია, ასევე სხვა დიდი მეცნიერი გამორიცხავდა, რომ უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე აფხაზ ერს, მსგავსად კოლხურისა, საკუთარი დამწერლობა არ ჰქონოდა, რომელიც კოლხურთან ერთად ჩაიკარგა ისტორიის ჯურღმულებში. მაგრამ ამ საქმეში ჩასატარებელ დიდ კვლევით სამუშაოებს ხელს უშლიდა იმპერიის ხელისუფალთა მიერ შექმნილი ხელოვნური სიძნელეები, დრო კი არ ითმენდა და ამიტომაც გადაწყდა ახალი აფხაზური ანბანის შექმნა, რამაც უდიდესი როლი ითამაშა უძველესი აფხაზური კულტურისა და ლიტერატურის ძეგლების შენარჩუნებისა და ახალი ნაწარმოებების შექმნის საქმეში.

დიმიტრი გულიას ლექსთა პირველ კრებულებში, რომელიც 1912-1913 წლებში გამოვიდა დღის შუქზე, განსაკუთრებით იყო ხაზგასმული აფხაზი ერის დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, ყოველი სახის მჩაგვრელისადმი ღრმა სიძულვილი, ყოველი ლექსი უხვად იყო გაჯერებული პოეტის ოცნებით აფხაზი ხალხის უკეთეს მერმისზე, სამშობლოს ძლიერებაზე, მშობელი ხალხის ბედნიერებაზე...

1919-1920 წლებში დიმიტრი გულიას ინიციატივით სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზურენოვანი გაზეთი **“აფსნი”,** რომლის მთავარ რედაქტორად თავადვე დაინიშნა.

შექმნისთანავე იქცა ეს გაზეთი აფხაზი ხალხის იდეურ ორიენტირად და უაღრესად ავტორიტეტულ ბეჭდვით სიტყვად, რომელმაც ლიტერატურულ ასპარეზზე გაუხსნა გზა მრავალ ნიჭიერ აფხაზ შემოქმედს.

სწორედ ამ გაზეთში გამართული კომპეტენტური მოსაზრებებისა და მწვავე კრიტიკული წერილების გამოქვეყნების შემდეგ გადაწყდა სახელისუფლებო დონეზე, რომ 1921 წელს, მწვავე რევოლუციური გარდაქმნებისა და სოციალური რყევების ფონზე სოხუმში ჩამოყალიბებულიყო პირველი აფხაზური თეატრალური დასი. მართალია, დასის შემადგენლობაში თავიდან ჩართული იყვნენ თვითნასწავლი მსახიობები, მაგრამ მუდმივი შემოქმედებითი ძიების წყალობით სოხუმელთა დასი მოკლე ხანში ჩამოყალიბდა მაღალპროფესიულ შემოქმედებით თეატრალურ კოლექტივად.

დღეს ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ აფხაზეთსა და საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების ჩამოყალიბება მუხრუჭად ექცა ეროვნული პატრიოტიზმის, კულტურისა და ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეს, რაც კატეგორიულად არასწორია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ სრულიად ახალი ძალა შთაბერა და დადებითი სტიმული მისცა დიმიტრი გულიას და სხვა აფხაზი მკვლევარებისა და შემოქმედების მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობას. დიმიტრი გულიას ლამაზი ლიტერატურული შემოქმედების – ლექსებისა და პოემების მთავარი თემა გახდა საბჭოთა ხალხის გმირული შრომა, რამაც მოკლე ხანში აქცია დაჭაობებული კოლხეთი და აფხაზეთი ულამაზეს წალკოტად და მთელ საბჭოთა კავშირში მშრომელთა დასვენებისა და ეკზოტიკური ხილის მოწევის ერთადერთ სუბტროპიკულ ზონად.

დიმიტრი გულიას შემოქმედებაში ასევე ჭარბობდა ხალხთა მეგობრობა და შრომითი გმირობა, ისტორიული ჰეროიკა, აფხაზეთის განუმეორებელი ბუნება, სამშობლოს დაცვა გარე და შიდა მტრის თავდასხმებისაგან.

საბჭოთა კავშირში გადაიქუხა მეორე მსოფლიო ომმა, რომელშიც ჩვენმა უტეხმა, ქედმოუხრელმა ხალხმა ფაშიზმზე გაიმარჯვა დიდი ადამიანური მსხვერპლისა და ტანჯვის ფასად. ამ ომში აფხაზეთმაც დიდი მსხვერპლი გაიღო, მრავალი ოჯახის დედა, ცოლი და შვილი შეიმოსა ძაძებით, მაგრამ აფხაზეთმა სამშობლოს მისცა საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ხარაზია, რომელიც ვაჟკაცურად დაეცა მტერთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში და რომელსაც მხატვრული ფილმი **“დაბრუნება”** მიუძღვნა მსოფლიო კინოს პატრიარქმა რევაზ ჩხეიძემ (მთავარ როლს ცნობილი აფხაზი მსახიობი ადგურ ინალ იფა ასრულებდა). გაზეთი **“ილორი”**-ც მალე მიუძღვნის ამ შესანიშნავ მებრძოლსა და აფხაზი ხალხის წიაღში აღზრდილ გმირს ცალკე წერილს. სწორედ ამ მოვლენებმა ჩამოაყალიბეს ქვეყანაში ახალი შემოქმედებით პათოსი, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩნენ იმ აფხაზეთის პირმშო შემოქმედები, რომლებიც, სამშობლოს სახელით, თვეების განმავლობაში ფრონტის მოწინავე ხაზზე იმყოფებოდნენ, მაგრამ წამითაც არ დაუხევიათ უკან და გმირულად უკუაგდეს კბილებამდე შეიარაღებული მტერი.

ასევე მაღალპროდუქტიული გახლდათ დიმიტრი გულიასა და სხვა აფხაზ შემოქმედთა ლიტერატურული მოღვაწეობა, რომლებიც ომისშემდგომ მშვიდობიან მშენებლობასა და საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობაზე იყვნენ მოტივირებულები.

სწორედ ამ პერიოდში ქმნის დიმიტრი გულია პოემებსა და ლექსების ციკლს: **“შემოდგომა სოფელში”, “ჩემი ქალაქი”, “გაზაფხული აფხაზეთში”, “ამხანაგს”, “საახალწლო”, “რუსთაველის ძეგლი სოხუმში”, “ტარას შევჩენკო”, “ჯამბული”** და სხვა.

შეუფასებელია დიმიტრი გულიას მოღვაწეობა ისტორიულ სფეროში. სწორედ დიმიტრი გულიამ გაფანტა თავის ისტორიულ ნაშრომებში მავანთა მცდარი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აფხაზები ჩრდილოკავკასიური წარმოშობისანი არიან და დაამტკიცა, რომ აფხაზები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასთან ერთად მან დაამტკიცა, რომ კოლხეთის სახელმწიფოს გაჩენიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიაზე იხსენიებიან დღევანდელ აფხაზთა წინაპარი აბაზგები, რომელნიც მოძრაობის შედეგად სახლდებიან მდინარეების ბზიფსა და გუმისთას შორის ტერიტორიაზე და რომ აფხაზებს, როგორც სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ეთნოსს, უკვე პრეისტორიულ ხანაში გააჩნდათ სამშობლო. რთული და პასუხსაგები პრობლემის სრულებით ახალი თვალსაზრისით განხილვისა და დებულებათა წამოყენების დროს, შეცდომებისაგან თავის დაღწევა ძალიან ძნელიაო, აფრთხილებდა მეცნიერებს ივანე ჯავახიშვილი და სწორედ ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით მოუწოდებდა გულია ქართველ და აფხაზ ისტორიკოსებს, რომ მეტი ყურადღებითა რუდუნებით მოჰკიდებოდნენ ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული წარსული ობიექტურად გაშუქების საქმეს.

პირუთვნელ ლიტერატურულ კრიტიკოსებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ დიმიტრი გულიას შემოქმედება ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მხატვრული დონით და აზრში წვდომის განსაცვიფრებელი უნარით. დიდმა შემოქმედმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზური პროზის განვითარების საქმეშიც. მის კალამს ეკუთვნის პირველი აფხაზური ნოველა **“უცხო ცის ქვეშ”**, რომელიც 1919 წელს დაისტამბა და რომანი **“კამაჭიჭი”**, რომელმაც 1940 წელს იხილა მზის შუქი. დიმიტრი გულიას პროზაულ ნაწარმოებებში მაღალმხატვრულადაა ასახული აფხაზი ხალხის დუხჭირი ცხოვრება ცარიზმის ეპოქაში, ამ ქვეყნის ქალთა დამონებული მდგომარეობა, რევოლუციამდელი აფხაზეთის მძიმე ყოფა, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი. დიმიტრი გულიას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ლაკონურობა და აფხაზური ხალხური იუმორი.

აფხაზური თეატრის რეპერტუარში მტკიცედ დამკვიდრდა დიმიტრი გულიას დრამა **“აჩრდილები”,** რომელიც პირველად სცენაზე 1946 წელს დაიდგა. მასვე ეკუთვნის გამოკვლევები აფხაზეთის ისტორიული ხალხური ზეპირსიტყვიერების, ეთნოგრაფიისა და ენის საკითხებზე. სხვადასხვა დროს გამოიცა გულიას შესანიშნავი ნაწარმოებები **“აფხაზეთის ისტორია”, “აფხაზთა ნადირობის ღვთაება და სამონადირეო ენა”, “თხის კულტი აფხაზეთში”** და სხვა. დიმიტრი გულიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე სქელტანიანი ქრესტომათიები და სახელმძღვანელოები, აფხაზეთის ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგიური ლექსიკონი და სხვა ნაწარმოებები.

ქართულ-აფხაზური ძმური ურთიერთობის ძეგლად დადგა დიმიტრი გულიამ შოთა რუსთაველის უკვდავი **“ვეფხისტყაოსანი”,** რომელიც აფხაზურ ენაზე თარგმნა. ასევე თარგმნა და აფხაზურ ენაზე პირადი ინიციატივით გამოსცა მან ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები.

ეს წერილი მინდა დავასრულო დიდი ფრანგი პედაგოგისა და ფილოსოფოსის ჟან-ჟაკ რუსოს სიტყვებით: **“ტალანტები არ ხდებიან, ტალანტებად იბადებიან...”**

სწორედ ამგვარ ტალანტად და მეგობრობის ბურჯად მოევლინა ქართველ და აფხაზ ხალხებს დიდი შემოქმედი და მამულიშვილი **დიმიტრი გულია!**

**გაზეთ “ილორი”-ს კომენტარი** – *უბედურება ხშირად წლობით უმზადდება ხოლმე ამა თუ იმ ერს მათივე საშოში სატანის მიერ ჩასახული უღირსი შვილების მიერ. არავინ იცის, როდის დაიწყო გაუცხოება აფხაზურ და ქართულ სულებს შორის, მაგრამ ეს რომ შორეული მტრის ნამოქმედარია, ამას დიდი მეცნიერული დასკვნების გაკეთება არ სჭირდება. ქართულ-აფხაზური საბედისწერო ტრაგიკული მოვლენებიც ბევრად ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ ცოცხლები აღარ იყვნენ აფხაზი და ქართველი ჭეშმარიტი რაინდები დიმიტრი გულია, კონსტანტინე მაჭავარიანი, სოკრატ არშბა, ბაგრატ შინკუბა, ბორის ადლეიბა, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ახვლედიანი, კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი შანიძე, სხვანი და სხვანი, რომლებიც ომახიანად შეგვიძახებდნენ, ცოტას გაგვილაწუნებდნენ კიდეც და მანამდე გამოგვაფხიზლებდნენ, ვიდრე იარაღს მივუშვერდით ერთმანეთს. გამორიცხული არ არის, რომ ჩვენს ურთიერთობებში ადგილი ჰქონოდა გარკვეულ პოლიტიკურ რყევებს, მაგრამ ეს ადამიანები საქმეს ომამდე ნამდვილად არ მიიყვანდნენ. სამაგიეროდ იყვნენ შევარდნაძეები, იოსელიანები და სხვა არამზადები, რომელთაც საკუთარ ანგარებასა და სიხარბეს ანაცვალეს ქართულ-აფხაზური მრავალსაუკუნოვანი ძმობა და ერთობა და ძმა ძმაზე მიუშვეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ საბრძოლველად.*

*ერთი წამით მინდა წამოვაყენო საფლავიდან აზროვნებისა და ხალხთა შორის დანთებული სიყვარულის ეს დევგმირები და წარმოვიდგინო, თუ რას იტყოდა დიმიტრი გულია ერთმანეთზე ვიღაცის ბოროტი ნებით შემკვდარ აფხაზ და ქართველ ბიჭებზე: “მდინარე ენგურის შუაგულში გავაკეთოთ ხელოვნური კუნძული, ზედ აღვმართოთ ხელთუქმნელი ძეგლი და მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად კვარცხლბეკს გავუკეთოთ შემდეგი წარწერა: “ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის”!*

როლანდ ჯალაღანია,
“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი

# ზარბეგ ბერიაშვილი: ყაჩაღები სხედან ამ "საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურებში" და მათ მიერ მოცემული სესხი ზურგში ნასროლ ტყვიასავითაა!

*სახელგანთქმულმა ქართველმა ფალავანმა და სამეურნეო საქმიანობის სამაგალითო ორგანიზატორმა ზარბეგ ბერიაშვილმა გაზეთ "საქართველო და მსოფლიოსთან" საუბარი მადლობის თქმით დაიწყო:*

– მადლობა მინდა ვუთხრა თქვენი გაზეთის მთავარ რედაქტორს, ბატონ ირაკლი თოდუას. მისი ხელმძღვანელობით თქვენი გაზეთი ისეთ იშვიათ გამოცემად იქცა, რომელიც ხალხს სიმართლეს ეუბნება, ამიტომ მიხარია თქვენს რედაქციაში მოსვლა.

**– ბატონო ზარბეგ, ტელეფონით საუბარში შეგატყვეთ, რომ სათქმელი დაგიგროვდათ.**

– მხოლოდ მე კი არა, საქართველოს, ჩვენს მოქალაქეებს დაუგროვდა ბევრი სათქმელი, სურვილებიც, რა თქმა უნდა, შეკითხვებიც. 25 წელიწადია, საბჭოთა კავშირი დაიშალა, ყველას ეშველა, ისეთ რესპუბლიკებსაც კი, რომლებიც სახელმწიფო დოტაციაზე იმყოფებოდა, სომხეთს, მაგალითად. თუ არ მეშლება, საკავშირო დოტაცია ჩვენი ამ მეზობლის ეკონომიკაში 40 პროცენტი იყო. დღეს სომხეთში, რომელიც, ფაქტობრივად ბლოკადაში იმყოფება, გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ერთ დროს წარმატებულ საქართველოში. გადით ჩვენს ბაზრებში და ნახავთ, რომ იქ სომხური პროდუქტი ქართულზე მეტია. საქართველოსთვის ყველა მიმართულებით გზა გახსნილია, ბევრ ქვეყანასთან გვაქვს საქმიანი ურთიერთობა და მაინც ვერ გვიშველია საკუთარი თავისთვის. ვერ გამიგია, რა ხდება. ძალით ხომ არ გვაგდებენ ამ მდგომარეობაში?! ვიღაც სპეციალურად ხომ არ აკეთებს ამას?! აქედან – ხელშეშლა, იქიდან – ხელშეშლა, და ხალხი გაჭირვებაშია.

ეკონომიკა ფეხზე ვერა და ვერ დადგა. მე ის მიკვირს, 160-ლარიან პენსიას კიდევ როგორ აძლევენ ხანდაზმულ, დამსახურებულ ადამიანებს.

თუ რამ იქმნება საქართველოში, უცხოური ფირმებისაა, და იქიდან მიღებული მოგება ისევ უცხოეთში მიდის.

**– ამ ყველაფერს ემატება ეროვნული ვალუტის პრობლემა, რომელიც კატასტროფულად გაუფასურდა.**

– საქართველოში ბევრია განათლებული, გამოცდილი და ამ საკითხში ჩახედული ადამიანი, რომლებიც ამ თემაზე პროფესიულად ისაუბრებენ... მაგრამ მაინც ვიტყვი:

დოლარი გამყარდა, ლარი გაუფასურდა. ნავთობი გაიაფდა, სხვა ყველაფერი გაძვირდა. საწვავის გაძვირება ფართო მოხმარების საქონლის გაძვირებას რომ იწვევდა, ვიცოდით, მაგრამ ერთის გაიაფება მეორის გაიაფებას რატომ არ იწვევს?

და, გაიაფება საერთოდ რომ არ ხდება საქართველოში, ეს ხომ ფაქტია!

**– რატომ? იდეები ხომ უფასურდება, სინდის-ნამუსიც, ბატონო ზარბეგ?**

– ეგ ასეა... საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული ვალუტების გაიაფებას, ჩემი აზრით, ქართულ ლარზე ნაკლებად უნდა ემოქმედა. მოხდა კი პირიქით. ვერ გავიგე, რა ხდება.

– ეკონომიკის ექსპერტები, რომლებიც ბოლო დროს არნახულად მოგვიმრავლდნენ, ლარის დევალვაციის პროცესს ხან ხადურს აბრალებენ – ფინანსთა მინისტრს, ხან ქადაგიძეს – ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.

– ჩვენთან ხომ ყველაფერი პერსონიფიცირებულია... მაპატიეთ კადნიერება, მაგრამ ისევ ჩემს აზრს მოგახსენებთ. ეროვნულმა ბანკმა რამდენიმე წლის წინათ რა დამართა ბიძინა ივანიშვილის "ბანკ ქართუს" ხომ ცნობილია?! მაშინ, როგორც პროფესიონალები ამბობდნენ, კატასტროფის წინაშე დადგა მთელი ჩვენი საბანკო სისტემა. ვინმეს მოეკითხა ამის გამო? – არა. პრესის მეშვეობით შევიტყვე, რომ ეროვნული ბანკი ისე იქცევა, თითქოს ის ფული, რომელიც მის სეიფებში დევს, მისი საკუთრება იყოს: მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდს წინასწარ გადაუხადა ის ვალი, რომელიც 2017 წელს უნდა გაესტუმრებინა. რა თქმა უნდა, დოლარებში. რატომ იჩქარა ეროვნულმა ბანკმა ამ ვალუტის გადინება ქვეყნიდან? ეს არ არის დანაშაული? ქადაგიძე ამით სსფ-ს ხელმძღვანელებთან **"საქმეს თუ იკეთებს"**, არ ვიცი, მაგრამ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ დანაშაულს რომ სჩადის, აშკარაა. ვალის წინასწარ გადახდის საშუალება ძალიან მდიდარ ქვეყნებსაც არ აქვთ. რა დავარქვათ ამას, კუდაბზიკობა, თუ ქვეყნის საფინანსო სისტემის შერყევა?

ასეთი დანაშაულისთვის (დაჭერისგან ღმერთმა დაიფაროს), პასუხისგებაში უნდა მიეცეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, დიდი ჯარიმა უნდა დაეკისროს პირადად მას და მოიკვეთოს საქართველოდან.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ გამძარცველი და გამყვლეფია ყველა იმ ქვეყნისა, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონია და აქვს. ყაჩაღები სხედან ამ "საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურებში", როგორც მათ უწოდებენ. მათ მიერ მოცემული სესხი ზურგში ნასროლ ტყვიასავითააო, – ხშირად უთქვამთ პროფესიონალ ფინანსისტებს.

ესეც პრესაში მაქვს წაკითხული.

ეროვნულ ბანკს კი მეთვალყურეც არ ჰყავდა. ახლა, როცა ცალკე გამოყვეს მისი მაკონტროლებელი სპეციალური სტრუქტურა, **"ნაციონალებმა"** ისეთი წივილ-კივილი ატეხეს, გეგონებოდათ, ცა ჩამოექცათ თავზეო.

**– ამით ერთხელ კიდევ გააღრმავეს ეჭვი თავიანთ "არანორმატიულ" კავშირზე აღნიშნულ საფინანსო სტრუქტურებთან.**

– შეიძლება, ასეც იყოს. აქედან დასკვნა: დამნაშავეა ის, ვინც ამ გარიგებიდან მოგებას ნახულობს.

ერთიც – ვინც ფულს შოულობს, დოლარებში ინახავს. შემდეგ ეს დოლარები გააქვთ საზღვარგარეთ, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენთან დარჩეს. ასეც ჩნდება ვალუტის დეფიციტი.

**– ბოლო ხანს გამოქვეყნებული წერილებით ექსპერტები ამტკიცებენ, რომ "ნაციონალების" მიერ ინსპირირებული "ყურძნის რევოლუცია" ჩაფლავდა.**

– ჩაფლავება იმთავითვე ეწერა, რადგან ხალხი არ არის ისეთი მიამიტი, როგორიც ადრე იყო. რთველთან ერთად **"ნაცების"** პროვოკაციაც მთავრდება.

არ გეწყინოთ, ერთ რამეს გეტყვით: მთელი ის აჟიოტაჟი, რომელიც ყურძნის შესასყიდი ფასების გამო ატყდა, თქვენი, ჟურნალისტების ბრალია. ერთ მაგალითსაც დაგისახელებთ. 23 სექტემბრის **"ალია"** წერდა: **"22 სექტემბერს... როცა ამ არხზე ("რუსთავი 2"-ზე) გავიდა სიუჟეტი, სადაც ვნახეთ, როგორ ჩეხს "საკუთარ" ვენახს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში მცხოვრები გელა გრიშჩენკო"**. გაზეთმა ამხილა სიყალბეში ეს ვიღაც გრიშჩენკო და **"ნაცმოძრაობის"** აქტივისტი.

ამ ვენახის პატრონი მარუსა დოლეჯაშვილი თქვენს კოლეგას ეუბნება: **"...ეგა გვქონდა ადრეულა ვენახი, აგვისტოში მორჩა მაგისი კრეფა. დაძველდა, დაბერდა ვაზი და ჩვენ თვითონ ვაპირებდით გაჩეხვასა. ვაზი სუ აქეთ-იქით იყო წაქცეული... ვიღაცები მიუყვანია, ერთი ამბავი ყოფილა, გადაუღიათ, ტელევიზორშიც ყოფილა. ეგ ჩვენი ვენახია, გრიშჩენკო ჩვენი მომიჯნეა... მაგან ახალი გააშენა, იმას როგორ გეეკარებოდა?.. ეგ მაინც გადასაჭრელი იყო"...**

ასეთი სიყალბით შეეცადა **"რუსთავი 2"** ხალხის გაბითურებას. ასეთი მიკერძოებული მაგალითი უამრავია. ნასყიდი ჟურნალისტები მოგვიმრავლდნენ, სამწუხაროდ...

ტაშს რომ ვუკრავდით, – საბაზრო ეკონომიკა გვინდაო, გამყიდველს ეგონა, რასაც ბაზარში ფასს დაადებდა, იმდენად გაყიდდა, მყიდველი დარწმუნებული იყო, რასაც მისცემდა, იმას იკმარებდა გამყიდველი.

სოფელში გაზრდილი კაცი ვარ და ნურავინ მასწავლის გლეხის შრომის დაფასებას. კილოგრამი ყურძენი ლარი კი არა, ხუთიც უნდა ღირდეს. მაგრამ მყიდველიც კერძო პირია და გამყიდველიც. მთავრობა რა შუაშია?! ასე ჩაწერეთ! მაგრამ გლეხს კომპენსაციას რომ აძლევს, ვისი ფულია?

**– ჩვენი, ბიუჯეტის.**

– ამიტომაც გვაქვს პენსია 160 ლარი. ამაზე კი უნდა დაფიქრდეს მთავრობა...

წინა ხელისუფლებამ მოსპო ანტიმონოპოლიური სამსახური. მონოპოლია **"თელასს"** აქვს ჩაგდებული! აბა, სხვა წყარო მითხარით, რომელთანაც შევძლებ ხელშეკრულების გაფორმებას ელექტროენერგიის მისაღებად? ასეთი წყარო არ არსებობს. იგივე შეიძლება ითქვას წყალზე დაწესებულ მონოპოლიაზე. საწვავშიც იგივე არ არის? ძალიან კარგია დიდი მოგება: სახელმწიფოსაც ხელს აძლევს – მოგების 15 პროცენტი მასთან მიდის. უხარია. მაგრამ სხვაგან რომ საქმე ფუჭდება და ათი იმდენი ეკარგება, ამას რა ვუყოთ?

ისედაც გაჭირვებული ხალხის კისერზე ტყდება ყველაფერი. მთავრობა რომ ხარ, გააკეთე ისე, ხალხი არ აზარალო, დიდი შემოსავლის მიღების საშუალება მიეცი, დაუკავე საშემოსავლო, იქნებ, მონოპოლისტების გადასახადებზე მეტი შემოგივიდეს. არ აჯობებს ასე? ხალხიც კმაყოფილი დაგრჩება...

კომუნისტებს ყველაფერი დასაძრახი არ ჰქონდათ... ეგეც ჩაწერეთ. რაიკომის მდივანი კაი დედ-მამის შვილი იყო და გაბედავდა, ხალხის მიღების საათები ყოველკვირეულად არ ჰქონოდა.

ჩვენი დღევანდელი გამგებლები კი ისე გაურბიან ხალხთან ლაპარაკს, როგორც შავ ჭირს. ელექტროფოსტით გამოგვიგზავნეთო თქვენი საჩივარი. ტელეფონის ზარს არ უპასუხებენ, – **"მესიჯით"** შემატყობინეთო. ჩვენი მოქალაქეების რამდენ პროცენტს შეუძლია ამ ახალი ტექნიკური შესაძლებლობებით სარგებლობა? დიდი-დიდი 20 პროცენტს. დანარჩენს რა, კისერიც უტეხიათ?! საყოველთაო კომპიუტერიზაციიდან ჯერ ძალიან შორს ვდგავართ.

– ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, 23 სექტემბერს კახეთში ბოლო 25 წლის განმავლობაში რეკორდული რაოდენობის ყურძენი დაიწურა – 6722 ტონა. ერთ დღეზეა ლაპარაკი. 28 სექტემბრის დილის მონაცემებით კი სულ 72 ათას ტონამდეა გადამუშავებული. **"ნაცები"** კი ამტკიცებდნენ, რომ გლეხს ურჩევნია, გაუფუჭდეს მოსავალი, ვიდრე კილოგრამი 60 თეთრად ჩააბაროსო.

– დიდი ჭკუა და გამჭრიახობა არაა საჭირო იმისთვის, გავარკვიოთ, არეულობა კახეთში **"ნაციონალების"** მიერ რომ იყო ორგანიზებული და, რაც მთავარია, გაყიდული პრესისა და ტელევიზიების მიერ მხარდაჭერილი. ვინმემ შეჰკადრა საყვედური მაინც? – არა. სიტყვის თავისუფლების პრინციპების დაცვა ამის უფლებას არ გვაძლევსო. არეულობისკენ მოწოდება, თუ სიტყვის თავისუფლებას ნიშნავდა, აქამდე არ ვიცოდი.

ან **"საქართველო და მსოფლიოს"** ენა რომ შეგაჩვიეს, ხომ პირდაპირ და უშეცდომოდ მიგვანიშნებს, რომ ასეთი სიცრუის გამავრცელებელი ე.წ. ენჯეოები თვითონ არიან უხვად დაფინანსებული, თანაც იმ ძალების მიერ, რომლებსაც ეს საქმე სრულიად მსოფლიოში აქვთ სანიმუშოდ აწყობილი. პროვოკატორობა ჰქვია ამას.

მადლობა ღმერთს, ჩვენს ხალხს ამ იაფფასიანი საკენკით ვერ შეაცდენ.

ესაუბრა არმაზ სანებლიძე

**P.S.**-ის ნაცვლად: – *სასაცილოა, როცა პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს შორის ისეთი ურთიერთობაა, ისეთი კურიოზული დამოკიდებულება, რომ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებით. ასეთი თავკერძობა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ავტორიტეტის დაცემას უწყობს ხელს. მეეჭვება, რომ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, რომელიმე სხვა ქვეყანა პრემიერ-მინისტრითა და პრეზიდენტით ერთდროულად ყოფილიყო წარმოდგენილი, ცალ-ცალკე დელეგაციებითა და სხვადასხვა თვითმფრინავით ჩასული, – გულდაწყვეტით ასკვნის ბატონი ზარბეგ ბერიაშვილი, – თქვენს მკითხველებს არ ესწავლება, რომ "წესების გარეშე ბრძოლასაც" აქვს თავისი წესები და, რა ძნელი დასაცავი უნდა იყოს ორი უმაღლესი პირის მიერ ურთიერთობისა და სახელმწიფოს მართვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ისე აღსრულება, ქართულ სახელმწიფოს რომ არ ავნონ?!*

---

**პოეზიის კუთხე**

## მოკო რინა

მოკო რინა ძალიერ,
ვორდე ართო ბედინერ
ოჩხონუას ბერეხ ერ,
ნამუს ჯოხო დიდ იბერ.
გინოძუდას ნოთე ფერ-
ვარკალანდას ერ დო ბერ.
იხვამანდას კოლხ-იბერ
დო თეთ ვორდათ ბედინერ!
...
ოდაბადეშ ჯგირობუას,
კოლხ ქომორ იხვამანდუ
ოხორონტუდ თარანგელს,
დომიხვამ მიდგა მარდუ.
თერ არძ თე ქიანას
სკან მარდ რე ჩქიმ ნერჩ.
გვიტილურით თეს იხვამანს
ხორონტ ტიბინ თის მეჩ!
ორთაშ თირა
ორთას მიკარედ არიკულ თირა...
მა თოლბკინდ დო ხიოლით ბძირ თინა,-
მუჭოთ ხანტურელ სკვამა ჩქიმ რინაშ,
ტარტულერო ვარკალანდ თერ ირა.
კოჩიშ გურშოთ ამო რე თიშ ძირა
დო თეშენ იბჭყანდ ნიტერათ ბირას;
ორთას მიკარედ არიკულ თირა
დო თე სკვამ ონთხიშ ხიოლ რდ ძირა.
აია სუმორ
ხრისტეშ მარდით წომ მა მევურქ,
ვიშო-აშო როუ მოჩქუ...
აკან რე თაქ გინანთხაფუ,
ღართმობარკილ ქერქენჯ მორჩუ.
მუახოლ დიდ ნაოხვამუს,
სოდეთ ქიაჩ გინიბჭარ.
ინცეონო ცა გოვალუნს
დო სტიქიონეფ ბრელ დობჭარ.
აკანს გებრექ ნაოხვამუს
სოდეთ ხვამუ იხვამანდუ.
ფურ კოჩიშოთ გურიშ მერეხ-
ცა ვალუას ისკვამანსუ
პაპა , ტე დო აია შურ,
ხვამუ ორე ჟიდონიშე.
ჩქი ცაშ ხორონ დიბრთინუათ,
მარდ იყუაფ ხორონტიშე.
როუ, რობუ- ხეობა
ინცეონ-სასწაული
ხორონ, ყოროფა- სიყვარული
კოჩანა
'კოს კოჩანა ვაუღუდა,
მუს უკეთენს ბრელ ფარა'.
თაშ რაგადანდ ჯვეშშე მარგალ
თიშენ უღუდ ბერსელ ჭყანა.
ისტორიას ვაუჩქ მარა,
ქუმურს თიშ ბორჯ, დრო დო ხანა;
გეახალებ თე ჯვეშ ზისხირ
დო მიაჩამ კოს კოჩანა.
ფარამ რინა გეხვილურ რე,
ვე მიყოთა სკან ღირალა;
მარა თარ რე პატის ორდე,
ვერგუ ქვირთუ უღირალა
ირფერ ოშკეთ ანაწილე
ჯიბეს ფარა, გურს კოჩანა;
არზ დო გონს გაანაწილე,
ჯვეშშე ეფშა ნაბაჩვალა:
'კოს კოჩანა ვაუღუდა,
მუს უკეთენს ბრელ ფარა.'
თაშ რაგადანდ ჯვეშშე მარგალ
თიშენ უღუდ ბერსელ ჭყანა!
გეხვილურ-საჭირო
მეს
ხიოლ რე მესიშ თუთას,
სკვან ორთაწკმა ხოლოს რინ.
ლაიტ ნელას ეთმეურს დო
გათმალაფანს ნოთე ჟინ.
ცაშ ბინეხიშ პეულეფს,
ძღაბ სკვამ კაბამ ულუანს.
ყოროფათ გითმიჯინე
დო თიშ შუროლს უნთხუანს
დო მარჭიხოლ ღურჭულით,
ბუჯეს ორთვალს აფორანს.
ოხორ ხარენს წკანტირათ,
სოდეთ შვიდონ გაფორანს!
...
ჭიჭე მუთუნ ჩქი მიჩქუნა
ოხორონე ქიანაშ
ჯვეშ ნაჭარეფ მედინაფე,
მუშენ მოხვად თექ თაშ?
თარ თინა თინუ რდას,
ბერეხ ამბე გვიჩქუდას.
მუშ რჩქინათ წამალ რე
მი მუ რე დო მიდგა რდას!
გურ ალხუ თით თინა რე,
ოგარ რე დო იძიცანს!

მალხაზ გრიგოლია,
აბაშა

# “ეს ცხონებული ზურა ადეიშვილი... აცხონოთ უკრაინაში და გლდანში”



**“არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა”-ო –** გვ-მოძღვრავს ძველი ქართული ანდაზა. მაგრამ **“ნაცანალური”** ტელეარხები მაინც ჯიუტად ცდილობენ **“ყორანის გათეთრებას”,** რადგან ახლოვდება 2016 წლის არჩევნები და ავადსახსენებელი ნაციონალები თავხედური აპლომბით ფიქრობენ რომ **“ქართული ოცნების”** ხელისუფლების აშკარა ჩავარდნები ქვეყნის ლამის ყველა სიცოცხლისმიერ სფეროში მათ პოლიტიკურ წისქვილზე ასხამს წყალს...

ამაოა მათი გარჯა, რადგან ნაციონალ დაშნაკთა პოლიტიკური სამოსი სისხლითაა მოთხვრილი, რომლის მოცილება ზოგჯერ ქიმწმენდის უახლესი საშუალებების გამოყენებითაც კი შეუძლებელია.

...გირგვლიანი, შარაძე, რობაქიძე, ვაზაგაშვილი, ხუბულოვი, თეთრაშვილი... – საკმაოდ გრძელია ნაციონალთა მიერ სისხლდადენილი ადამიანების ჩამონათვალი.

ახლახან გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ნაციონალები კახეთის გზატკეცილზე მდებარე ცენტრალურ ოფისს ჰყიდიან და ქალაქის ცენტრში გადმოდიან. არა და, თავის დროზე, იცოდნენ რა, რომ ქართველი ხალხის რისხვას თავიდან ოდესმე მაინც ვერ აიცილებდნენ, კახეთის გზატკეცილზე იმიტომ გამართეს ოფისი, რომ იქიდან იოლად მოახერხებდნენ უცხოეთში გაქცევას და დამსახურებული სასჯელისაგან თავის დახსნას. ახლა კი, **“ქართული ოცნების”** ხელისუფლების ინდეფერენტულობის გამო, რომელთაც ამერიკელებმა კატეგორიულად აუკრძალეს დაშნაკი ნაცებისადმი საკადრისის მიზღვა, ეტყობა ამ არაკაცებსა და არაქალებს გული მოეცათ და კვლავ ქალაქის ცენტრში გადაწყვიტეს დაბრუნება.

მართლაც ქართველი ხალხის დიდი სირცხვილია ის, რომ დღემდე ვერ მოვიშორეთ თავიდან ეს საქართველოს დამანგრეველ-გამანადგურებელი ძალა. დაშნაკი სააკაშვილი და მისი ნაცბანდა კი კვლავაც ცდილობს ქვეყნის ბედის ჩარხის უკუღმა შებრუნებას, რაც ქართველმა ხალხმა არა და არ უნდა დაუშვას!

ნაციონალთა რეინკარნაციის ურცხვი მცდელობა გახლდათ ტელეარხ **“რუსთავი-2”-ზე “ნანუკას შოუს”** 30 სექტემბრის გადაცემა, რომლის სტუმარი გახლდათ **“ნაციონალთა ერთ-ერთი მთავარი ყორანი”,** საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი, ზურაბ ადეიშვილი.

ადეიშვილის ინტერვიუს მოგვიანებით ჟურნალისტი კოკა ყანდიაშვილი ფეისბუქის პირად გვერდზე გამოეხმაურა.

**“ეს ცხონებული ზურა ადეიშვილი:**

**– ანგელოზი ყოფილა**
**– დემოკრატი ანგელოზი**
**– რეფორმატორი ანგელოზი**
**– გაღლეტილი ანგელოზი**
**– ლამაზი ანგელოზი**
**– სპორტსმენი ანგელოზი**
**– მაღალი ანგელოზი**
**– ტანადი ანგელოზი**
**– ცისფერთვალება ანგელოზი**
**– ულვაშებიანი ანგელოზი**
**– ვაჟკაცური ანგელოზი**
**– ვეგეტარიენელი ანგელოზი**
**– ჯანმრთელი ანგელოზი**
**– ინოვატორი ანგელოზი**
**– პოეტი ანგელოზი**
**– ტენორი ანგელოზი**
**– ექიმი ანგელოზი**
**– მეხანძრე ანგელოზი**
**– უამბიციო ანგელოზი**
**– მეშახტე ანგელოზი**
**– მხატვარი ანგელოზი**
**– თავმდაბალი ანგელოზი**
**– თვითკრიტიკული ანგელოზი**
**– მფრინავი ანგელოზი (თავისთავად– აბა ისე რა ანგელოზი იქნებოდა?)**
**– გამხდარი ანგელოზი**
**– სათვალეებიანი ანგელოზი**
**– სოფლელი ანგელოზი**
**– ქალაქელი ანგელოზი**
**– პატრიოტი ანგელოზი**
**– ფერადი ანგელოზი**
**– ინტელიგენტი ანგელოზი**
**– არისტოკრატი ანგელოზი**
**– მსახიობი ანგელოზი**
**– ხაკერი ანგელოზი**
**– მეთუნუქე ანგელოზი**
**– მულტიპლიკატორი ანგელოზი**
**– მემონტაჟე ანგელოზი**
**– ჟურნალისტი ანგელოზი**
**– დიზაინერი ანგელოზი**
**– ჯარისკაცი ანგელოზი**
**– გენერალი ანგელოზი**
**– პატრული ანგელოზი**
**– მზარეული ანგელოზი**
**– მეჩაიე ანგელოზი**
**– დეპუტატის შვილი ანგელოზი**
**– მასწავლებლის შვილი ანგელოზი**
**– ცდუნებებისადმი შეუპოვარი ანგელოზი**
**– აგრონომი ანგელოზი**
**– ვეტერინარი ანგელოზი**
**– პროქტოლოგი ანგელოზი**
**– მესაფლავე ანგელოზი**
**– ინერპოლის მიერ ოდესღაც ძებნილი ანგელოზი**
**– დაუნდობელი ანგელოზი**
**– ნანუკას შოუს ანგელოზი**

– მაგრამ ერთი რამ სწყინდა მუდამ – ხერხემალს რომ სხვას ეძახდნენ და მიშა რომ უკეთესი ორატორი იყო.

დაფიქრდით – რა მაგარი იყო ხერხემალი – ამაზე უფრო ანგელოზი იყო და მიშა ხომ ისედაც ამ ანგელოზების დედა იყო.

აცხონოთ უკრაინაში და გლდანში!!!

p.s *აი, ეს რომ ანგელოზობდა – მაშინ რომ ჩაეწერა ნანუკას ამ სახის ინტერვიუ, ან რომელიმე არხს რომ ეჩვენებინა – ძებნილ მამალაძესთან, კვიციანთან, აბაშიძესთან, ნებისმიერ ძებნილთან. ისე ეს ანგელოზი – ბიძინამაც კი შეაქო ერთხელ – აი, სადამდე მიჰყავს ქვეყანა დაუსჯელობას...”*

*– წერს ყანდიაშვილი*

# თამარ კიკნაძე: ძალიან სამწუხარო იქნება, თუ პაატა ბურჭულაძე “შირმად” გამოაყენებინებს თავს და პოლიტიკაში მოსვლით ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას დაკარგავს

საქართველოს პრემიერისა და პრეზიდენტის დელეგაციები ამერიკაში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე იმყოფებიან და შეხვედრებს მართავენ. **“ნატოს გადაწყვეტილებით, საქართველო შეუერთდა სწრაფი რეაგირების ძალებს და მასში ქართული ასეული მიიღებს მონაწილეობას”,** – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ ორგანიზებულ გაეროს სამშვიდობო ოპერაციების სამიტზე...

კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენა მაინც მსოფლიოში ცნობილი ბანის, პაატა ბურჭულაძის, პოლიტიკაში გადანაცვლების შესახებ აგორებული ჭორი აღმოჩნდა. საზოგადოებისთვის ეს ამბავი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელისუფლების ვიზიტი გაეროში, რადგან ყველას აინტერესებს, ვის სჭირდება პაატა ბურჭულაძის ფარად გამოყენება და ვის თამაშს ითამაშებს ის. მოსახლეობას კარგად ახსოვს პაატა ბურჭულაძის ბოლოდროინდელი აქტიურობა **“რუსთავი 2”**-ის საკითხზე, ახსოვს, ოდესის გუბერნატორად სააკაშვილის დანიშვნის აღსანიშნავ ღონისძიებაზე უკრაინის ამ ქალაქში მისი კონსპირაციული ჩასვლა და საზეიმო საღამოზე გამოსვლაც. შეეწირება თუ არა პაატა ბურჭულაძის ავტორიტეტი მსოფლიოში მიმდინარე ახალ ტენდენციებს და რა ტექნოლოგიებით იმუშავებენ მასზე? მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე საინტერესო პროცესებზე **კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე** გვესაუბრება.

**– ამერიკის ახალმა ელჩმა იან კელიმ უკვე მოასწრო, ღიად გამოეხატა “ნაცმოძრაობისადმი” კეთილგანწყობა და “რუსთავი 2”-ის აღორძინებაზეც ისაუბრა. რა რეალობის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ საპარლამენტო არჩევნების წინ?**

– **“ნაციონალური მოძრაობა”** არ არის ქართული, ეროვნული ძალა და ბუნებრივია, მასზე აქცენტს უცხო ძალები აკეთებენ. **“ნაციონალები”** ხომ სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებლები არიან და მათ დესტრუქტიული ფუნქცია აკისრიათ. წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს კარგი ფინანსური მხარდაჭერაც აქვთ და კარგი ლობიც ჰყავთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ხელისუფლებაში მოსვლის შანსი აქვთ, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადადგა, უგერგილო საქციელის დრო აღარ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის დაკვეთა არ შესრულდება, რაც არჩევნების წინ **“ოცნების”** სასარგებლოდ არ იმუშავებს.

**– გასაგებია, რომ ხალხის დაკვეთა ეს არ არის, რაც ხელისუფლებამაც კარგად იცის, მაგრამ, რადგან ამერიკის ახალი ელჩიც ისეთივე პლატფორმაზე დგას, როგორზეც მისი წინამორბედი, წინააღმდეგობას ვინ გაუწევს?**

– ხელისუფლებაში არის ერთი შტო, რომელიც უფრო ზომიერია და მათი პოლიტიკური განცხადებები უფრო ფრთხილია, აგრეთვე, არის მკვეთრად გამოხატული პროდასავლური ძალა რესპუბლიკელების სახით, რომელთა ხედვები საგარეო პოლიტიკური ვექტორისა და ქმედებების შესახებ **“ნაციონალების”** ხედვისგან, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება. ამაზე მეტყველებს თინათინ ხიდაშელის განცხადებები. საზოგადოების აქტიურობაა საჭირო, ჩვენ დაუფარავად და მკვეთრად უნდა გამოვხატოთ ჩვენი განწყობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლების ინერტულობის გამო, დღეს საზოგადოებაში ნიჰილისტური განწყობაა. ადამიანები ინდივიდუალური გადარჩენის რეჟიმში ცხოვრობენ და ხსნას საზღვარგარეთ წასვლაში ხედავენ.

**– თინა ხიდაშელის მიერ “ბი-ბი-სი”-სთვის მიცემულმა ინტერვიუმ დიდი ხმაური გამოიწვია. ძალიან საინტერესო იყო მისი ფრაზა, რომლითაც მან საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართა, – თუ ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის სასიკეთო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, ქვეყანაში პრორუსული ძალები მომრავლდებიანო. რატომ ეშინიათ პრორუსული ძალების?**

– როგორც ზემოთ აღვნიშნე, თინა ხიდაშელი მკვეთრად პროდასავლური განწყობით გამოირჩევა და დასავლური ძალების პოლიტიკის გამტარებელია, რაც ხშირად საქართველოს ინტერესებში არ ჯდება. მისი მკვეთრი ანტირუსული განცხადებები, რომლებიც **“ბი-ბი-სი”**-სთან გაკეთა, მისი აზრი ლენინგრადის ბლოკადაზე **“გასაოცარი”** იყო...

რუსეთთან ურთიერთობა მოსაგვარებელია. ჩვენი ეკონომიკური სივრცე არის პოსტსაბჭოთა სივრცე. ვექტორი კი, რომელიც ავირჩიეთ, ქვეყნის გეოპოლიტიკური კოდის საწინააღმდეგოა. ადამიანები, რომლებიც მხოლოდ თავისი კერძო სიმპათია-ანტიპათიის ან გამორჩენის მიზნით მოქმედებენ და ქვეყნის რეალურ ინტერესებზე არ ფიქრობენ, სოციალურად უპასუხისმგებლონი არიან.

რაც შეეხება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ჩვენს ინტეგრაციას, თხოვნები და მოთხოვნები ნამდვილად არ გაჭრის, თუ ეს მათ ინტერესებში არ შედის.

**– ბევრს საუბრობენ მსოფლიოში ცნობილი ბანის, პაატა ბურჭულაძის, პოლიტიკაში ჩართვაზე. როგორ ფიქრობთ, გამოიყენებენ მას იმისთვის, რომ ენ-დი-აის კვლევებში ასახული პრორუსული ძალების ხმები გადაფარონ? ქართველი ამომრჩევლის 31% რუსეთთან დალაპარაკების მომხრეა. ეს ხმები არჩევნებში ვერ დაიკარგება, სანდო კაცი აუცილებელია. ჩვენ ვიცით, რომ ბურჭულაძე წლების განმავლობაში არ აპროტესტებდა “ნაციონალების” ქმედებებს და ახლა ის პირველი გამოვიდა “რუსთავი 2”-ის დასაცავად. გარდა ამისა, პაატა ბურჭულაძემ ოდესის გუბერნატორად სააკაშვილის დანიშვნის აღსანიშნავ ღონისძიებაშიც მიიღო მონაწილეობა. ამასთანავე, ცნობილია, რომ მსოფლიო ბანმა ფეხი სწორედ რუსეთის სცენაზე აიდგა და იქ კარგი ურთიერთობებიც აქვს საკმაოდ ცნობილ ადამიანებთან...**

– გამორიცხული არაფერია. ბოლო პერიოდში ძალიან ხშირია საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების პოლიტიკაში გამოყენების ფაქტები. ეს იმიტომ ხდება, რომ დღეს პოლიტიკა ფასადურია. ეს ცნობილი ტექნოლოგიაა, მათ უკან კი სულ სხვა ადამიანები დგანან – რეალური პოლიტიკის არქიტექტორები. პაატა ბურჭულაძე კარგი მომღერალია, ქველმოქმედი. ის საქართველოში უყვართ, ძალიან სამწუხარო იქნება, თუ პაატა ბურჭულაძე ვინმეს **“შირმად”** გამოაყენებინებს თავს, პოლიტიკაში მოსვლის გამო ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას დაკარგავს.

გავიხსენოთ ბუბა კიკაბიძე, რომლის გამოყენებაც ძალიან კარგად შეიძლებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოგვარების საქმეში. ის ორივე ქვეყანაში მეტ-ნაკლებად პატივცემული ადამიანი იყო. მის იმიჯს გაფრთხილება სჭირდებოდა. ნორმალურ ქვეყანაში ასეთ ადამიანებს სახელმწიფო უფრთხილდება და კრიტიკულ მომენტებში იყენებს ხოლმე, მაგრამ **“ნაციონალებმა”** ბევრი ადამიანი მოაქციეს დაპირისპირების ეპიცენტრში და იმიჯიც შეულახეს. ესეც ტექნოლოგია იყო. დღეს ჩვენ მანიპულაციებისა და ტექნოლოგიების მსხვერპლნი ვართ. კიდევ ერთხელ ვიტყვი: ძალიან ცუდი იქნება, თუ პაატა ბურჭულაძე ამ თამაშში ჩაებმება.

**– ყარაბაღში ვითარება ძალიან დაძაბულია, შესაძლოა, ომიც დაიწყოს. ვის აძლევს ხელს ომი ამ ტერიტორიაზე? აზერბაიჯანსა და სომხეთსაც რუსეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ...**

– თუ თვალს მივადევნებთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, ვნახავთ, რომ ყველაფერი დესტაბილიზაციისკენ არის მიმართული. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები, დევნილების ნაკადი – ეს ყველაფერი მართვადი ქაოსის რეჟიმია და ვიღაცას აძლევს ხელს.

აზერბაიჯანში არჩევნები მოახლოებულია. ილჰამ ალიევმა საკმაოდ მკვეთრი განცხადებები გააკეთა ევროსტრუქტურების მისამართით. ესეც გასათვალისწინებელია. რაც შეეხება რუსეთს, ყველაზე მეტად სწორედ მას არ სურს არეულობა თავის საზღვართან.

**– დავუბრუნდეთ თინა ხიდაშელის განცხადებას, – სანამ პირში სული მიდგას, საქართველოში რუსის ჯარი ვერ შემოვაო... რა იგულისხმა თავდაცვის მინისტრმა?**

– არ ვიცი, რა იგულისხმა. არც ის ვიცი, შეუძლია თუ არა მას საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედება. თინა ხიდაშელი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი რომ არ იყოს, რაც უნდა, ის ილაპარაკოს, მაგრამ დღეს ის ხელისუფლების წარმომადგენელია და მისი განცხადებები ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირდება.

საერთოდ, მსოფლიოში დღეს ძალიან რთული ვითარებაა, ამიტომ ჩვენს ქვეყანას უნდა გავუფრთხილდეთ და ისე არ უნდა მოვიქცეთ, როგორც საბჭოთა კავშირის ნგრევის დროს...

**ესაუბრა ეკა ნასყიდაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძალიან მოკლედ ჩვენს საენათმეცნიერო ნაშრომებში წარმოჩენილი სიახლეების შესახებ

### *უძირითადესი დასკვნები და მონაცემები*

საპირისპიროდ მსოფლიო ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულებებისა, რომლის მიხედვითაც უარყოფილ იქნა ენის წარმოშობის შესახებ არსებული ყველა თეორია, მათ შორის, ხმაბაძვითობის (ზოგადად, ბუნებითობის) თეორია და აღიარებულ იქნა რომ: 1. „თანამედროვე ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი არაფრითაა მოტივირებული, შემთხვევითია და ნებისმიერი"; 2. „ხმაბაძვითი სიტყვები ენის ლექსიკის მცირე და უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს და ისინი საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის ხმაბაძვითობის (ზოგადად, ბუნებითობის) თეორიის დასამტკიცებლად ვერ გამოდგება"; 2. „თანამედროვე ენაში პირველყოფილი მეტყველების კვალიც კი არ არის დარჩენილი და ამიტომ შეუძლებელია მისი აღდგენა"; 4. „შეუძლებელია ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა. ენის წარმოშობის საკითხი სამუდამოდ დაკარგულია კაცობრიობისათვის"; 5. „სიტყვის აფიქსები მიღებულია რომელიღაც სხვა სიტყვებისაგან", და ასე შემდეგ, ჩვენი 3600-მდე საენათმეცნიერო ნაშრომიდან (ისინი ერთობლივად წარმოდგენილია 16 დიდ მონოგრაფიაში, რომელთა შორის არის: 11 ერთტომეული, 2 ორტომეული, 1 სამტომეული, 1 შვიდტომეული, 1 ოცტომეული და 1 მრავალათასტომეული – სავარაუდოდ, 25000-ტომეული), მიღებული მრავალრიცხოვანი დასკვნებიდან და მონაცემებიდან უძირითადესია შემდეგი:

1. თანამედროვე ენაში (ამ შემთხვევაში, გამოკვლევის იბიექტში – მეგრულ ენაში) ნათლად არის წარმოდგენილი ენის მოცემული ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის) წარმოშობის საფუძვლებიც და განვითარების ისტორიაც. საჭიროა მხოლოდ მათი დანახვა და წარმოჩენა.

2. გამოკვლევის ობიექტის, – მეგრული ენის ლექსიკა დაითვლის 1.410.145.286 სიტყვას პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, საიდანაც, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულ ენაში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია ანდა შეიძლება ხმარებულ იქნას სულ მცირე 500 მილიონი სიტყვა. 500 მილიონი სიტყვის მომცველი ლექსიკონი კი, სიტყვათა სრული სახით დაწერილობის პირობებში, შეადგენს 25.000 ტომს 600-600–გვერდიანი წიგნების სახით.

3. მეგრულის მთელი ლექსიკა (1410145286 სიტყვა) დაფიქსირებულია ოცტომეულის – „მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე" (კომპიუტერული ვერსია და ამონაბეჭდი, 2014 წ.) II–XIX ტომებში, ორ ნაწილად : 1) ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები) წარმოდგენილია II–XVIII ტომებში „მეგრული ენის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის" სახით. იგი მოიცავს 10.200-მდე გვერდს და მასში მოხმობილია (იკითხება) 1.410.145.286 სიტყვა, ანუ, 150.000-მდე სიტყვა საშუალოდ ყოველ 1 გვერდზე; 2) მეგრულის დანარჩენი ლექსიკა წარმოდგენილია XIX ტომში „მეგრული ენის სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკონის" სახით. მასში მოცემულია 26.000-მდე სიტყვა.

4. მეგრული ენის მთელი ლექსიკის 99,99 პროცენტი განეკუთვნება ზმნურ ფონდს და მხოლოდ დანარჩენი 0,01 პროცენტი წარმოადგენს სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკას.

5. მეგრული ენის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა და მოტივირებულია (იდეამტარებელია), თანაც ფონეტიკური (ბგერითი) დასაბამიდანვე. დანარჩენი 0,8 პროცენტი კი განეკუთვნება მეორეული წარმოშობის ე. წ. „წმინდა წყლის" პირობით ნიშნებს.

6. მეგრული ენა, – უპირატესად აგლუტინაციურ ენასთან ერთად, წარმოადგენს ძირისეულ, ფლექსიურ და ინკორპორაციულ ენასაც და ამითი მატარებელია მსოფლიოში არსებული 4-ვე ტიპოლოგიური ენების ნიშან-თვისებებისა.

7. საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ბუნებაში მოცემული (საგნის მიერ გაღებული) ბგერებისადმი ხმაბაძვითობა.

8. ენის წარმოშობის შესახებ ენათმეცნიერებაში არსებული, მაგრამ აქამდე უარყოფილი, ყველა თეორია მართებულია, ოღონდ თავ-თავიანთი კუთხით და ხმაბაძვითობის (ზოგადად, ბუნებითობის) თეორიის პრიორიტეტულობით.

9. სამეტყველო ბგერების წარმოშობა, სიტყვების წარმოშობა ენის წარმოშობა და ადამიანის – როგორც მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსების – წარმოშობა ერთიანი და ურთიერთდაკავშირებული მოვლენაა დედამიწაზე.

10. თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველება – ეს იყო მეტყველება ემფატიკური (სახმოსნო ორგანოების დაძაბვისმიერი) ) ბგერის თანხლებით გამომარცლული ხმაბაძვითი ბგერებით: – ერთეული თანხმოვნებით, თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსებითა და ამათი განაერთებით (მაგ., კ), შ), სქ)რ), ზგ)რტ), შქ)რტ), ჯღ)რჯღ) და სხვა).

11. პირველყოფილ ხმაბაძვით თანხმოვნურ მეტყველებას წინ უძღოდა მეტველება ხმაბაძვითი შორისდებულებით, რაც ბუნების საგნების მიერ გაღებულ ბგერებს გამოხატავდნენ, ანუ წარმოადგენდნენ მათს ადამიანისეულ რეპროდუქციას (სსს, ზზზ, შშშ, ღრრრ, ყრრრ, ფრრრ, ჩხრრრ ჩხრრრ, ხრრრ, ჯღრრრ ჯღრრრ და სხვა),

12. პირველყოფილი მეტყველება – ეს იყო მეტყველება ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებით ერთ ენაზე – ბუნების ენაზე.

13. პირველყოფილი ადამიანების ცალკეულ ჯგუფებს, მათი სახმოსნო ორგანოების რამდენადმე განსხვავებულობის გამო, თვით ერთი და იმავე საგნის მიერ გაღებული ბგერები ესმოდათ განსხვავებულად (მაგ., გუგუ, კუკუ, გუგუკ, ქუქუ და სხვა, რაც ასეა დღესაც). ეს გახდა ძირითადი საფუძველი ერთი და იმავე საგნის სხვადასხვაგვარად (გუგული, კუკუშკა და სხვა) სახელდებისა (სხვადასხვაგვარი საარტიკულაციო ბაზისის ანუ საწარმოთქმო ჩვევის განვითარების შედეგად) და სხვადასხვა ენის წარმოშობისა, მასთანავე, სხვადასხვა ბგერითი შემადგენლობისა სხვადასხვა ენაში.

14. პირველყოფილი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თანხმოვნური ფორმების თანმხლები ემფატიკური ) ბგერა, მარცვალწარმომქმნელი და დეტერმინანტი ფუნქციების მტარებლობასთან ერთად, წარმოადგენდა საყოველთაო აფიქსს (სუფიქსის, ინფიქსის თუ პრეფიქსის სახით).

15. ემფატიკურ ნახევრადხმოვან (მასთანავე, ნახევრად თანხმოვან) ) ბგერას ახასიათებს სწრაფვა გასრულხმოვნებისკენ. )-ბგერისეული წარმომავლობის ხმოვან ბგერებს კი, თავიანთ მხრივ, ახასიათებთ სწრაფვა მარცვლის დახურვისაკენ, რაც ბოლოში დავიწროებასა და თანხმოვანი (უპირატესად სონორი) ბგერების (ლ. მ. ნ...) მიღებაში და, ამგვარად, ხმოვან-თანხმოვანი სეგმენტების როგორც აფიქსების) წარმოქმნაში გამოიხატება.

16. ) ბგერისაგან (საჭიროებისას) წარმოიქმნებიან თანხმოვანი ბგერებიც (პირდაპირი თუ ირიბი გზით და გვევლინებიან საგრამატიკო საშუალებებად (მაგ., პირის ნიშნებად და სხვ.).

17. საგრამატიკო საშუალებები: აფიქსები (სუფიქსები, პრეფიქსები, ინფიქსები), ზმნისწინები და სხვები მიღებულია ემფატიკური ნახევრადხმოვანი ) ბგერისაგან, ანუ წარმოადგენენ მის ფონეტიკურ ვარიანტებს (ნაირსახეობებს).

18. ) ბგერისაგან არის მიღებული ენის ცალკეული მეტყველების ნაწილებიც კი, როგორიცაა: ნაცვალსახელები, ზმნიზედები, თანდებულები, კავშირები, ნაწილაკები, შორისდებულები (ყოველ შემთხვევაში, ამათი უდიდესი ნაწილი).

19. თანამედროვე ენა წარმოადგენს უთავდაპირველესი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და მათთან იმთავითვე ბუნებრივად თანმხლები მარცვალწარმომქმნელი და დეტერმინანტი (იდეაგანმსაზღვრელი) ემფატიკური ნახევრადხმოვანი ) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას.

20. მეგრული ენის მთელი კოლოსალური ლექსიკა ემყარება 6.652 ძირისეულ თანხმოვნური ფორმას, ანუ მიღებულია ამათი აფიქსაცია-გრამატიზაციის შედეგად.

21. მეგრული ენის ლექსიკის წარმომდგენი 6.652 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან ხმაბაძვითი წარმომავლობისაა 1869 ფორმა ანუ 28,1 პროცენტი, მაგრამ იმის გამო, რომ ხმაბაძვითი ფორმები ხასიათდებიან განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით, მათზეა დამყარებული მეგრული ენის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტი.

22. მეგრული ენის ლექსიკის 99,2 პროცენტი, ხმაბაძვითი წარმომავლობის საფუძველზე, მოტივირებულია (იდეამტარებელია) ფონეტიკური (ბგერითი) დასაბამიდანვე.

23. მეგრული ენის ლექსიკის წარმომდგენი 6652 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან ზმნური ფონდის (ზმნებისა და სახელზმნების) წარმომქნელია 2202 ფორმა ანუ 33,1 პროცენტი. ზმნური ფონდი კი მეგრულის მთელი ლექსიკის 99,99 პროცენტს შეადგენს.

24. მეგრული ენის კოლოსალურ, დიახ ფანტასტიკურ ლექსიკას, – 6652 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმასთან ერთად, – ქმნის 525 დერივატი (მნიშვნელობამცვლელი) საგრამატიკო საშუალება, რომელთა შორის არის: 6 ინფიქსი (ა, ე, ი, ო, უ, )), 76 პირველსაწყისისეული სუფიქსი (), ალ, ელ, ილ, ოლ, ულ, ინ, აფ...), 336 მეორეული, (მესამეული და ა. შ.) წარმოების სუფიქსი (ალ, ამ, აფ. ინ , ირ...), 94 წმნისწინი და 3 ნაწილაკი (ქო, ვა, ვე).

25. მეგრული ენის ლექსიკის ზმნური ფონდის წარმომდგენი 2202 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან: 1) საკუთრივ ზმნური წარმომავლობისაა 614 ფორმა ანუ 27,9 პროცენტი და მათზეა დამყარებული ზმნური ფონდისა და თვით ენის მთელი ლექსიკის 6,5 პროცენტი, 2) არსებითი სახელისეული წარმომავლობისაა 309 ფორმა ანუ 14 პროცენტი და მათზეა დამყარებული ზმნური ფონდისა და თვით ენის მთელი ლექსიკის 1,9 პროცენტი, 3) ზედსართავისახელისეული წარმომავლობისაა 1270 ფორმა ანუ 58,2 პროცენტი და მათზეა დამყარებული ზმნური ფონდისა და თვით ენის მთელი ლექსიკის 91,7 პროცენტი.

26. მხოლოდ ის ფაქტი, რომ გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის ლექსიკის 99,2 პროცენტი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა და მოტივირებულია (იდეამტარებელია) ცალსახად ანუ ყოველგვარი სხვა საბუთ-მტკიცებულებების გარეშეც (თუმცა იგი ყოველმხრივ დამტკიცებადია და უკვე დამტკიცებულიცაა) ადასტურებს საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის ხმაბაძვითობის (ზოგადად, ბუნებითობის) თეორიის ჭეშმარიტებას.

27. მხოლოდ ის ფაქტი, რომ გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის ლექსიკის 91,7 პროცენტი საგნის (სხვა მონაცემის) როგორადობის გამომხატველი ზედსართავისახელისეული წარმომავლობისაა, ყოველგვარი სხვა საბუთ-მტკიცებულებების გარეშეც ნათლად ასაბუთებს საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის ბუნებითობის (იგულისხმება საგნისავე ბუნებითობა) თეორიის ჭეშმარიტებას.

28. საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის ბუნებითობის თეორიის უარყოფა ბუნების კანონებისა და თვით ქვეყნიერების შემქმნელი უდიადესი ძალის უარყოფაა, და, ამიტომაც, წარმოუდგენელი და დაუშვებელია.

29. მეგრული ენის ლექსიკის (სიტყვების) უდიდესი ნაწილი აღწერილობითი ხასიათისაა და სხვა ენებზე პირდაპირ უთარგმნელია. მათი თარგმნა შესაძლებელია მხოლოდ აღწერილობითი ხერხით: (მაგ., სიტყვა მითიგვინჯღინანც), ქართულად ასე ითარგმნება: „გვინჯღალი" ანუ დაბალი, ჩია და ჩაფსკვნილი ერთგვარი, შიგ მიღმით, ვთქვათ, გამოქვაბულში, ზის (ან არის) მისმიერი იერსახით).

30. მეგრული ენა, – ლექსიკის კოლოსალური სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის წყალობით, საგანთა უნივერსალურ სამყაროს აღწერს (უკეთ რომ ვთქვათ, ხატავს) ისე, როგორც ის სინამდვილეში არის წარმოდგენილი.

31. მეგრული ენა, – ლექსიკის კოლოსალური სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის წყალობით, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს არა მხოლოდ და არა უბრალოდ ბგერით ანუ ბგერწერით უკუფენას, არამედ ფერწერით უკუფენასაც.

32. მეგრული ენა, – ლექსიკის კოლოსალური სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის წყალობით, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს და ნომერ პირველ საოცრებას დედამიწაზე.

33. ხმაბაძვითი სიტყვების, საგრამატიკო საშუალებებისა და ლექსიკის სიმდიდრეთა მიხედვით მეგრულ ენას მსოფლიოში არსებული 5445 ენიდან ვერც ერთი ენა ახლოსაც კი ვერ მიუვა.

34. აურაცხელია საგნების რაოდენობა სამყაროში და თვით ადამიანის საცხოვრის პლანეტა დედამიწაზე. მით უფრო აურაცხელია საგანთა ნიშან-თვისებები, მათი გაადგილებანი სივრცეში და ერთმანეთის მიმართ, და ა. შ. ყოველივე ეს, ადამიანის მხრივ აღწერას, სახელდებას, შესწავლას მოითხოვდა, რაც ესოდენ სრულად შესძლო იაფეტურმა-იბერიულმა-კოლხურმა-მეგრულმა ენამ და ცოცხლად დაუნჯებული სახით წარმოადგინა ამ უკანასკნელის (მეგრულის) ფანტასტიკურ ლექსიკაში.

35. ქართველ ენათმეცნიერ-მკვლევართა მიერ ენის წარმოშობის საფუძვლების შესწავლით, მსოფლიო ენათმეცნიერების ეპიცენტრმა, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში მოიაზრებოდა, ამიერიდან საქართველოში გადმოინაცვლა და დამკვიდრდა სამუდამოდაც, ვინაიდან ამაზე უფრო დიდი და პრობლემური საკითხი ენათმეცნიერებაში არ არსებულა და არც მომავალში იქნება.

36. ენათმეცნიერება, რომელმაც ჯერ კიდევ არაფერი იცის ენის წარმოშობის საფუძვლების შესახებ, განვითარების როგორი დონითაც უნდა ხასიათდებოდეს იგი, საყმაწვილო ენათმეცნიერებად რჩება.

37. ენათმეცნიერი, რომელმაც ჯერ კიდევ არაფერი იცის ენის წარმოშობის საფუძვლების შესახებ და არც უნდა რომ ისწავლოს, სამეცნიერო ტიტულებისდა მიუხედავად, იმ მყვინთავს ჰგავს, რომელმაც ზღვასა თუ ოკეანეში 20-30 მეტრის სიღრმეზე ჩაყვინთა, ამოვიდა და განაცხადა: – მე ოკეანეთის ფსკერზე ვიყავი, კუთხე-კუნჭულ მოვიარე იგი და ყველაფერი ვიცი მის შესახებო.

38. ენა – ეს არის ადამიანური ცოდნა საგანთა უნივერსალური სამყაროს შესახებ.

39. ენის ლექსიკის სიმდიდრე მაჩვენებელია ენის განვითარების დონისა და მოცემული ენის მატარებელი ხალხის მიერ საგანთა უნივერსალური სამყაროს შესახებ მიღებული ცოდნისა.

40. ენა – ეს არის საგანთა ბუნების საფუძველზე ადამიანის პირით ამეტყველებული უნივერსალური სამყარო.

41. მეგრული ენა წარმოადგენს პირველქმნილი ადამჟამინდელი ენის (ადამის ენის) იგივე იაფეტური ენის პირდაპირ სწორხაზობრივ გაგრძელებას, ჯერდათავად იბერიული, შემდგომში კოლხური და ბოლოს თვით მეგრული ენის სახით, და, ამ თვალსაზრისით, უთავდაპირველეს ენას დედამიწაზე. ამის დასტურია ამ ენის ლექსიკის განსაკუთრებული, დიახ ფანტასტიკური სიმდიდრე და ის ფაქტები, რომ ადამის ნაშიერს ადამიანი სწორედ იაფეტურ (ქართველურ) ენებში ეწოდება და საქართველოს მიწა-წყალზე (კერძოდ, დმანისის რაიონში) არის ნაპოვნი ყველაზე უძველესი ასაკის – 1,8 მილიონი წლის პირველყოფილი ადამიანების (პირობითად, – ზეზვას და მზიას, – როგორც მათ ინგლისელმა გენეტიკოსებმა შეარქვეს) ჩონჩხები.

42. მეგრული (იგივე კოლხური, იბერიული, იაფეტური) ენა წარმოადგენს დიდი წმინდანებისა და ღმერთების ენას, ვინაიდან როგორც წყაროები მეტყველებენ: კოლხები იყვნენ წმინდა ანდრია პირველწოდებული, წმინდა სიმონ კანანელი, წმინდა ნინო კაბადოკიელი, წმინდა გიორგი კაბადოკიელი; კოლხურ ენაზე უმღეროდა „ნენანას" აკვანში მწოლარე თავის ღვთიურ პირმშოს წმინდა მარიამ ღვთისმშობელი (არქიმანდრიტი პორფირი, VII ს. ძვ. წ.); კოლხურ ენაზე მეტყველებდნენ ბერძნული პანთეონის ღმერთები: ზევსი, პრომეთე, ჰერა, დიონისე და სხვები.

43. მეგრული ენა რომ გადაშენებულიყო, კაცობრიობა სამუდამოდ დაკარგავდა ენის წარმოშობის საკითხის შესწავლის შესაძლებლობას და საგანთა უნივერსალური სამყაროს შესახებ ადამიანური ცოდნის უდიდეს არსენასლს.

44. მეგრული და სხვა ქართველური (უფრო ზუსტად, იაფეტური) ენების დაცვა არა მხოლოდ ამ ენების მატარებელი ხალხების, არამედ მსოფლიოს ხალხების, მთელი კაცობრიობის წმინდათა წმინდა მოვალეობაა.

ზემოაღნიშნული და სხვა დასკვნების უტყუარობის საფუძველია ის, რომ ისინი, როგორც წესი, ემყარებიან ცოცხალ ენობრივ მონაცემებს და წარმოაჩენენ საგანთა ბუნებისათვის, ამ შემთხვევაში, ენის ფენომენისათვის დამახასიათებელ რეალობებს, კანონებსა და კანონზომიერებებს. ამიტომაც, მათი გაბათილება ან უარყოფა, უთუოდ შეუძლებელია.

აღნიშნული უძირითადესი სიახლეებისა და მონაცემებისათვის აქვს მიღებული აქ დასახელებულ ნაშრომებს, მაღალი რანგის ჭეშმარიტი ენათმეცნიერებისა და სხვების (300-მდე მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორისა და აკადემიკოსის) მიერ, შემდეგი შეფასებანი: **„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომი", „უნიკალური ნაშრომი", გენიალური ნაშრომი", „ზეტიტანური ნაშრომი", გადატრიალება ენათმეცნიერებაში", „ფანტასტიკურიც და საკვირველიც", „უდიდესი ქართული მოვლენა"** და ა. შ.

**მამანტი ძაძამია,**
**ცირა ძაძამია**

# ნოდარ დუმბაძე, მედროვეები და ნეოკომები

32 წლის წინათ, 1983 წლის 1 სექტემბერს შემზარავი ტრაგედია დატრიალდა – საბჭოთა გამანადგურებელმა ჩამოაგდო სახალინთან სსრკ-ს საჰაერო სივრცეში შემთხვევით შესული სამგზავრო თვითმფრინავი ბოინგი-747. თვითმფრინავი სამხრეთ კორეის ავიაკომპანიას ეკუთვნოდა და ნიუ-იორკიდან სეულში მიფრინავდა. ბორტზე იმყოფებოდა 246 მგზავრი და ეკიპაჟის 23 წევრი – დაიღუპა ყველა.

1983 წლის სექტემბრის დასაწყისში საბჭოთა კავშირში სიმართლე სულ რამდენიმე კაცმა იცოდა. თბილისში მაშინ მოსკოვიდან ჩამოსული ყოფილა პოლიტბიუროს გავლენიანი წევრი. **„მაღალი სტუმრის"** თბილისში ყოფნა არ გაშუქებულა. ეს მაშინ ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო. სტუმარი შეხვდა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელებს, და, წესისამებრ, **„შემოქმედებითი ინტელიგენციის"** წარმომადგენლებსაც. ამ უკანასკნელთა შორის ნოდარ დუმბაძეც იყო. მის გვერდში მჯდომი გამოჩენილი ქართველი ხელოვანი ამ ამბიდან სულ რამდენიმე დღეში მიყვებოდა, რომ ბატონი ნოდარი აშკარად ნაბახუსევი იყო, იჯდა მოღუშული, ბორჯომს სვამდა და ხმას არ იღებდა. უცებ სტუმარმა ჩამოგდებული ბოინგი ახსენა და იკითხა, **„როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება მომხდარიყო?"**. ხმა არავის ამოუღია და პოლიტბიუროს წევრმა პირდაპირ დუმბაძეს მიმართა – „А что думает наш выдающийся писатель Нодар Думбадзе по этому поводу?". ნოდარ დუმბაძემ დაუყოვნებლივ უპასუხა: „Русский Иван это не Гамлет принц датский, чтоб думать "быть или не быть?". Вместо этого Иван думает "сбить или не сбить?". Сбили конечно, что тут думать". სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მოსკოველმა სტუმარმა ჩაიბურტყუნა **„ვნახოთ, ვნახოთ, გაარკვევენ"** და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. **„ასეთი იყო ახალგაზრდობაშიც და ასეთად დარჩა. მამა რომ დაუხვრიტეს, დედა რომ გადაუსახლეს და თვითონაც სულ ტყუილად რომ წავიდა ციხეში, ამანაც ვერ შეცვალა"**, მითხრა იმ გამოჩენილმა ხელოვანმა, რომელიც ნოდარ დუმბაძესთან მოზარდობიდან მეგობრობდა და ძალიან უყვარდა ბატონი ნოდარი.

„ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი – დავით დარჩიაშვილმა, ამ ცოტა ხნის წინ, სოციალურ ქსელში სტატუსი გამოაქვეყნა, რომელშიც ნოდარ დუმბაძესა და მის შემოქმედებას აკრიტიკებს. ის აღნიშნავს, რომ „თეთრი ბაირაღები" ქართულ-საბჭოთა ნაწარმოებია, რომელშიც ქურდული და კომუნისტური ლოგიკა ერწყმის ერთმანეთს", წერდნენ ჩვენს პრესაში რამდენიმე კვირის წინათ და დარჩიაშვილის მიერ ფეისბუკში განთავსებული ტექსტის ფრაგმენტი მოჰყავდათ:

**„ახლა ვიღაც აშეარებს „თეთრი ბაირაღებიდან" პასაჟებს და წერს, გენიალურიაო. ვიღაც ულაიქებს, აბა რა ავუხსნა, როგორ გავაგებინო, რომ ამ სიტყვების, პასაჟების დამწერი ნოდარ დუმბაძე სცოდავდა სინდისისა და ისტორიის წინაშე. რომ ვინმე ქურდი დევდარიანის სიტყვები მდარე ტომობრიობა და პოპულიზმია: „მიტომ გჯობივარ, რომ დევდარიანი ვარ... მილიონი რომ იშოვე, მეორე რაღად გინდა..." „თეთრი ბაირაღები" ტიპური ქართულ-საბჭოთა ნაწარმოებია, სტალინის ფილოსოფიის გადმომცემი, რომელშიც ქურდული და კომუნისტური ლოგიკა ერწყმის ერთმანეთს. მაგრამ ეგ ხომ სკოლაში და ოჯახში უნდა ისწავლოთ".**

დარჩიაშვილის ამ **„პასაჟმა"** ბევრი ადამიანი აღაშფოთა. მე კი ამ წერილში მინდა, უპირველეს ყოვლისა, გავიხსენო ზუსტად 31 წლის წინათ, 1984 წლის 14 სექტემბერს, 56 წლის ასაკში გარდაცვლილი ნოდარ დუმბაძე, რომელსაც პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ბევრი მსმენია მასზე მათგან, ვინც იცნობდა და დიდი სიყვარულით იხსენებდა მას. დარჩიაშვილის მაგალითზე კი მინდა ისევ შევეხო ჩვენში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში დაწყებულ **„ლექის აღზევებას"** (მწერალ ვაჟა გიგაშვილის სიტყვებით), რაც საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა არის. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი კი იმის გამოა, რომ წინა წლებში აღზევებული ლექი აღარ დაილექა, ახალ-ახალი ლექი კი უხვად ამოდის ზედაპირზე.

მინდა აღვნიშნო, რომ დავით დარჩიაშვილი **"ნაცმოძრაობის"** ერთ-ერთი ლიდერი არასოდეს ყოფილა, არამედ ნაცების სხვა მრავალი **„ცნობადი სახის"** მსგავსად იყო და დარჩა კგბ-ს ჯარების ეფრეიტორ სააკაშვილის და მისი სადისტური სისტემის რამდენიმე თავკაცის მორჩილ და ყველაფერზე წამსვლელ შემსრულებლად. დარჩიაშვილი, სხვა ნაცებთან ერთად, არ სცოდავს საკუთარი სინდისისა და ერის ისტორიის წინაშე: ამ ადამიანებს სწამთ, რომ პირადი მატერიალური კეთილდღეობა და მაღალი თანამდებობა ის უზენაესი ფასეულობაა, ის მიზანია, რომელიც ამართლებს ნებისმიერ საშუალებას და შესაბამისადაც მოქმედებენ სინდისის ყოველგვარი ქეჯნის გარეშე. თავის დროზე ამ თაობიდან აღზევებულ ლექს ნეოკომკავშირლები – „ნეოკომები" შევარქვი. მე არც კომკავშირელი და არც კომპარტიის წევრი არ ვყოფილვარ და გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გაოცებული ვიყავი, როცა აღმოვაჩინე, რომ ეროვნულ-დამანგრეველი მოძრაობის ბევრ წევრს აქტიური კომკავშირული წარსული ჰქონდა და სსრკ-ს ნგრევის კვალობაზე კარიერის გასაკეთებლად კომკავშირიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაინაცვლეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი, ცნობილი ოჯახიშვილი გოგი ანდრონიკაშვილი შეწუხებული ამბობდა, რომ კომკავშირიდან წამოსული ყოველი ნაკადი წინა ნაკადს ბევრად უსწრებდა უზნეობით და უპრინციპულობით – **„ბოლო წლებში მოსულებს შუბლზე ძარღვი აქვთ გაწყვეტილი. ახლა ვინც მოდიან, ეტყობა საერთოდ ამ ძარღვის გარეშე დაიბადნენ. რა გვეშველება?"**, ეუბნებოდა ბატონი გოგი ჩემს ახლობელს.

სიტყვამ მოიტანა და ჩემი პოზიცია მინდა დავაფიქსირო.

კოლექტიურ **„დარჩიაშვილ-წიკლაურ-ბოკერიებს და სხვებს რომ ვუსმენ, მახსენდება ხოლმე საქართველოს ალკკ ცკ-ის ყოფილი პირველი მდივანი (აგრეთვე სხვა წამყვან პარტიულ თანამდებობებზე ნამუშევარი) დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული გმირი ჟიული შარტავა, რომელმაც სოხუმის დაცემის დროს თქვა: "მე ეს ქალაქი საქართველომ ჩამაბარა, მე ამ ქალაქიდან ცოცხალი არ გავალ".** მახსენდება, როგორ გულწრფელად გაეღიმა ბატონ ჟიულის გვერდით მყოფ გურამ გაბისკირიას, რომელმაც იცოდა, რომ კლავდნენ და რომელმაც ღიმილით უთხრა გადამთიელ მკვლელებს – **„Никогда в жизни"**, როდესაც უბრძანეს, რომ დაჩოქილიყო. რამდენადაც ვიცი, ბატონ ჟიულის გადამთიელებმა პირველი ტყვია მუხლში ესროლეს იმიტომ, რომ ვერ დააჩოქეს. მასთან ერთად სხვებიც დარჩნენ და გმირულად დაიღუპნენ. მათ შორის იყვნენ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მუშაკები ე.წ. პარტიული და სამეურნეო მუშაობის სტაჟის მქონე უფროსი თაობის ადამიანები, იყო ყოფილი КГБ-ს გენერალი მამია ალასანია. დიდი პატივისცემითა და მადლიერებით მინდა მოვიხსენიო უფროსი თაობის ყველა ადამიანი, ვინც უშიშრად დადო თავი საქართველოსათვის. თანამედროვე ქართველი მწერლის აკა მორჩილაძის რომანში **"მოგზაურობა ყარაბაღში"**, შვილისა და მისი ძმაკაცების არაკაცური ქცევით გაწბილებული მამაკაცი ეუბნება თავის ვაჟიშვილს: **„კაცები კი არა, ნაბიჭვრები ხართ"**. ეს ფრაზა ჩვენი ეროვნული ტრაგედიის ერთ მნიშვნელოვან მხარეს ასახავს.

სააკაშვილის სადისტური სისტემა ემყარებოდა ტყუილს, სიძულვილს და ძალადობას. **„დარჩიაშვილებს"** ფიზიკურ ძალადობას არავინ ავალებდა, მათ თავისი ფუნქცია ჰქონდათ – ტყუილის შეთხზა და სიძულვილის დათესვა.

კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის დროს ბევრ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს უწევდა კომპრომისზე წასვლა: მათ ესმოდათ, რას წარმოადგენდა კომუნისტური რეჟიმი და ისიც ესმოდათ, რომ კომპრომისის გარეშე ვერ შექმნიდნენ იმას, რისი მოწოდებაც ჰქონდათ და რაც დიდად გამოადგებოდა ერს. ზოგი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ უკომპრომისოდ საკუთარ თავს და ოჯახს ვერ გადაარჩენდა. "Когда верблюд и рак, станцуют краковяк, тогда уйдут большевики", იტყოდა ხოლმე ვიწრო წრეში მსოფლიოს ერთერთი წამყვანი მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი. ბატონი ნიკო გენერალ ივანე მუსხელიშვილის ვაჟი იყო, პიროვნებად და მოქალაქედ ოქტომბრის რევოლუციამდე ჩამოყალიბდა. **„თქვენზე ამბობენ, ადრე აზნაური იყოო. მართალია?"**, ჰკითხა ხანდაზმულ მუსხელიშვილს რუსმა კორესპონდენტმა. **„რას ნიშნავს „ადრე იყოო"? განა შეიძლება არსებობდეს ყოფილი სეტერი?"**, გაიკვირვა ბატონმა ნიკომ, რომელსაც ნადირობა გენერალმა მამამ შეაყვარა. ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი იმ **„კონფორმისტ"** მოღვაწეებს.

ახლა შევადაროთ: **„დარჩიაშვილებმა"** შესანიშნავად იცოდნენ და ახლაც იციან, რას წარმოადგენდა სააკაშვილის რეჟიმი და როგორი დანაშაული აქვთ ჩადენილი რეჟიმის თავკაცებს 2008 წლის აგვისტოში ჩადენილი სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურისა და სამშობლოს ღალატის ჩათვლით. მათ არ ემუქრებოდა არც ციხე, არც დახვრეტა, არც სხვა რეპრესიები – ისინი საკუთარი ნებით ჩადგნენ რეჟიმის სამსახურში. თავისი არაერთი **„ჩარეცხილი"** კოლეგის მსგავსად მათაც შეეძლოთ არ მოსულიყვნენ პოლიტიკაში და პატიოსნად ემუშავათ თავის დარგში. მაგრამ ისინი ენთუზიაზმით ჩადგნენ სააკაშვილის სამსახურში კარიერის გასაკეთებლად და მატერიალური კეთილდღეობის მოსახვეჭად და მთელი თავისი ცოდნა და უნარ-ჩვევები ამას მოახმარეს. დაუფასდათ კიდევაც:

**„საბოლოო ჯამში, როგორც დავითის და გოლიათის ბრძოლა, ჩვენი ბრძოლაც დასრულდება გამარჯვებით, მაგრამ ჩვენ ამ ბრძოლაში გვყავს ხალხი, რომელიც განსაკუთრებით წარჩინებულია. მათ შორისაა დავით დარჩიაშვილი",** – განაცხადა სააკაშვილმა 2011 წელს დარჩიაშვილისათვის ბრწყინვალების ორდენის გადაცემისას.

**„ეს არის ჯილდო, რომლის მსგავსიც არასდროს მიმიღია და თუ რამე გამიკეთებია ის ორი მიზეზით იყო განპირობებული: პირველი – მიზანი, რომელსაც ვემსახურები და რომელმაც ბატონო პრეზიდენტო, თქვენს გვერდით დამაყენა, ეს არის მოდერნიზაცია ამ ქვეყნის და მეორე – გუნდი, რომელიც დამხვდა და რომელმაც შემიქმნა საოცრად ხელსაყრელი ინტელექტუალური და ემოციური, მეგობრული გარემო, რაც თითოეულ ჩვენგანს აძლევს შესაძლებლობას ყველამ გავაკეთოთ მაქსიმუმი",** – განაცხადა დავით დარჩიაშვილმა ბრწინვალების ორდენის მიღების შემდეგ.

ახლა ისევ ნოდარ დუმბაძე გავიხსენოთ. ბატონი ნოდარი თენგიზ მენთეშაშვილთან მეგობრობდა. უფროსი თაობის წარმომადგენლებს **„თბილისობის"** ზეიმის და სხვა კეთილი საქმეების ინიციატორი და ორგანიზატორი კარგად ახსოვთ, ახალგაზრდებს კი მოვახსენებ, რომ უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩეული თენგიზ მენთეშაშვილი **„ისტორიული მატერიალიზმის"** ეპოქაში მაღალ პარტიულ თანამდებობებზე მუშაობდა, წლების განმავლობაში კომპარტიის თბილისის ქალაქკომის პირველი მდივანიც იყო. ბატონი ნოდარი თენგიზი ნოდარ დუმბაძის მეგობარი და მეზობელიც ყოფილა. ერთხელაც მისი მოზარდი ვაჟი დუმბაძეებთან იყო გადასული. იმ წლებში ეკლესიები ცარიელი იყო, მაგრამ ნოდარ დუმბაძე **„სინდისის წინაშე სცოდავდა"** და შინ ხატები ჰქონდა დაკიდული. **„ნოდარი ბიძია, შენ ცრუმორწმუნე ხარ?"**, უკითხავს თენგიზ მენთეშაშვილის ვაჟს, რომელსაც **„მორწმუნეს"** და **„ცრუმორწმუნეს"** ცნებები აერია, რაც იმ დროში სულაც არ იყო გასაკვირი მისი ასაკის ადამიანისათვის. **„არა შვილო, მე მორწმუნე ვარ, ცრუმორწმუნე მამაშენია"**, მაშინათვე უპასუხია ნოდარ დუმბაძეს. მის ამ სიტყვებს სხვებიც შეესწრნენ და ეს ფრაზა უმალ მთელ ქალაქს მოედო, მაგრამ ნოდარ დუმბაძის და თენგიზ მენთეშაშვილის მეგობრობაზე ამას გავლენა არ მოუხდენია. ამბობდნენ, რომ თენგიზ მენთეშაშვილი თვითონაც ხალისით ყვებოდა ამ ამბავს.

1984 წლის 15 სექტემბრის დილას რესპუბლიკური საავადმყოფოს პათანატომიის განყოფილების მისაღებში შევხვდი. იმ ღამით გარდაიცვალა ჩემი გამზრდელი მამიდა და იქ გადაასვენეს. უცებ პათანატომები გამოჩნდნენ. ერთი მათგანი აღელვებული ხმით ეუბნებოდა სხვებს: **„ასეთი არაფერი შემხვედრია. რა აცოცხლებდა ამ კაცს ეს წლები? გულის კუნთი საერთოდ არ ჰქონია. მიკროინფარქტებით და ინფარქტებით დასერილი ბადე იყო და მეტი არაფერი! ეს ხომ სრულიად შეუთავსებელია სიცოცხლესთან. სასწაულია, ნამდვილი სასწაული!"** მერე გავიგე, რომ ნოდარ დუმბაძეზე ამბობდა ამას ის ექიმი. წლების შემდეგ ცნობილ პათანატომს, ქალბატონ თამარ დეკანოსიძეს ველაპარაკე და მანაც დამიდასტურა, რომ ყველა გაოგნებული იყო ნოდარ დუმბაძის გულის მდგომარეობით.

გარდაცვალებამდე ოციოდე წლით ადრე, იმხანად უკვე ცნობილმა მწერალმა ნოდარ დუმბაძემ თხოვნით მიმართა ქ.თბილისის ბინების გამანაწილებელ კომისიას ჩაებარებინათ მისთვის ადრე მიცემული სამოთახიანი და ლოჯიანი ბინა. განცხადება იუმორისტული მოთხრობის ფორმით იყო დაწერილი:

„...გთხოვთ ჩაიბაროთ ბინა.

თქვენ გგონიათ უმადური ვარ? თქვენ გგონიათ ის მწყინს, რომ დაბალჭერიანი ბინა მაქვს?

ან ის, რომ ჩემი სასადილო ოთახის იატაკი ისეა ჩაზნექილი, როდის დავემხობი თავზე მეზობელს, არც მან იცის და არც მე?

ან ის, რომ პირველ სართულზე მობინადრეთა ჩურჩული ჩემთან მეხივით ისმის?

ან ის, რომ ტელეფონი ან სულ არ იღებს ხმას, ან თუ ამოიღო, ისე გიჟივით რეკავს, ველარ ვაჩერებთ?

ან ის, რომ წვიმის დროს ლოჯი წყლით მევსება?

ან ის, რომ სახლს მუყაოს კარი აქვს და გაქურდვის მეშინია?

ან ის, რომ საფოსტო ყუთიდან ჟურნალ-გაზეთებს მპარავენ?

ან ის, რომ მეზობლები ეზოში გარაჟის აშენების უფლებას არ მაძლევენ?

ან ის, რომ ამის გამო მანქანა ექვსჯერ გამიძარცვეს?

ან ის, რომ ცუდი მეზობლები მყავს და ვინმეს ვემდური?

არა ბატონო! ახლავე მოგახსენებთ რაშია საქმე:

ჩვენს ეზოში უამრავი ბავშვი თამაშობს და იზრდება. მათ შორის ჩემი პატარა გოგოც.... ჰოდა, ნუ მაყურებიებთ იმის საცოდაობას, ნუ გადამირევთ ცოლს და ნუ გადამრევთ მეც...

არა და, როგორი მოსასმენია ყოველდღე ბავშვისათვის, როდესაც აივანზე გადმომდგარი დედები მის მეგობრებს ასე უხმობენ:

– ლუიზა! ამოდი, დედა გენაცვალოს! ოთხკვერცხიანი ტაფა-მწვარი შეჭამე, ზედ გუშინ რომ მამას შოფერმა ექვსი კილოგრამი შავი ხიზილალა მოუტანა, რუმინულ ზეთისხილთან, მექსიკურ ანანასთან, ერთ ყუთ იტალიურ ფორთოხალთან და თურქულ ხალვასთან ერთად, ის დააყოლე და ისევ ჩადი, შენი ჭირიმე, ჩემო გოგო, შენისთნა რომ ეზოში არავინ დადის, ისეთო!...

ან: – ნუნუკა! ამოდი, შვილო, და გუშინწინ რომ მამაშენმა სადოქტორო დაიცვა ერთხმად და ბრწყინვალედ, იმის აღსანიშნავი ბანკეტი რომ გადავიხადეთ და აკადემიკოსმა რომ უთხრა მამაშენს, ბედნიერია ის ერი, სადაც შენ მოღვაწეობო, იმ აკადემიკოსის მეუღლემ ჩეხური კონფიტიური რომ მოგვართვა და თქვა, ღმერთო, ეს რა ოჯახი გავიცანიო, ის კონფიტიური ჭამე და ისევ გაგიშვებ ეზოში, ამასობაში მოსკოვიდან თუ არ დარეკეს და ვოკრუგ ევროპის საგზური თუ არ გამოგვიგზავნეს. ამოდი, დედა გენაცვალოს, ტრიკოტინის კაბა მაცვია და ასე შინაურულად ნუ ჩამიყვან ეზოში!...

ან: – მერაბიკო! ამოდი, ინგლისური მოამზადე, თორემ საცაა ფრანგულის მასწავლებელი მოვა და გერმანულის მასწავლებელთან წასვლას ვერ მოვასწრებთ. მე ამასობაში ბეკერის როიალს გადავწმინდავ, კარელსკაია ბერიოზას ავეჯს გავაპრიალებ, ტელევიზორ ელექტრონს ჩავრთავ, მაგნიტოფონ უნივერსალს გამოვრთავ, მამას დავურეკავ, შავი ვოლგა გამომიგზავნოს და მერე ნორკის შუბის გამოსატანად წავალ, თორემ ის კარაკულის შუბა მოდიდან გამოდის, ამოდი, შემოგევლოს სახელოვანი მშობლები!...

ან: – გულსუნდა! გეყოფა შვილო, თამაში! მე და მამაშენი საზღვარეთული ფილმის გასინჯვაზე მივდივართ, სულ ოთხი მოსაწვევი მოსულა საქართველოში და ორი ჩვენ გამოგვიგზავნეს, შარშანდელის არ იყოს, მამაშენი ძალით რომ წარადგინეს ლენინურ პრემიაზე, თვითონ რომ არ უნდოდა, ისე. ამოდი აწი, თორემ ზევიდან რეკავენ, უთქვენოდ არ ვიწყებთ ამ გადასარევ ფილმს, რომელიც მხოლოდ ერთი დღითაა, თურმე, ჩამოტანილი... ამოდი, გენაცვალე, შენ რომ კამფეტი გიყვარს, ის თხუთმეტათასიანი ბროლის ვაზის გვერდით რომ თვრამეტათასიანი ჩინური ლარნაკია, იმაში დევს და ჩვენს მოსვლამდე თავი შეიქციე...

და ამ დროს ჩემი ცოლი ეძახის ჩემს შვილს:

ამოდი, შვილო, ქეთინო, მამაშენი მოვიდა გალეწილი მთვრალი და შარვალს ვერ ვხდით!..

კარგი მოსასმენია?

არ არის კარგი მოსასმენი!

ჰოდა, გემუდარებით, ნუ გადამირევთ ცოლ შვილს, ნუ გადამრევთ მეც, ჩაიბარეთ თქვენი ბინა, მე კი წავალ, დავიქირავებ სადმე უეზოო, უფანჯარო, ულოჯო, უმეზობლო ბინას, ჩავიკეტები შიგ და, მოკლედ, ჩემს ცოლ-შვილს მე მივხედდავ!"

აი ასე მიაჯაჭვა სამარცხვინო ბოძზე მაშინდელი მედროვეები, კარიერისტები და მომხვეჭველები მწერალმა, რომელსაც ამის გაკეთების სრული მორალური უფლება ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, რომ ეცოცხლა, დამოუკიდებლობის წლებში აღზევებულ ლექსაც საკადრისს მიუზღვევდა.

**პეტრე მამრაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ილორი" სტუმრად სამეგრელოში

# შეხვედრა გაზეთ "ილორი"-ს რედაქციასთან



*ჩხოროწყუ – ცხრაწყაროს ნიშნავს. ანკარა მდინარეები, ჩანჩქერთა კასკადები, მოლივლივე ალპური ტბები, მარადიული მყინვარება ცადაზიდული მწვერვალები, უნიკალური მღვიმეები და მინერალური წყლები, ბზისა და წაბლის, წიფლისა და ნაძვის კორომებით დაბურული ფერდობები, კოლხეთის დაბლობის გორაკ ბორცვებზე შეფენილი თხილის, კივის, ჩაის პლანტაციები, ვენახისა და ხეხილის ნარგავები, მსოფლიოში სახელგანთქმული სამგზის ოქროსორდენოსანი მუხურის ფუტკარი, მთის მწვერვალებზე აღმართული მე-4, მე-11 საუკუნეების მონასტრები და ციხე-კოშკები, უძველესი ცივილიზაციის არქეოლოგიური ძეგლები, და რაც მთავარია – უაღრესად კეთილშობილი და შრომისმოყვარე ადამიანები! აი, ეს გახლავთ* ჩხოროწყუ.

2015 წლის 7 ოქტომბერს ჩხოროწყუს რაიონის მუნიციპალიტეტმა და რაიონის საზოგადოებამ შეხვედრა მოუწყო საქართველოს დედაქალაქიდან ჩასულ სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ გაზეთ **"ილორის"** მთავარი რედაქტორი, **"აია"**-ს და **"ფაზისი"**-ს აკადემიების წევრი, ჟურნალისტი და კინომცოდნე როლანდ ჯალაღანია და ჟურნალისტი, ფილოლოგი და გერმანისტი, საპატიო დოქტორი დავით ქობალია.

შეხვედრას ესწრებოდნენ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარე ბატონი დავით გოგუა, გამგეობის თავმჯდომარის კონსულტანტი გენდერულ საკითხებში ქალბატონი თამარ ქობალია, რაიონული მუზეუმის დირექტორი ქალბატონი ნაირა ციმინტია, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ვალერი თოდუა, რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი კობა ჯიქია, ჩხოროწყუს პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ბატონი ლაშა ვეკუა, რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი ლია ჯალაღონია, რაიონის მეორე საჯარო სკოლის დირექტორი ბატონი დემნა ყალიჩავა, მუნიციპალიტეტის სამსახურის ხელმძღვანელები, რაიონის აქტივი და საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები. შეხვედრა გახსნა ქალბატონმა თამარ ქობალიამ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სტუმრები და გააცნო მათთან შეხვედრის დღის წესრიგი. გადაწყდა, რომ შეხვედრა ჩატარებულიყო კითხვა-პასუხის რეჟიმში.

მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ შემოქმედებითი საკითხისადმი გამოავლინეს ინტერესი შეხვედრის ორგანიზატორებმა და მასპინძლებმა, რაც მათ შეკითხვებში აისახა.

გაზეთ **"ილორის"** მთავარმა რედაქტორმა როლანდ ჯალაღანიამ დამსწრეთ მოუთხრო სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** მიერ განვლილ გზაზე მისი დაარსების დღიდან – 1999 წლის 5 მარტიდან. განმარტა, რომ მოძრაობის შექმნის აუცილებლობა სამეგრელოს კუთხის სავალალო მდგომარეობით იყო განპირობებული, რადგან მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ტრაგიკულმა მოვლენებმა დიდი დაღი დაასვა სწორედ სამეგრელოს, აფხაზეთის დაკარგვამ მოაქცია იგი გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩიხში და რეალური საფრთხის წინაშე დააყენა ერთ დროს ძლიერი ეკონომიკური პოტენციალის მქონე რეგიონის არსებობა. სწორედ ამ მოძრაობას უნდა გამოეფხიზლებინა ლეტარგიული ძილისაგან ავადსახსენებელი **"მხედრიონისა"** და ედუარდ შევარდნაძის **"გვარდიელთა"** თარეშით დაშინებულ-დამცირებული მუდამ ამაყი სამეგრელო, რომლის ღირსეული შვილები გაუფიქრებლად, გმირულად ეწირებოდნენ მამულიშვილურ საქმეს. კიდევ ერთხელ, გულისტკივილით შეგახსენებთ, თუ რა სიტყვებით გამოხატავდნენ სამეგრელოსადმი დამოკიდებულებას ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერის გამო დასასჯელად გამეტებული ერთ დროს წალკოტად ქცეული სამეგრელოს მიმართ შევარდნაძისა და მისი ხუნტის მხარდამჭერი უჯიშო გადამთიელები:

*"ქართლ-კახეთი, იმერეთი,*
*გურია და რაჭა,*
*ყველა ჩემი სამშობლოა,*
*სამეგრელოს გარდა!"*

მან ასევე ისაუბრა გაზეთ **"ილორის"** როლზე სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** და მისი დამაარსებლის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მამულიშვილური იდეების პოპულარიზების საქმეში. გაზეთის დევიზია ფრაზა – **"ქართველობის გადასარჩენად"** და მართლაც, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელომ"**, მისმა აქტივმა და გაზეთმა **"ილორმა"** შესძლეს ყოველთვის საქართველოს ბურჯად მიჩნეული სამგრელოს დახსნა ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი მის მიერ ხელისუფლებაში მოთრეული ნაციონალების კლანჭებისაგან, რომელთა მოღალატეობრივი საქმიანობა იდენტობის მოსპობისა და სრული განადგურების რეალურ საფრთხეს უქმნიდა სრულიად საქართველოს. სწორედ ამ ვერაგულ განაზრახს ემსახურებოდა ჩვენი პირადობის მოწმობებიდან მამის სახელისა და ეროვნების მიმანიშნებელი გრაფების გაქრობა. სწორედ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** დამსახურებაა ის, რომ დღეს, ავად თუ კარგად, საქართველოს ხელისუფლება ყურადღებას უთმობს მეგრული ენის გადარჩენის საქმეს, რადგან ადრე მეგრულ ენაზე ზრუნვა ხელისუფლებაში მოკალათებულ გადამთიელთა და მათ მიერ მოსყიდულ ვაი-მეცნიერთა მონდომებით ლამის სეპარატიზმის წახალისებად იყო აღქმული.

დიახაც, საქართველოში არცერთ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაცის არ გაუკეთებია იმდენი საქმე **"ქართველობის გადასარჩენად"**, რამდენიც სახალხო მოძრაობა **"სამეგრელომ"** გააკეთა! სხვა სასიკეთო ღონისძიებებს რომ თავი გავანებოთ, ამის დასტურად თუნდაც ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ შექმნილი ფუნდამენტური ნაშრომი **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა"** გამოდგება, რომელიც კატეგორიულად იყო იგნორირებული ჯერ ედუარდ შევარდნაძის ბანდიტური, შემდეგ კი სააკაშვილის დაშნაკური ხელისუფლების მიერ.

სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ არც დღევანდელი ეროვნული ხელისუფლება ჩქარობს ამ ნაშრომის გაცნობას, რომელიც უდავოდ საპროგრამო პოლიტიკური მიმოხილვა გახლავთ და რომლის მოთხოვნათა რეალიზაცია დროულად გამოიყვანს ქვეყანას პოლიტიკური და ეკონომიკური ჩიხიდან.

შემდეგ როლანდ ჯალაღანიამ პასუხები გასცა დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს, რომელთაც ძირითადად აინტერესებდათ ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და შემოქმედებითი პროცესები, ქართული ლიტერატურის მომავლის ავ-კარგი, მეგრული ენის პერსპექტივები და მის დამცველი საერთაშორისო კონვენციის მოქმედების ეფექტურობა და სხვა.

შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის შეკითხვას – თუ რა პოლიტიკური მიზნები გააჩნია სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"**, გაზეთის მთავარმა რედაქტორმა განმარტა, რომ აღნიშნული მოძრაობა არის ზეპარტიული ორგანიზაცია და იგი არ მოქმედებს პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად. სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** მხარს უჭერს საქართველოს მოჭირნახულე ნებისმიერ პოლიტიკურ სუბიექტსა თუ ობიექტს და იბრძვის საქართველოს სახელმწიფოებრივი პოზიციების განსამტკიცებლად და იმ სამეგრელოს რეგიონისა და მეგრული ენის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედს!

სახალხო მოძრაობა **"სამეგრელომ"** ეს დაამტკიცა თავისი 17-წლიანი არსებობის მანძილზე მოღვაწეობით!

შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დარბაზიდან უხმოდ, ყოველგვარი საპროტესტო შეძახილების გარეშე გაიძურწნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები, რომელთაც, როგორც ჩანს არ მოისურვეს მათი თანაგუნდელების, ხალხის ფართო მასების მიერ დანაშაულებრივ ორგანიზაციად აღიარებული ნაციონალური მოძრაობის სამართლიანი კრიტიკა. მაგრამ ჩხოროწყუელ ნაცთა ამგვარ დემარშს არავითარი გავლენა არ მოუხდენია დარბაზში დარჩენილთა ამაღლებულ განწყობაზე. აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ ბარიკადების მეორე მხარეზე მდგომი ეს ადამიანები დასაკარგად არ გვემეტება, რადგან ისინი ჩვენი ნათესავები, მეგობრები, კეთილისმსურველები, თანამოგვარეები, ბოლოს და ბოლოს ჩვენი თანამოქალაქეები არიან. ვიმედოვნებთ – ისინი გააცნობიერებენ, რომ წლების განმავლობაში ემსახურებოდნენ პირწავარდნილი ნარკომანისა და საერთაშორისო თაღლითის მიხეილ სააკიანცის დაშნაკური ბანდის ბინძურ ინტერესებს, რაც საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული, დროულად მოეგებიან გონს, საფლავში არ ჩაჰყვებიან პოლიტიკურად უიმედოდ გაკოტრებულ ნაციონალებს (ფინანსურად ნაცები არასოდეს გაკოტრდებიან, რადგან მილიარდობით დოლარი აქვთ მოპარული სახელმწიფოს ჯიბიდან და ამ სახსრებს საქართველოში სიტუაციის არევის საქმეს ახმარენ) და კვლავაც ჩადგებიან პროგრესული საზოგადოების რიგებში, რათა პირნათლად ემსახურონ სამშობლოს!

თითოეულ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს, რომ სამეგრელოს შვილებს უფალმა დაგვანათლა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს ერთიანობის დაცვის მისია და ქვეყნისათვის გადამწყვეტ ჟამს მის დაუძინებელ მტერთა გვერდით დგომა მკრეხელობად უნდა მიიჩნიოთ. კარგად უნდა გვახსოვდეს – სამეგრელოს საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების შემდეგ არასოდეს გამოუცხადებია რეგიონი ცალკე სამეფოდ, მაშინაც კი, როცა საქართველო ლამის ექვს სამეფოდ იყო დაშლილი. სამეგრელოს კი სრულფასოვანი სახელმწიფოს გამოცხადებისათვის ტერიტორიული რესურსიც გააჩნდა და ადამიანურიც, მაგრამ მეგრელმა კაცმა კარგად იცოდა, რომ საქართველოსაგან სამეგრელოს მოწყვეტა საქართველოს სახელმწიფოებრიობის საბოლოოდ მოშლა-განადგურების მყარი გარანტია იქნებოდა. დღეს კი, ნამდვილად სამარცხვინოა, რომ საქართველოს დაუძინებელი მტერი **"ნაციონალები"**, რომელთაც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში განიცადეს გამანადგურებელი დამარცხება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მხოლოდ სამეგრელოში ზეიმობდნენ **"დამაჯერებელ"** გამარჯვებას.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მიმტევებლები ვიქნებით ნაციონალების იმ მომხრეთა მიმართ, რომლებიც თავიანთი გაუცნობიერებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნაკლებად მონაწილეობის გამო ვერ ახერხებენ ნაციონალთა მზაკვრული გეგმების გაშიფვრას და შევარდნაძისადმი უნდობლობის ინერციით აგრძელებენ ქვეყნის დამაქცევარ ნაცთა მხარდაჭერას, მაგრამ დაუნდობლები ვიქნებით მათ მიმართ, რომელთაც კარგად იციან ნაცების მტრული საქმიანობის თაობაზე, მაგრამ გარკვეული გასამრჯელოს ფასად უჭერენ მათ მხარს!

აი, სწორედ ასეთი ხალხი გახლავთ ჩვენი კუთხის დიდი სირცხვილი!

შეხვედრა საინტერესოდ გაგრძელდა – როლანდ ჯალაღანიამ, როგორც კინომცოდნემ, ვრცლად ისაუბრა ცნობილი ქართველი კინორეჟისორის, მსოფლიო კინოს პატრიარქის რევაზ ჩხეიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის განუხორციელებელ გეგმებზე, ქართული კინოხელოვნების მდიდარ წარსულზე და ამ სფეროში ამჟამად მიმდინარე შემოქმედებით პროცესებზე...

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ წიაღსვლებზე, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაზე და ქართული სახელმწიფოს ევროსტრუქტურებისაკენ ბრმა ლტოლვის უარყოფით მხარეებზე დამსწრეთ საინტერესოდ ესაუბრა ბატონი დავით ქობალია.

„–ის, რომ, მეზობელს არავინ გამოგვიცვლის, რაც უნდა ცუდი ზნისა იყოს იგი, მასთან ურთიერთობა ჩვენვე რომ უნდა მოვაგვაროთ და ცხრა მთასა და ოკეანის გაღმიდან მოწვეულ შუამავალს არ უნდა გადავაბაროთ, – ქუჯის, ფარნავაზის და რუსთაველის მემკვიდრეებს არ უნდა გვესწავლებოდეს!

გართულებული ურთიერთობის მოგვარება კი ერთმანეთთან საუბრითა და უშუალო კავშირებით ხდება, რაც, მაღალი სამთავრობო ეშელონის წარმომადგენლებმა ყველაზე უკეთ იციან, რადგან **„უცხოელი მეგობრები"** ყველგან და ყოველთვის ამაზე მიანიშნებენ. სამწუხაროდ, მათ ეს მინიშნება საქართველომდე არ ჩამოჰყვებათ ხოლმე და ასე გრძელდება, ისედაც მწვავე ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება!

პირდაპირ და შეულამაზებლად უნდა განვაცხადო – ყველა ისინი, ვინაც საქართველოს, ხან ამერიკულ, ხან ევროპულ, ხანაც კი, რუსული გზისკენ მიუთითებენ და უბიძგებენ – **„ან ჭკვიანი მტერი არის, ან უგნური მოყვარე..."!**

– რადგან, საქართველოსთვის, ერთადერთი, ჭეშმარიტი გზა – ქართული გზაა!

სწორედ ამას უმალავენ ქართველებს, ქვეყნის ბოლო, სამი მთავრობა და მათი პარლამენტები!

ერთადერთი, ვინაც ამ ჭეშმარიტებისკენ საქართველოს და მისი მოსახლეობის მიბრუნება სცადა, დიდი რეზო ჩხეიძე იყო! მართალია, თვითონ მარადისობაში გადაინაცვლა, მაგრამ საპროგრამო ტრაქტატად – კინო-ხატი, **"მაცხოვრის საფლავთან ანთებული სანთელი" დაგვიტოვა!"**

ბატონი დავითის ამ განცხადებას დარბაზი ტაშით შეხვდა.

შეხვედრის დასასრულს ნაჩვენები იქნა კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის უკანასკნელი ნამუშევარი – **"მაცხოვრის საფლავზე დანთებული სანთელი"**.

შემდეგ ჩხოროწყუს რაიონის ხელმძღვანელობამ სთხოვა გაზეთ **"ილორი"**-ს წარმომადგენლებს, რომ გამონახონ დრო, რათა უახლოეს მომავალში პირისპირ შეხვდნენ რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელთაც აინტერესებთ დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესები. რაიონში შემდგომი სტუმრობის თარიღსა და მოსწავლე ახალგაზრდობასთან შეხვედრის რეგლამენტს მხარეები დაადგენენ ორმხრივი კონსულტაციების შედეგად და სავარაუდოდ იგი 2015 წლის ნოემბრის მიწურულს შედგება.

გადაწყდა, რომ ჩხოროწყუს რაიონში ჩატარებული ღონისძიების ამსახველ მასალებს და რაიონთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო კორესპონდენციებს გაზეთი **"ილორი"** გამოაქვეყნებს უახლოეს პერიოდში.

**გაზეთ "ილორი"-ს რედაქცია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "ქალაქის ცენტრში ვიღაც არაბი გვიხსნის ბორდელებს და ქართველ ქალებს ამუშავებს, მეტი საშინელება რაღა გვინდა?"

**"კიდევ ბევრი ადგილი მიყიდეთ უცხოელებს, რაც შეიძლება ბევრი ბორდელი და გეიკლუბი გახსენით, მიდით დააქციეთ ქვეყანა ბოლომდე. ქართველები არ ხართ? – ქართველ გოგოებს ამუშავებენ მეძავებად, ვის მოგწონთ ეს? – ხმა ამოიღეთ! არაბები ამუშავებენ ქართველ გოგოებს საქართველოში. ვინმემ ყურადღება მიაქციოს ამას! საერთოდ რატომ უშვებთ ასეთი დაბალი დონის ტურისტებს აქ სამუშაოდ? ჩვენი უვარგისი არ გვყოფნის, ახლა კიდე სხვა ქვეყნიდან რჩეული მეძავები და "ბარიგები" რომ არ შუმოუშვათ?.. გადაკეტეთ საზღვარი ესეთი ხალხისთვის! ამასაც ბიზნესს ხომ არ ეძახით ვინმე?"** – ეს სიტყვები ცნობილმა მომღერალმა აჩიკო ნიჟარაძემ **"ფეისბუქის"** საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. მომღერალი ასევე აქვეყნებს ერთ-ერთი ბარის ამსახველ ვიდეოს, სადაც ქართველებს არ უშვებენ...

აჩიკო ნიჟარაძემ თავისი გულისტკივილი ჩვენც გაგვიზიარა:

– საქართველო არის მართლმადიდებელი ქვეყანა. დაუშვებელია ყველა კუთხეში გეიკლუბი და ბორდელი იყოს! მითუმეტეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ამუშავებენ მეძავებად და ვინმემ ხომ უნდა დაიცვას ისინი?! ჩვენ ქვეყანაში ვერ დაგვიცავს ადამიანები ტრეფიკინგისგან და საზღვარგარეთ როგორ დავიცავთ ჩვენს მოქალაქეებს?! ვიღაცა იტყვის ძალით ხომ არ ამუშავებენო, მაგრამ საიდან უნდა გაიგოს ვინმემ ძალით ამუშავებენ, თუ – არა? – შიგნით არ უშვებენ არც ჟურნალისტს და არც ზოგადად ქართველებს! ვინ იტყვის დაზუსტებით, რომ შიგნით ამ ქალებზე არ ძალადობენ? – ან რას ნიშნავს ქართველს თავის სამშობლოში რომელიმე კლუბში რომ არ უშვებენ? ეს დიდი შეურაცხყოფააა! ქალაქის ცენტრში ვიღაც არაბი გვიხსნის ბორდელებს და ქართველ ქალებს ამუშავებს, მეტი საშინელება რაღა გვინდა? ამ ქვეყანაში პროსტიტუცია და წამლის **"ბარიგობა"** ლეგალიზებული უკვე, თუ რა ხდება?

ხალხი გადარეულია უკვე ამდენი პრობლემისგან, რაღაცეები უნდა დალაგდეს ამ ქვეყანაში! არ შეიძლება ბორდელებად და **"ბარიგების"** სათარეშო ადგილად საქართველოს გადაქცევა! ერთ დღეს აუცილებლად აფეთქდება ხალხის მოთმინება.

მე ძალიან ვუფრთხილდები ქართულ ტრადიციებს და ძალიან მიკვირს ქართველები რომ აქირავებენ და ყიდიან ამ ადგილებს! თბილისელ კაცს, როგორ არ ცხვენია მის ტერიტორიაზე ესეთი ბარი რომ იხსნება?!

**მანანა ბაბრიჭიძე**

**გაზეთ "ილორის" კომენტარი – ავადსახსენებელი მუსულმანური მოძალების ჟამსაც კი ვერ ბედავდნენ არაბები და თურქები ისეთი საზიზღრობების ჩადენას საქართველოში, რასაც დღეს სჩადიან. დიახაც რომ ჩვენი ხელისუფლების ბრალია არაბებისა და თურქების ამგვარი გათავხედება, თორემ საზოგადოება წამის უმალ ალაგმავდა ავისმქნელ გადამთიელებს.**

**სწორედ ჩვენს ქვეყანას გრძნობენ ეს შემოხეტიალებული ბარბაროსები თავს დაუსჯელად, თორემ საკუთარ ქვეყანაში ამგვარი საქციელისათვის თავის მოკვეთა არ ასცდებოდათ. მაგალითად, ამას წინათ საუდის არაბეთში, რომელიც ამერიკელების მეგობარ ქვეყანად ითვლება, ახალგაზრდა ქალი სიკვდილით დასაჯეს მხოლოდ იმიტომ, რომ მანქანის საჭესთან იჯდა. რატომღაც, ამერიკელებს ამ ფაქტზე კრინტი არ დაუძრავთ, რადგან საუდის არაბეთის მმართველები "მათი ძაღლისშვილები" არიან.**

**ნათქვამია: "გიჟი ქორწილში შესულა და უთქვამს: აქაურობა ჩემს სახლს სჯობიაო". თუ ჩვენთან მეძავობა და სუტენიორობა სიკვდილით არ ისჯება, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა შემოხეტებულმა საკუთარ ხელობად გაიხადოს ეს საძრახისი საქმიანობა და გარყვნილების მორევში ჩაძიროს ქვეყანა.**

**დროა საქართველოს ხელისუფლებამ კანონის ფარგლებში აღკვეთოს მსგავსი კანონდარღვევები, რაც დიდ ზიანს აყენებს როგორც ქვეყნის გენოფონდს, ასევე მის საერთაშორისო იმიჯს, თორემ თუ აღშფოთებულმა ხალხმა თავად მოუწყო სასამართლო ამ უჯიშო გადამთიელებს, არა მგონია მათ ცოცხლებმა მიასწრონ ქვეყნის საზღვრებამდე.**

**არა და, ჰაერში უკვე აშკარად ტრიალებს დენთის სუნი!!!**



# საქართველოს საპატრიარქო მიმართავს როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის ხელისუფალთ, სასწრაფოდ გამოიძიონ ეს ფაქტი და დროულად მიიღონ სათანადო ზომები მომხდარის გამო!

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება: **"ინტერნეტ სივრცეში ახლახანს გავრცელდა ე.წ. კლიპი, თუ მხატვრული ფილმის ნაწილი, რომელიც გადაღებულია ისტორიული ჰერეთის, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე უმნიშვნელოვანესი ქართული სალოცავის,– ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარში. სცენა დაახლოებით ასეთია:**

**უცნობი კაცი და ქალი, რაღაც განძის ხელში ჩაგდების სურვილით შეპყრობილნი, ორ კათოლიკე ბერს ჯოხის თავში ჩარტყმით გონებას დააკარგვინებენ, მათ სამოსს ჩაიცვამენ და ტაძარში შევლენ. სამალავში სანუკვარ ნივთს მიაგნებენ. ქალი ნივთთან ერთად გაიქცევა, მამაკაცი კი დარჩება და შემოსულ სხვა სასულიერო პირებს (კათოლიკე ბერების ჩაცმულობით) აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებით მოიგერიებს.**

**ეს ყველაფერი კი ხდება ეკლესიაში და მის ცენტრალურ ადგილში, საკურთხეველში, რაც სრული უგულებელყოფაა ათასობით და ათიათასობით ადამიანის რელიგიური გრძნობისა. ამ კადრების გადამღებებმა სათამაშო მოედნად აქციეს ის სივრცე, რომელიც, როგორც მართლმადიდებლებისათვის, ისე მუსლიმებისთვისაც კი უდიდესი თაყვანისცემის ადგილია. აქ ხომ საუკუნეებია კრძალვით, ფეხშიშველნი მოდიან მორწმუნენი, რათა ცრემლით შესთხოვონ წმინდა გიორგის ღვთის წინაშე მეოხება.**

**საქართველოს საპატრიარქო მიმართავს როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის ხელისუფალთ, სასწრაფოდ გამოიძიონ ეს ფაქტი და დროულად მიიღონ სათანადო ზომები მომხდარის გამო".**

**გაზეთ "ილორის" კომენტარი –** საინტერესოა, როდემდე უნდა ეკავოს ჩვენს ხელისუფლებას სირაქლემის პოზიცია იმ მუსულმანურ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებსაც ჯიუტად მიიჩნევს **"მეგობრად"** და სადაც უხეშად ირღვევა ქრისტიანი მოსახლეობის უფლებები. ჩვენ არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ საინგილოში აზერბაიჯანის ხელისუფლება კატეგორიულად კრძალავს ქართულენოვანი წიგნები შეტანას, მაშინ, როცა საქართველოს აზერბაიჯანულენოვან რაიონებში ბავშვები სკოლებში აზერბაიჯანში დასტამბული წიგნებით გადიან სწავლების კურსს, სადაც ეს რაიონები ძირძველ აზერბაიჯანულ ტერიტორიებადაა გამოცხადებული.

თურქების მიმართ არცერთი ნორმალური ქრისტიანი არ შეიძლება განწყობილი იყოს სიმპათიით, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ ქვეყანაში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იხსნება ქართული კულტურის ცენტრები, მაშინ, როცა **"მოძმე"** აზერბაიჯანში ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან საინგილოში ერთადერთი ქრისტიანული ეკლესიის – ქურმუხის ტაძრის ნორმალურ ფუნქციონირებას.

საინტერესოა, როდემდე უნდა ვითმინოთ ამგვარი რელიგიური სეგრეგაცია?



# ვის აუჩუყა გული კრიმინალის ციხეში შებრუნებამ?... ანუ – „იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა ტირისა!“



სადისტი და გათახსირებული უნდა იყო ადამიანი, ბორკილდადებული კაცის ან ქალის დანახვაზე აღტაცებაში რომ მოხვიდე, თუმცა, ამ **„ნაციონალი“** კრიმინალისთვის, რომელიც ჯერ რატომღაც გაათავისუფლეს და 24 საათში ისევ დააპატიმრეს, ხელბორკილი არავის დაუდია!

ის კი არა და, უპრეცედენტო რამ მოხდა!

დიახ, ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ასეთი რამ არ მომხდარა, არამც თუ საქართველოში, მოზამბიკშიც კი – კრინიმალმა **„ნაციონალებმა“,** გათავისუფლებული ნატუსაღარი ნაციონალის **„მეთაურობით“,** რომელმაც ახალგაზრდა ჩე'გევარა გამახსენა, რევოლუციური შინაარსის მოწოდებებით, პირდაპირ სასამართლოს ეზოში, ისეთი დახვეწილი და **„პროფესიონალური“** მიტინგი გამართა **„ქართულ ოცნებას“** არც დაესიზმრებოდა!

**„გასროკილი“** და ციხეში შებრუნებული ნაციონალ-კრიმინალის გულშემატკივრებო, დაიფიცეთ (გნებავთ დაიგინეთ), გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, ყველაზე ბობოლა **„ნაციონალის“** დიქტატორობის დროს ასეთ რამეს ვინ გაბედავდა? ვინ გაპატიებდა სასამართლოს ეზოში ანტისამთავრობო მიტინგების მოწყობას, საბრძოლო, რევოლუციური მოწოდებებით?!

არ დაალეწავდა **„გათავხედებულ“** მომიტინგეებს თავპირს ვანოს ზონდერბრიგადა?!

მაშ რატომ მისცა უფლება ხელისუფლებამ პოლიტკრიმინალს და მისი ბანდის წევრებს ასე უხეშად და თავხედურად – კონსტიტუციური და ყოველგვარი კანონების დარღვევის უფლება?

ეს შეკითხვა ნებისმიერ მოქალაქეს გაუჩნდებოდა, ვინც ამ მიტინგს შეესწრო, ან ტელევიზორში ნახა!

პასუხი ორგვარია: ან სუპერდემოკრატები არიან ხელისუფალნი, ან **„კოჰაბიტაცია“ „ალიანსურ ურთიერთობაში“** გადაეზარდათ!

**„რა გულისამაჩუყებელი იყო მამისა და შვილის განშორების ეპიზოდი!“** განაცხადა ერთერთმა პოლიტიკოსმა! ერთ ერთმა საეჭვო **„ბრეგრაუნდის“** მქონე ბიზნესძიამ ისიც კი თქვა – **„აქამდე ამ ხელმეორედ დაჭერილ „ნაციონალს“ ჩემ მტრად მივიჩნევდი, ამიერიდან კი მისი ოჯახისთვის ვილოცებო“!**

წმინდა ადამიანური კუთხით გულამაჩუყებელი კი არა გულისდამთუთქველი იყო, მამისა და შვილის განშორების სცენა, მაგრამ... აბა გაიხსენეთ სადისტურად მოკლული ახალგაზრდა კაცი გირგვლიანი, გაიხსენეთ მისი გამწარებული დედა და გირგვლიანების განადგურებული ოჯახი! გაიხსენეთ სასამართლოსა და განაჩენის გამოტანის გარეშე ქუჩაში მოკლული ბუტა რობაქიძე და მისი მშობლები!... გაიხსენეთ **„ნაციონალური“** რეჟიმის მიერ გამწარებული არაერთი დედა და გაუბედურებული ოჯახები! გაიხსენეთ 26 მაისი, 7 ნოემბერი, თუ მეხსიერება არ გღალატობთ გაიხსენეთ ციხეში, ფაშისტური მეთოდებით ნაწამები ათასობით პატიმარი და... შეიძლება სიბრალულის გრძნობა პროტესტის გრძნობამ შეგიცვალოთ!

ნაციონალ-ფაშისტები საქართველოს უახლეს ისტორიაში დაიმკვიდრებენ ადგილს, როგორც განსწავლული უამრავი დანაშაულის ჩანდენი, ვერაგი, გაუგონარი დანაშაულებების ჩამდენი, ასზე მეტი სოფლის გამჩუქებელი დამნაშავეები!

არ შეიძლება არ შევეხო საქართველოში მოქმედ საელჩოების, განსაკუთრებით კი ამერიკის საელჩოს მიერ ყოველგვარი დიპლომატიური და ზნეობრივი ნორმების დარღვევას!

ვინ ხართ, რა უფლებებით გვაძლევთ დირექტივებს, გვმოძღვრავთ და თან დიდი მონდომებით ხელს აფარებთ კრიმინალებს?

ასეთი თვგადაკლული დამცველები **„დიდ ილიჩს“** და ანჟელა დევისსაც კი არ ყოლიათ!

თქვე ნამუსგარეცხილო დიპლომატებო და ელჩებო, ვის ესარჩლებით და ვის იცავთ, მკვლელებს და სისხლის სამართლის დამნაშავეებს?! თქვენ ასწავლით საქართველოს მოქალაქეებს ვინ იყვნენ და ვინ არიან **„ნაციონალები“**?! იქნებ ერთი ადგილი გეწვით და უძილო ღამეების დროს ის **„ატკატები“** გესიზმრებათ გრანტებისა და დახმარების სახით საქართველოში რომ აგზავნიდით და მთავარი ნაციონალ-ფაშისტი, წილის სახით, უკან რომ გიბრუნებდათ?! ასე გადასანსლეთ თქვენ და ნაციონალებმა მილიარდები, დამშეული, უმწეო ოჯახებისთვის განკუთვნილი დოლარები და ევროები!

ის მილიარდები დანიშნულებისამებრ რომ გამოეყენებინა ნაციონალურ ხელისუფლებას, ახლა **„კაპიტალისტურ კომუნიზმში“** ვიცხოვრებდით ქართველები და თქვენს მიერ მიყრილი მშობლების **„სიდელკებად“** არ გადაიქცეოდა ჩემი საცოდავი ერი!

აი რისი **„კუჭის ტკივილი გტანჯავთ“** ბატონებო!

გეშინიათ თქვენი ბნელი საქმეები არ გასკდეს, საერთაშორისო სკანდალში არ გაეხვეთ და ტუსაღი ნაციონალი კრიმინალების მეზობელ **„შკონკაზე“** არ აღმოჩნდეთ **„ბალანდა“**-ს ამარა დარჩენილები!

**„ქართულ ოცნებას“** ჩემზე დიდი გულშემატკივარი და მხარდამჭერი, ალბათ, არ ჰყოლია! ამიტომ მინდა რომ, აი, ამ დარჩენილ მოკლე დროში მაინც აღიდგინოს ის დაკარგული სახელი და ავტორიტეტი, რომელიც 2012 წლიდან დაიმკვიდრა ბატონმა ბიძინამ და მთელმა ალიანსმა და შემდეგ გაუგებარ, ძალიან გაუგებარ ვითარებაში, თვითონვე დაკარგა!

დასასრულს, გულაჩუყებულ პოლიტიკოსებსა და ზოგიერთ მოქალაქეებს მინდა გავახსენო „ვეფხისა და მოყმის“ ბალადის აი ეს ადგილი: **„იქნება ვეფხვისა დედაი ჩემზე მწარედა ტირისა!“ –** ვეფხვი თითქმის განადგურებული, გაპარტახებული გათითოკაცებული საქართველოა!

ამიტომ, ბატონებო, ზედმეტად ნუ აგიჩუყდებად გული მკვლელების და ნაძირალების გამო!

**თამაზ ჭეიშვილი**

**ჩემი და ჩემი ოჯახის სახელით სამძიმარს ვუცხადებ უმცროს მეგობრებს გიორგი და მიხეილ სიხარულიძეებს მშობლების ტრაგიკულად დაღუპვის გამო**

**როლანდ ჯალაღანია**

# "ხელისუფლებამ "რუსთავი 2" დახურა" – ნიკა გვარამიას საგანგებო განცხადება

*"ჰა, ვერან, დაგაჯდა სიკვდილის ბუზი?"* – გოგია კენკიშვილის შეძახილი კინოფილმიდან "ხარება და გოგია"



**"რუსთავი 2"-ის** გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას განცხადებით, ხელისუფლებამ თავისი გადაწყვეტილებით **"რუსთავი 2"** დახურა. ამის შესახებ ნიკა გვარამიამ ტელეკომპანიის ეზოში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

**"გასაოცარი დემოკრატიის მეოთხე წელი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის დაპირებით უნდა ყოფილიყო საუკეთესო, ხელისუფლებამ დაიწყო სამარცხვინო ნაბიჯით – მან თავისი გადაწყვეტილებით "რუსთავი 2" დახურა.**

**არ მოგატყუოთ იმან, რასაც ახლა ხედავთ ტელეეთერებში. ის, რომ ჩვენ მაუწყებლობას ვაგრძელებთ, არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება ყველაფერს არ აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენ ეს მაუწყებლობა შევწყვიტოთ. დღეს, როგორც არასდროს ჩვენ ახლოს ვართ ამ მაუწყებლობის შეწყვეტასთან",** – განაცხადა გვარამიამ.

მისივე თქმით, მათ გადაკეტილი აქვთ ყველა ფინანსური არხი, რომელსაც ალტერნატივის შემთხვევაში იყენებდნენ.

მოგვიანებით კი გაირკვა, რომ საქმე გვქონია ამ ტელეარხისათვის დამახასიათებელი სიყალბის გამჟღავნებასა და მის აღკვეთას საჯარო რეესტრის მიერ.

როგორც ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა პაატა სალიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იგეგმებოდა ტელეკომპანია **„რუსთავი 2"**-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელი **„ტელეკომპანია საქართველოს"** გასხვისება. ადვოკატის ინფორმაციით, საჯარო რეესტრში წარდგენილი ხელშეკრულების თანახმად, ძმები ყარამანიშვილები გეგმავდნენ **„ტელეკომპანია საქართველოში"**, რომელიც არანაირ საქმიანობას არ ეწევა, მათი 100 %-იანი წილების დავით კეზერაშვილის ცოლის ძმის, დიმიტრი ჩიქოვანზე გადაცემას. როგორც კი ცნობილი გახდა მოსალოდნელი ფაქტიური გარიგების დადების თაობაზე, ქიბარ ხალვაშის ადვოკატების მიერ მოთხოვნილ იქნა **„ტელეკომპანია საქართველოს"** წილების გასხვისების აკრძალვა და თბილისის საქალაქო სასამართლომ მათი ეს მოთხოვნა დააკამაყოფილა. ამ ეტაპზე არიდებულ იქნა **„რუსთავი 2"**-ისთვის ფიქტიური გარიგებით, რამდენიმე მილიონიანი ფინანსური ვალდებულების დაკისრების საფრთხე.

როგორც ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა პაატა სალიამ აღნიშნა, ყარამანიშვილების მიერ დიმიტრი ჩიქოვანზე წილების გადაცემა შემდეგ მიზნებს ისახავდა – ტელეკომპანიის გარკვეული ვალდებულებებით დატვირთვას და ქიბარ ხალვაშისთვის პრობლემების შექმნას. **„ჩვენი აზრით წილების გადაცემა ისახავდა ორ მიზანს- ერთი, რომ „კეთილსინდისიერმა შემძენმა" შეიძინა „ტელეკომპანია საქართველოს" წილები. მეორე და ჩვენი აზრით უმთავრესი – ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ისთვის დიმიტრი ჩიქოვანს, იგივე დავით კეზერაშვილს უნდა განეხორციელებინა 6 მილიონი დოლარის ინვესტიცია. მიგვაჩნია, რომ ეს გარიგება გამიზნული იყო იმისთვის, რომ გარკვეული ვალდებულებებით მომხდარიყო ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის დატვირთვა და იმ შემთხვევაში, თუ ქიბარ ხალვაშს დაუბრუნდებოდა კუთვნილი წილები, მომხდარიყო ტელეკომპანიისთვის ამ თანხების დაბრუნების მოთხოვნა და ქიბარ ხალვაშისთვის ხელოვნური პრობლემების შექმნა",** – აღნიშნა ადვოკატმა და განმარტა, რომ ყარამანიშვილების მიერ რეესტრში შეტანილი განცხადების დრო გახლდათ 29 სექტემბერი, 17.55 წუთი ანუ ისინი ვარაუდობდნენ, რომ იმ დღესვე, ანუ საღამომდე დარეგისტრირებულიყო და ამ რეგისტრაციის შეჩერების არანაირი მექანიზმი არ ამოქმედებულიყო.

**„თუმცა, საბედნიეროდ, საჯარო რეესტრმა დააფიქსირა რომ მინდობილობაში გახლდათ გარკვეული ხარვეზი. მათ ეს მეორე დღესვე გამოასწორეს, მაგრამ ჩვენ მივმართეთ საქალაქო სასამართლოს და დაუყოვნებლივ მოვითხოვეთ ყადაღის დადება. სასამართლომ ეს დააკმაყოფილა და შემდგომ, ჩვენ უკვე წარვადგინეთ სასამართლო განჩინება რეესტრში და რეესტრმა უკვე დაარეგისტრირა ჩვენი ყადაღა",** – აღნიშნა სალიამ.

რაც შეეხება რუსთავი 2-ის ფიქტიური ვალდებულებებით დატვირთვას, ადვოკატი განმარტავს, რომ მოხდებოდა საბუღალტრო მონაცემებით მანიპულირება დ შემდეგ ქიბარ ხალვაშისთვის მოხდებოდა არარსებული თანხების უკან მოთხოვნა. **„ხელშეკრულებში წერია, რომ 6 მილიონი უნდა მიეღო „რუსთავი 2"**-ს. **რა გზით უნდა მიეღო, ამაზე ძალიან რთულია საუბარი. ვფიქრობთ, მოხდებოდა საბუღალტრო მონაცემების მანიპულირება, სადაც აისახებოდა ეს ვალი და შემდგომ უკვე ბუღალტრული მონაცემებიდან და ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უნდა მიეღო. არაერთი ასეთი გარიგება არსებობს, სადაც რეალური ფულის მოძრაობა არ ჩანს. ყველა ეს გარიგება, რომელიც ქიბარ ხალვაშის შემდეგ ხორციელდება, არცერთ შემთხვევაში რეალურად თანხის გადაცემა არ დასტურდება და ყველგან წერია, რომ თანხა მიღებულია. შესაბამისად, მსგავსი რამ აქაც მოხდებოდა. ალბათ მოხდებოდა ამ თანხების მიღების აღიარება დოკუმენტებში და არარსებული თანხის უკან გადაცემის მოთხოვნით",** – განაცხადა პაატა სალიამ.

მოკლედ, როგორც იტყვიან: **"სიბილწე სულს ღაფავს"**!

სახეზეა ნაცბანდის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების კასკადი – ტელეკომპანია **"რუსთავი 2"** 2004 წლიდან 2012 წლამდე ოცჯერ გასხვისდა, რათა საბოლოოდ არეულიყო გზა-კვალი და სამართალს ვერასგზით ვერ დაედგინა თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ტელეარხის კანონიერი მემკვიდრე.

ჩვენ ჟურნალისტები ვართ და გამორიცხულია, რომ კოლეგების თავზე დატრიალებულმა უბედურებამ გაგვახაროს. მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიის მუშაკები ჩვენი კოლეგები იყვნენ, რადგან ისინი ყოველნაირად ებრძვიან ჭეშმარიტებას და დღესაც ავადსახსენებელი სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის ბინძურ ინტერესებს ემსახურებიან.

ასე რომ, ნამდვილად დააჯდა სიკვდილის ბუზი ტელეარხ **"რუსთავი 2"**-ს, მაგრამ მათივე ნებით, რადგან თავად ისურვეს ჩაჰყოლოდნენ საფლავში ასევე სიკვდილის ბუზმიმჯდარ ნაციონალებს.

**საკ. ინფ.**

# თაღლითური სქემა საჯარო მოხელეების მონაწილეობით – რა უნდა იცოდნენ დევნილებმა რომ არ მოტყუვდნენ: "ჩაწყობით ბინის მიღების შანსი არ არსებობს"



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს მოქალაქე ოთარ ც. დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, ის აფხაზეთიდან დევნილ ცოლ-ქმარს 8000 ლარის სანაცვლოდ საცხოვრებელ ფართს დაპირდა, მან ცოლ-ქმარს ყალბი ფორმა №100 მიაღებინა, რომელთა მიხედვით აღნიშნულ პირებს, თითქოსდა, აღენიშნებათ ფილტვების ქრონიკული დაავადება.

დევნილები მსგავსი თაღლითობის მსხვერპლნი ხშირად ხდებიან. წელს დევნილების მოტყუების ფაქტზე სამი თაღლითური ჯგუფი დააკავეს, მათ შორის დევნილთა სამინისტროს რეგიონული განყოფილების თანამშრომელი მერა გოგსაძე, დევნილთა და განსახლების მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, თაღლითური ჯგუფი დიდია, გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა და არ არის გამორიცხული ამ საქმეში საჯარო პირებიც იყვნენ ჩართული.

– ყველას აქვს ინფორმაცია თაღლითების შესახებ, მაგრამ რატომღაც მაინც ამ გზით ურჩევნიათ ბინის მიღება. ბოლო ორ კვირაში მეორე ასეთი ფაქტი გამოვლინდა. როცა ადამიანი გარკვეული თანხის სანაცვლოდ, დევნილს ბინას ჰპირდება, პირველ რიგში ჩვენ ან სამართალდამცავებს უნდა მიმართონ. ჩაწყობით ბინის მიღების შანსი არ არსებობს. ყველა ასეთ საქმეში ბევრი ადამიანია ჩართული, გამოძიება ბოლომდე არ არის ჯერ დასრულებული. თაღლითები განსაკუთრებით, გააქტიურდნენ მას შემდეგ, როცა ცნობილი გახდა, რომ თბილისის ზღვაზე გადაეცემა საცხოვრებელი ფართი დევნილებს. ასეთი ამბები ხშირია საჯარო მოხელეების მონაწილეობით, არის შემთხვევები როცა უბრალოდ იყენებენ მათ სახელს. ყველა აგებს პასუხს, მალე კიდევ არაერთი გვარი გამოჩნდება ამ საქმეში, მათ შორის საჯარო მოხელეების, გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.

– რა სქემით მუშაობენ თაღლითები? – ამის შესახებ, დევნილთა და განსახლების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი **ზვიად ლათიბაშვილი** საუბრობს.

– დევნილთა განსახლების გრძელვადიანი პროცესი სამი მიმართულებით მიმდინარეობს, რომლის პირველი ეტაპი არის სააპლიკაციო ფორმის შევსება, რის საფუძველზეც დევნილ ოჯახებს წინასწარი ქულები ენიჭება. უპირატესობა ენიჭება მაღალქულიან ოჯახებს, ვისაც ჰყავს ომში დაღუპული წევრი, არის სოციალურად დაუცველი, ცხოვრობს ნგრევად სახლში, აქვს მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ. როდესაც შეივსება სააპლიკაციო ფორმა და ოჯახს მიენიჭება ქულები, შემდეგ ხდება ამ მონაცემების გადამოწმება, მიიღებს თუ არა ბინას დევნილი ამას სპეციალური კომისია წყვეტს, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციების წევრებისგან შედგება. ერთპიროვნულად ბინის გადაცემა მინისტრსაც კი არ შეუძლია. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კომისია დევნილს ბინას გადასცემს, გარკვეული პერიოდის მანძილზე მას არ აქვს შესახლების უფლება. როცა დევნილმა იცის, რომ სხვამ ბინა მიიღო, ამ დროს შესაძლოა დაგვიკავშირდეს და საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდოს როგორ მოახერხა შესაბამისი ქულების დაგროვება.

**– როგორ მუშაობენ თაღლითები?**

– ძირითადად ასეთი სქემა აქვთ, დაიბარებენ დევნილს სამინისტროსთან, ეუნებიან, რომ ჰყავთ ახლობლები სამინისტროში, ვისი მეშვეობითაც მოუმატებენ ქულებს და გადაეცემათ ბინა, ასევე ხდება გარიგება ექიმთან. როგორც ეს ბოლო ფაქტის დროს დაფიქსირდა. ბოლო ორი შემთხვევის შესახებ, ინფორმაცია თავად დევნილებმა მოგვაწოდეს, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ სამართალდამცავებთან, რომლებმაც დროულად და ეფექტურად მოახდინეს რეაგირება თაღლითების დასაკავებლად. არცერთი ასეთი ფაქტი არ დარჩება დაუსჯელი.

**თამარ ბოჭორიშვილი**

# მკვლელი სტუდენტების აღმსარებლობით ინტერესდებოდა და ქრისტიანებს ესროდა

**"თქვენს შორის ნორმალური ბავშვებიც არიან. ხვალ სკოლაში არ წახვიდეთ, თუ თქვენ ჩრდილო-დასავლეთით ცხოვრობთ. დილით გაიგებთ, რაც მოხდა"** – ეს ჩანაწერი ანონიმურ ფორუმზე ერთ-ერთმა მომხმარებელმა გამოაქვეყნა. ეს გაფრთხილება სერიოზულად არავის აღუქვია. ახლა ამერიკელი სამართალდამცავები უკვე ფიქრობენ, რომ ჩანაწერი იმ მკვლელს ეკუთვნის, ვინც ორეგანოს შტატის პატარა ქალაქ როზბურგში სასაკლაო მოაწყო.

2 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ქალაქის სტუდენტურ კამპუსში მძიმედ შეიარაღებული ახალგაზრდა გამოჩნდა, რომელმაც სტუდენტებს ცეცხლი გაუხსნა. თვითმხილველთა თქმით, მკვლელი ჯერ სტუდენტების აღმსარებლობით ინტერესდებოდა, არასასურველი პასუხის შემთხვევაში კი მათ ესროდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მისი სამიზნე ქრისტიანები იყვნენ. გარდაცვლილია 10, მძიმედ დაჭრილია 7 ადამიანი. შედარებით მსუბუქად დაშავებულთა რიცხვი კი გაცილებით დიდია. გარდაცლილთა ასაკი 18-67-წლამდე მერყეობს, ყველაზე უფროსი მასწავლებელი იყო.

მკვლელი 26 წლის სტუდენტი კრის ჰარპერ მერსერი აღმოჩნდა. პოლიციის განცხადებით, მას არაკანონიერი გზით შეძენილი ჰქონდა 13 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, რომელთაგან სტუდენტთა კამპუსში პისტოლეტებითა და შაშხანით შეიარაღებული გამოცხადდა, დამნაშავეს ჯავშანჟილეტი ეცვა. მოკლედ, მკვლელობისთვის კარგად იყო მომზადებული.

მან თავდასხმისთვის ყველაზე ხალხმრავალი აუდიტორია აირჩია. მერსერმა ცეცხლი გაუხსნა პოლიციასაც, ორმხრივი სროლისას ის ადგილზე მოკლეს.

როგორც პრესა წერს, გაფრთხილების გარდა მკვლელმა კიდევ ერთი წერილი დატოვა, რომლის მიხედვითაც მან ეს მასობრივი მკვლელობა მიუძღვნა ეპოლოტ როჯერს, რომელმაც შარშან კალიფორნიის უნივერსიტეტთან 6 ადამიანი მოკლა.

**"ამ დღეს შესანიშნავი გეგმით აღვნიშნავ – ყველაზე საშინელი ადამიანები პასუხს აგებენ იმაზე, რაც ჩაიდინეს და სამყარო უკეთესი გახდება",** – წერს მკვლელი წერილში.

მომხდარს გამოეხმაურა აშშ-ს პრეზიდენტი ბარაქ ობამა: **"აშშ ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მასობრივი მკვლელობა ლამის რუტინად გვექცა, ეს მკვლელობები უკვე ლამის რამდენიმე თვეში ერთხელ ხდება."**

მან ასევე განაცხადა, რომ აუცილებლად უნდა გამკაცრდეს იარაღის შეძენა-ტარების თაობაზე კანონმდებლობა. მოუწოდა საზოგადოებას მოახდინონ პოლიტიკოსებზე ზეწოლა, რათა მათ ამ ინიციატივას მხარი დაუჭირონ.

მერსერი კოლეჯიდან რამდენიმე მილში, დედასთან ერთად, ცხოვრობდა. ინგლისში დაიბადა, თუმცა პატარა იყო, როდესაც მშობლები აშშ-ში გადავიდნენ საცხოვრებლად. დედ-მამა მოგვიანებით დაშორდა. როგორც მკვლელის მამამ იან მერსერმა განაცხადა, ის შვილის მიერ ჩადენილით შოკშია და მისი საქციელის ახსნას ვერ პოულობს. როგორც ირკვევა, კრის ჰარპერ მერსერი 2008 წელს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, თუმცა მალევე, საბაზისო სამხედრო განათლების მიღების შემდეგ, გაურკვეველი მიზეზით გაათავისუფლეს.

მისი სოციალური პროფილების შესწავლის შემდეგ მედია წერს, რომ მერსერი განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული სხვა მასობრივი მკვლელობებით. **"რაც მეტ ადამიანს მოკლავ, მით მეტად ხვდებით საზოგადოების ყურადღების ცენტრში",** – წერს ის ერთ-ერთ თავის პოსტში, რომელიც ვესტერ ფლანიგანის მიერ პირდაპირ ეთერში დახოცილ ჟურნალისტებს შეეხებოდა.

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# "დღის ბოლოს მაინც ამოვიდა "თეთრი კვამლი" – სფფ-მ ახალი პრეზიდენტი აირჩია



იყო დრო, როცა ქართული ფეხბურთი საბჭოთა სპორტის ფლაგმანი გახლდათ და კიევის **"დინამოსთან"** პირველობას არავის უთმობდა პოსტსოციალისტურ სივრცეში.

სწორედ ეს ორი გუნდი გახლდათ ევროპის თასის მფლობელთა თასის მფლობელი, რაც თავისთავად მრავლისმეტყველი მოვლენა გახლავთ! წარმატებები კი მიიღწეოდა იმის გამო, რომ ქართულ ფეხბურთს ვეებერთელა საწვრთნელი ბაზა გააჩნდა საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ბაზაზე.

გავიდა დრო და საქართველოსთან ერთად დამოუკიდებელი გახდა ქართული ფეხბურთიც. დამოუკიდებლობის ეიფორიამ მალე გაიარა და ქართული ფეხბურთის ძირითად ბაზად იქცნენ ადგილობრივი საფეხბურთო კლუბები – გალმა გარიყულას **"მეველე"** და ყანდაურას **"მწყემსი"**, შედეგად კი მივიღეთ ის, რომ ერთ დროს ევროპაში პირველ ადგილზე მყოფმა ქართულმა ფეხბურთმა მსოფლიო რეიტინგში 148-ე ადგილზე გადაინაცვლა. იმ ქვეყნებმაც კი გადაგვისწრეს, რომელთაც ფეხბურთზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მაშინ, როცა ჩვენები ევროპის წარმატებულ გუნდებს მათსავე მოედნებზე უგებდნენ გამანადგურებელი ანგარიშით. საქართველოში კი იცვლებოდნენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტები, მაგრამ მუდამ უცვლელი რჩებოდა მათი მისწრაფებები და მადა, რომლებიც საკუთარი ჯიბის გასქელებაზე უფრო ფიქრობდნენ ვიდრე ქართულ ფეხბურთისათვის პირვანდელი დიდების დაბრუნებაზე.

და აი, დადგა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უკანასკნელ პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას გადადგომის შემდეგ დადგა ახალი პრეზიდენტის არჩევნების **"ნანატრი"** ჟამი – 2015 წლის 3 ოქტომბერს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები დასრულდა, რომელიც სასტუმრო holiday inn-ში ჩატარდა. არჩევნები, ისე როგორც წინასაარჩევნო პერიოდი ძალიან დაძაბული გამოდგა, თუმცა დღის ბოლოს მაინც ამოვიდა **"თეთრი კვამლი"** და მომდევნო წლები ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი იქნება, რომელმაც 18 ხმა მიიღო, მისმა უშუალო კონკურენტმა რევაზ არველაძემ 15 ხოლო მესამე კანდიდატს მამუკა კვარაცხელიას კი მხარი არავინ დაუჭირა.

სიახლე ყველაფერს სჭირდება, მაგრამ ქართული ფეხბურთისთვის სიახლე ისეთი საჭიროა, როგორც თევზისთვის წყალი. ქართული ფეხუბურთი სამარის პირასაა, რეანიმაციაში მყოფ ავადმყოფს ჰგავს, რომლის პატრონსაც რეანიმაციიდან გამოსული ექიმები მხოლოდ თავის გადაქნევით პასუხობენ. ასეთ ავადმყოფებს მერე ცნობილი კლინიკიდან მკურნალ ექიმებს ჩამოუყვანენ ხოლმე და ამ მკურნალს ყველა იმედის თვალით შესცქერის, ხშირად ხდება სასწაული და ავადმყოფი მოიხედავს, მაგრამ ხშირად...

ასეთ მკურნალად გვესახება ყველას ლევან კობიაშვილი, რომელსაც ძალიან რთული მისია აქვს, საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ **"ტაიმ-ბოლი"** უნდა ამოაგდოს, მაშინ როცა ძირითადი დროის დასრულებამდე ათიოდ წუთია დარჩენილი. ფეხბურთელ კობის სტადიონზე ბევრი სასწაული მოუხდენია, მაგრამ შეძლებს იგივეს მენეჯერი კობიაშვილი?!

**"კობის"** მართვის დიდი გამოცდილება არ აქვს, განსხვავებით რევაზ არველაძისაგან, რომელიც წლებია იმ უწყების მმართველ გუნდშია რომლის პრეზიდენტობასაც აპირებდა. მას ჰქონდა საშუალება, ფედერაციაში ძირეული ცვლილებები გაეტარებინა, მაგრამ მას ეს ან არ გამოსდიოდა ან კიდევ მისი ჩატარებული რეფორმები უშედეგო იყო. რევაზ არველაძე სფფ-ს მეორე კაცი იყო, იმ სფფ-ს რომლის სახელსაც უკავშირდება მოსყიდულ თამაშში შემჩნეული ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელები და მსაჯები, იმ სფფ-ს მეორე კაცი იყო რომელმაც ვერ გაარკვია ეროვნული ნაკრების კაპიტანს დისკვალიფიკაცია რომ არ ჰქონდა და ამის გამო ოფიციალური შეხვედრა გამოატოვებინა, თუმცა მის სახელსვე უკავშირდება იდეალურად ორგანიზებული უეფას სუპერ თასი, რომელიც შესაძლოა სხვა მასშტაბური ღონისძიებების საწინდარი გახდეს. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, თუ ეროვნულ ნაკრებს ცუდი შედეგები აქვს მაშინ სფფ-ს მუშაობაც წარუმატებლად ფასდება, რეზის დროს კი ნაკრებს შედეგი არ ჰქონია, ბუნებრივია, ლევან კობიაშვილი თვითონ ვერ ითამაშებს, მაგრამ ის მაინც უნდა მოახერხოს რომ ეროვნულ ნაკრებში საბრძოლო განწყობა დამკვიდრდეს. ამის გარდა ლევანმა კიდევ ბევრი რამე უნდა მოახერხოს, მან უნდა შეძლოს და ეროვნული ჩემპიონატის თამაშებზე მაყურებელი დააბრუნოს, ლევანმა ისიც უნდა შეძლოს, რომ ქართულმა გუნდებმა აგვისტოს პირველ რიცხვებში არ დაასრულონ ევროთასებზე გამოსვლა, ქართულ ფეხბურთს ავტორიტეტი უნდა დაუბრუნოს (იმდენი რაღაცის მოგვარება უწევს, მგონი სირიის კონფლიქტიც **"კობის"** მოსაგვარებელი გახდება), მოკლედ, ლევანს ძალიან მძიმე საქმესთან უწევს შეჭიდება. დარწმუნებული ვარ მან ეს ძალიან კარგად უწყის და რადგან მაინც გადაწყვიტა პრეზიდენტობა გამოდის რომ ამისთვის მზადაა. ფეხბურთელ **"კობის"** ბოროტად არასოდეს უსარგებლია გულშემატკივრის სიყვარულით, ის ყოველთვის ბოლომდე მებრძოლი სპორტსმენი იყო, იბრძოდა იმ დროსაც როცა სხვები უბრალოდ იდგნენ. იმედია, პრეზიდენტიც ასეთი იქნება და ქართულ ფეხბურთს იმ რეანიმაციიდან გამოიყვანს საიდან გამოსვლაც ძალიან რთულია, თუმცა შესაძლებელი.

წარმატებები ვუსურვოთ ახლადარჩეულ პრეზიდენტს!

**"რაც მე ვერ მოვახერხე ფეხბურთში, ჩემი შვილი გააკეთებს",** – ამის შესახებ რევაზ არველაძემ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში შემდეგ, გულშემატკივართან გამოსვლისას განაცხადა.

არველაძეს მხარდამჭერები ოვაციებით შეხვდნენ. ამასთან, შენობიდან გასვლის შემდეგ მან იხუმრა და წვიმიანის ამინდის გამო მცირე რეპლიკა გააკეთა – **"ტირის ბუნება",** – აღნიშნა არველაძემ, რომელმაც holiday inn-ი ძმასთან და ოჯახის წევრებთან ერთად დატოვა.

**"ყველაფერი ერთად იყო ჩემს წინააღმდეგ, არა უშავს გავუძლებ და მე ისევ ისე ამაყად ვივლი ამ ქვეყანაში და ამ ქალაქში. ვერ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე ასეთი ჯოჯოხეთის გავლა მომიწევდა.**

**ეს რომ მეფიქრა, არც ჩემს თავს და არც ოჯახს არ ვანერვიულებდი. ყველაფერი კეთდებოდა უზენაესი მიზნისთვის – დიდი ფეხბურთისთვის და რაც გამოვიდა, გამოვიდა. უთანასწორო ბრძოლაში ვიყავი. მე არ ვამბობ, რომ ეს კობიაშვილის ბრალი იყო. ეს ყველაფერი ერთად იყო ჩემს წინააღმდეგ. არა უშავს, გავუძლებ და მე ისევ სისტემატურად ვიზრუნებ ქართული ფეხბურთის მომავალზე. ყველაფერი ცხოვრების ლოგიკას ექვემდებარება – სპორტში ხან წააგებ, ხან მოიგებ. ცოტახანი კომენტარს აღარ გავაკეთებ და ვიფიქრებ, თუ როგორ დავისვენო ამ ჯოჯოხეთის შემდეგ",** – უთხრა შეკრებილ ჟურნალისტებს არველაძემ.

მანვე ლევან კობიაშვილს გამარჯვება მიულოცა. **"მე მინდა წარმატება ვუსურვო ქართულ ფეხბურთს და ლევანს ვაჟკაცურად, კაცურად მივულოცო გამარჯვება. მინდა, რომ წინამორბედებზე მეტი შეძლოს",** – განაცხადა რეზი არველაძემ.

მანვე იმ 15 ადამიანს, რომელმაც მხარი დაუჭირა, ასევე რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთისა და გურიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტებს მადლობა გადაუხადა.

**"ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაა, იყო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი",** – ამ სიტყვებით გამოეხმაურა ქვეყნის ვიცე-პრემიერი, წარსულში ექსტრაკლასის ფეხბურთელი, ამჟამად კი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ლევან კობიაშვილის გამარჯვებას.

მისი თქმით, ფეხბურთში ძალიან მძიმე მდგომარეობაა და კობიაშვილი ამ გამოწვევას გაუძლებს.

**"ვულოცავ ლევანს გამარჯვებას. ძალიან საპახუსიმგებლო თანამდებობაა, იყო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. ჩვენ არაერთხელ ვისაუბრეთ, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ფეხბურთი. ძალიან რთული გამოწვევებია და მე დარწმუნებული ვარ, ლევანი გაართმევს თავს. ჩვენ დაველოდებით მის პროგრამას. არსებობს ფეხბურთის განვითარების სამთავრობო კომისია, შევხვდებით და დავიწყებთ ფიქრს, გარკვეული ნაბიჯების გადადგმას ფეხბურთის განვითარებისთვის",** – განაცხადა კახი კალაძემ.

# გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

## იუმორი

– აღიარეთ, რომ მთვრალმა ბიბლიოთეკაში ქალს შეურაცხყოფა მიაყენეთ!

– ვაღიარებ! აბა, კაცო, რაა ეს სიმთვრალე! ფხიზელს ბიბლიოთეკაში რა შემიყვანდა?

* * *

– რავა ხარ, თუ იცი?

– ქე ვარ პამპერსივით!

– მაი რაფრა?

– ვისრუტავ და ვისრუტავ ამ უბედურ ცხოვრებას.

* * *

– მომკლა ამ უფულობამ, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა, – აქებს ქმარი ცოლს,– მეც რომ შენნაირი სამსახური მაშოვნინა...

– არა, არა, შენ მაგას ვერ გაუძლებ!

* * *

სამშობიარო სახლთან ავტომობილი დამუხრუჭდა და აქოშინებული კაცი გადმოხტა:

– ჩქარა, ჩქარა!

– თქვენ უნდა იმშობიაროთ? – გაუკვირდა მედდას.

– აუ, ამ სიჩქარეში ცოლი ქე დამრჩენია სახლში.

**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**



დომენტი გაგნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6
სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge